

თავი 21

სიტყუად ესე: „მაშინ მოუჭდა იესუს პეტრე და ჰრქუა: უფალო, რა-
ოდენგზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შკდგზისამ-
დეა? ჰრქუა მას იესუ: არა გეტყვ შენ ვიდრე შკდგზისამდე, არამედ ვიდრე
სამეოცდაათჯერ შკდგზის“ (18,21-22).

ჰგონებდა პეტრე, თუ დიდი რაჲმე თქუა შკდგზის მიტევებად, და ეტყვს,
ვითარმედ: უფალო, ესე, რომელი გკბრძანე ქმნად, რავდენგზის ვქმნა?
უკუეთუ ყოვლადვე ცოდვიდეს ძმაჲ იგი და ყოვლადვე ვამხილებდე და მო-
ვიდოდის სინანულად, რავდენგზის გკბრძანებ, რაჲთა თავს-ვიდებდეთ მის-
სა? რამეთუ მისთვის, რომელი უნანელად ეგოს და არცა ძმისად ესმოდის, არ-
ცა წინამძღურისად, განგინესებიეს, რაჲმს სთქუ, ვითარმედ: „იყავნ შენდა,
ვითარცა მეზუერე და წარმართი“. ხოლო რომელი მოვიდოდის სინანულად
და ითხოვდეს შენდობასა, მისთვის არა განანესე, თუ რავდენგზის თანამაც
თავს-დებდა ცთომისა მისისად, ვამხილებდე რაჲ, და ინანდეს და კუალად
ცოდვიდეს. ესე ვითარსა მას ვიდრე შკდგზისადმე მიუტეოა ცთომად?

ისმინეთ უკუე, თუ რაჲ მიუგო ქრისტემან, კაცთმოყუარემან მან და სა-
ხიერმან და მრავალმონყალემან ღმერთმან ჩუენმან: „არა გეტყვ შენ ვიდრე
შკდგზისამდე, არამედ სამეოცდაათჯერ შკდგზის“. არა თუ რიცხვ განანესა
აქა, არამედ ურიცხვ და სამარადისოდ საქმე მოასწავა. რამეთუ ვითარცა
ოდეს თქუას ვინ, თუ: ბევრეულგზის, სიმრავლესა მოასწავებს, და რომე-
ლი-იგი წერილ არს, ვითარმედ: „ბერნსა მას ესხნეს შკდ შვილ“,¹ ფრიადსა
მას სიმრავლესა მოასწავებს შვილთა ბერწყოფილისა მის ეკლესიისათა;
ეგრეთვე აქა, თქუა რაჲ, თუ: „სამეოცდაათჯერ შკდგზის“, არა რიცხუსა
შინა შეაწყუდია მიტევებად ცთომათად მოყუსისათა, არამედ სამარადისოდ
და აურაცხელი საქმე განანესა და ესე ვითარი ესე მცნებაჲ იგავითა ამით
შემდგომად თქუმულითა დაამტკიცა. და რაჲთა ვერვინ თქუას, თუ მძიმე
არს მცნებაჲ ესე – სამეოცდაათჯერ შკდგზის მიტევებად ცთომათა მოყუ-
სისათა, – ამისთვის შესძინა იგავი იგი, რაჲთა სიტყუად თვისი დაამტკიცოს
და გულისწმა-გყკოს, ვითარმედ არა გკვმს ამას ზედა ზუაობად და ფრიად
არა ძნელ არს საქმე ესე, არამედ ადვილ. ამისთვის თვისი იგი კაცთმოყუარე-
ბად შორის შემოილო, რაჲთა მსგავსებითა მით სცნა, ვითარმედ დალაცათუ
სამეოცდაათჯერ შკდგზის მიუტევენე ცთომანი მოყუსისანი, დალაცათუ მა-
რადლე ურიცხუჯერ ამას იქმოდი, ვითარცა წუეთი ერთი ურიცხუთა მათ
თანა წყალთა ზღვსათა მცირე არს და არარაჲ, ესოდენ და ფრიად ამისა
უმეტესად ნაკლულევან არს და მცირე შენი ეგე სახიერებაჲ აურაცხელსა
მას თანა ღმრთისა მონყალეებასა, რომელი-იგი დიდად საწმარ არს შენდა,

¹ მფ. 2,5.

რაჟამს-იგი სიტყუად მიგეწადებოდის თანანადებთა შენთად. ისმინე უკუე სიტყუად იგავისად მის საკვრველისად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ამისთვს ემსგავსა სასუფეველი ცათად კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყვსა განგებად მონათა თვსთა თანა. და ვითარცა ინ-ყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა შანთისაად. და ვითარ არარად აქუნდა მას, რადმცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან გან-სყიდად ცოლისა მისისაად და შვილთა მისთად და რადცა აქუნდა მას, და გარ-დაწდად იგი. დავარდა მონად იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულ-გრძელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. შეენყალა უფალსა მას მონად იგი, განუტევა და თანანადებიცა იგი მიუტევა მას“ (18,23-27), და შემდგომი ამისი. რამეთუ შემდგომად ესოდენისა მის კაცთმოყუარებისა პოა მან მოყუასი, რომლისა თანადევა მას ასი დრაჰკანი, შეაშთობდა მას, და ამისთვს შეჰრისხნა მეუფე იგი და შეაყენა საჰყრობილედ, ვიდრემდე ყოველი გარდაიწადოს.

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეა, რადზომი განყოფილება არს კაცისა მიმართ შეცოდებასა შორის და ღმრთისა განრისხებასა? რაოდენი არს შორის ბევრისა შანთისა და ასისა დრაჰკნისა, და ფრიადცა უმეტესად. ხოლო ესე იქმნების განყოფილებისაგანცა პირთადასა და ზედადსხედაობისაგან ცოდვათადასა; რამეთუ კაცნი თუ გუხედვიდენ, ვერიდებით და გურცხუენ-ნის ქმნად ცოდვისა, ხოლო ღმერთი მარადის გუხედავს, და არა გუეშინ-ნის, არამედ ურიდად ვიქმთ და ვიტყვთ და ვიგონებთ ყოველსა ბოროტსა, და არა ესე ხოლო, არამედ ჰატივისა მისთვსცა და ქველისმოქმედებისა, რომელი ყო ღმერთმან ჩუენ ზედა, მიძიმე იქმნებიან ცოდვანი ჩუენნი. და უკუეთუ გუნებავს ცნობად, თუ ვითარ ბევრი შანთი არს და უმეტესცა ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე, მცირედ რადმე გამოჩინებად ჯელ-ვეყო, გარ-ნა მეშინის, ნუუკუე უდებთა და ცოდვისმოყუარეთა უმეტესისა უდებები-სა მიზეზ-ვსცე, გინა თუ მოსწრაფენი უმეტესსა შთავსთხინე ზრუნვასა, და თქუან სიტყუად იგი მოციქულთად: „ვის ჯელ-ენიფების ცხორებად?“¹ გარნა ყოველსავე ზედა ვთქუა, რადთა უმეტესად განვეკრძალნეთ, ვი-ხილოთ რად სიმრავლე ცოდვათა ჩუენთად და ვცნათ ძალი იგი სინანუ-ლისაად. ხოლო ვთქუნე და გამოვაჩინე ცოდვანი არა კაცად-კაცადისანი, არამედ ზოგადნი ყოველთანი, ხოლო კაცად-კაცადისაად თითოეულისა გონებამან გამოსახენ. გარნა პირველად ჯერ-არს თქუმად ქველისმოქ-მედებათა ღმრთისათად, რაბამნი არიან და რაოდენნი: არაარსისაგან არ-სად მოგკყვანნა და ხილულნი ესე ყოველნივე ჩუენთვს დაჰბადნა: ცად და ქუეყანად და ზღუად, ჰაერნი და ცხოელნი, ნერგნი და მცენარენი და სხუანი იგი აურაცხელნი საქმენი; სული ცხოელი მოგუცა ჩუენ, უაღრესი ყოველ-

¹ მათ. 19,25; ლუკ. 18,26.

თავე მყოფთა ქუეყანასა ზედა; სამოთხე დაასხა ჩუენთჳს; უფლად ყოველ-
თა პირუტყუთა, თევზთა და მფრინველთა დაგუადგინნა; დიდებითა და
პატივითა გკრგვოსან-გუყვნა. ამისა შემდგომად უმაღლო ვიპოენით და
გარდამავალ მცნებისა მისისა და სამოთხით გამოვისხენით, არამედ არავე
უგულებელს-გუყვნა, რამეთუ მხოლოდშობილი ძე თჳსი მოავლინა მოძი-
ებად წარწყმედულთა ამათ, რომელმანცა ჩუენთჳს ჯუარ-ცუმად და სი-
კუდილი თავს-იდვა, და ცანი განმიხუნა ჩუენ, და შვილ ღმრთისა გუყვნა
მტერყოფილნი ესე და განდგომილნი, და მკვდრ-ყოფად სამოთხისა მ-
ოგუანიჭა, და სასუფეველისა მოქალაქედ გამოგუაჩინა. ამისთჳს სამართალ
არს ღალადება: † სიღრმესა მას სიმდიდრისა, სიბრძნისა და მეცნიერები-
სა ღმრთისასა! მოგუცა ჩუენ ნათლის-ღებადცა მოსატივეებულად ცოდვათა
და გამოსაწსნელად სატანჯველთაგან, დასამკვდრებულად სასუფეველისა,
და ბევრეულნი იგი კეთილნი აღგვთქუნა და სული წმიდად მოჰფინა გულ-
თა ჩუენთა. ესევეითართა უკუე და ესოდენთა ქველისმოქმედებათა მისთა
ზედა ვითარ-მე ჯერ-იყო ყოფად ჩუენი? დაღაცათუ მარადღე მოვსწყდე-
ბოდეთ მისთჳს, გარდა-მცა-ვიჯადეთა ღირსებით თანანადები იგი? ნუ
იყოფინ! ვერცა თუ მეთასედისა ნაწილისა ძალ-გუედვა გარდაჯად. ხო-
ლო აწ ვიხილოთლა, ვითარ ვიქცევით ანუ ვითარი მოქალაქობად გვპყრიეს:
დღითი-დღე მცნებათა და ბრძანებათა მისთა შეურაცხ-ვჰყოფთ და, რო-
მელი მისდა საძულელ არს, მას აღვასრულებთ. და რომელი ვთქუა პირ-
ველად, გინა თუ მეფენი ვაწსენნე, გინა თუ მთავარნი, გინა თუ აზნაურნი,
გინა თუ მონანი, გინა თუ ვაჭარნი, გინა თუ მწედარნი, გინა თუ გლეხნი,
გინა თუ მამანი, გინა თუ დედანი, გინა თუ ბერნი, გინა თუ ჭაბუკნი, –
ყოველნივე იპოვნენ გარდამავალ მცნებათა ქრისტესთა და ბევრეულისა
თანანადებისა თანამდებ.

ისმინენითლა მცნებანი ქრისტესნი და სცნათ სიტყუათა ჩემთა ჭეშმა-
რიტებად: „რომელმან ჰრქუასო ძმასა თჳსსა: ცოფ, თანამდებ არს გეჰენი-
ასა ცეცხლისასა“;¹ „ყოველი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულისთქუმად
მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა თჳსსა“;² „რომელმან გცეს ყურიმალსა,
მიუპყარ მას ერთკერძოცა. და რომელსა უნდეს კუართი შენი მიღებად,
მიუტევე მას სამოსელიცა. და რომელი წარგიქცევდეს მილიონ ერთ, მივლე
მის თანა ორიცა“;³ „გიყუარდედ მტერნი თქუენნი, აკურთხევდით მწყევარ-
თა თქუენთა, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“.⁴ კუალად იტყჳს:
უკუეთუ არა იქმნეთ, ვითარცა ყრმანი ჩჩვლნი, მშჳდ და მდაბალ და უმან-
კო, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა.⁵

ესევეითარნი არიან მცნებანი მისნი და სხუანი მრავალნი. ხოლო აწ
ჩუენ ვიხილოთ: უკუეთუ არა ცხორებად ჩუენი წინააღმდგომ ბრძანებათა
მისთა არსა? რომელსა ცოდვასა არა წარმდებებით აღვასრულებთ? არა

¹ მათ. 5,22.

² მათ. 5,28.

³ მათ. 5, 39-41.

⁴ მათ. 5,44.

⁵ შდრ. მათ. 18,3; 19,14.

დღითი-დღე ძკრის-ზრახვათა შინა ვართა? შესმენათა მოყუსისათა, გინე-ბათა და შეურაცხებათა, მტაცებელ, ვითარცა მგელნი, შებლალულ ყოვლი-თავე ცოდვითა, მოშურნე, მზუაობარ, ანგაჰრ, ცილისმწამებელ, მაჩუენე-ბელ, კაცთმოთნე, უხუცესთა მიმართ მზაკუევარ, უდარესთა მიმართ მწეც-თა უმძვნვარეს, მონა მუცლისა და საფასეთა და დიდებისა წარმავალისა, მოკიცხარ, მოცინარ, მრავლისმეტყუელ, სიტყუათა ხენეშთა მეძიებელ, ნაყროან, მომთრვალე, ცილისმეტყუელ, შემსჭუალულ მიწისაგანთა მათ და წარმავალთა საქმეთა. ესე არიან ზოგადნი ყოველთა საქმენი, ხოლო დაფარულნი და ძნელოვანნი კაცად-კაცადისანი თითოეულსა გონებაჲმან მისმან ამხილოს. ესე ყოველნი და ამისა ფრიად უმრავლესნი ბრალნი ჩუენ-ნი არიან ბევრი იგი შანთი, რომლისათჳს სიტყჳს-მიცემაჲ თანაგუაჲც, გარნა ყოვლადვე ვერ შემძლებელ ვართ. ამისთჳს სახიერმან მან და მრავალმონ-ყალემან ღმერთმან აურაცხელთა მიერ ქველისმოქმედებათა მისთა ზედა მოგუცა ესეცა ადვილი გზაჲ და სუბუქი, ესე იგი არს ძკრუჴსენებელობაჲ, რაჲთა მიუტევენთ წადიერად ყოველნივე ცთომანი მოყუსისანი და ესრეთ ვპოოთ ჩუენ მოტევებაჲ ურიცხუთა მათ ცოდვათა ჩუენთაჲ. რამეთუ რა-ოდენიცა იყოს შეცოდებაჲ მოყუსისაჲ, ჩუენთა მათ ღმრთისა მიმართ ცოდ-ვათა თანა მცირე არს და არარაჲ. და კუალადცა უკუე აღმოვიკითხოთ იგავი ესე წინამდებარე, რომელი ამის ჯერისათჳს წარმოთქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა შან-თისაჲო. და ვითარ არაჲ აქუნდა მას, რაჲმცა მისცა, უბრძანა უფალმან მის-მან განსყიდაჲ ცოლისა მისისაჲ და შვილთა მისთაჲ და რაჲცა აქუნდა მას, და გარდაჴდად იგი“ (18,24-25).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ყოვლით კერძო საშინელ-ჰყოფს იგავსა მას. ხოლო რაჲსათჳს მეუფე იგი ბრძანებს ცოლისა და შვილთა განსყიდად, რამეთუ იგინიცა მონანი მისნი იყვნეს, და მისა მივიდოდა დაჭირვებაჲ? არა თუ უნ-ყალოებისაგან ბრძანა ესე, არამედ ფრიადისა სახიერებისაგან, რამეთუ ენება შეშინებად მისა, რაჲთა მოვიდეს ვედრებად მისა, და მიანიჭოს მას წყალობაჲ. ხოლო რაჲსათჳს პირველ სიტყჳს განგებისა არა ქმნა ესე? ამის-თჳს, რაჲთა უჩუენოს მას, თუ რაოდენთა თანანადებთაგან განათავისუფ-ლა იგი, და ამით სახითა ექმნას იგიცა მოყუასსა თჳსსა მონყალე. ისმინე უკუე შემდგომიცა სიტყუად სახარებისაჲ:

„დავარდაო მონაჲ იგი და თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძ-ელ იქმენ ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ. შეენყალა უფალსა მას მონაჲ იგი და განუტევა იგი და თანანადებიცა იგი მიუტევა მას“ (18,26-27).

იხილეჲ კუალად სახიერებისა ამის გარდამატებულებაჲ? დროებაჲ ხოლო ითხოა და სულგრძელებაჲ მონამან მან, ხოლო უფალმან უმეტეს თხოისა მისისა მისცა: შენდობაჲ და მიტევებაჲ ყოვლისავე თანანადე-

ბისად, ბევრისა მის შანთისად. რამეთუ ენება პირველითგანვე ჩუენებად უხუადმინიჭებულობისა მის თვისსა, გარნა არა ენება, რადთა მისი ხოლო იყოს ნიჭი იგი, არამედ რადთა მონისა მისცა ვედრებად მიზეზ ექმნას სახიერებასა მისსა, რადთა არა სრულიად უცხო იყოს კეთილისა მისგან. რამეთუ დაღაცათუ იგი შეუვრდა და ევედრა, არამედ ყოველივე საქმე მონყალებისა მის უფლისად იყო, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „შეენყალა უფალსა მონად იგი და განუტევა“. გარნა ეგრეთცა ენება, რადთა იგიცა ჩნდეს მიზეზმცემელ წყალობისა მის, რადთა არა სრულიად ცარიელ იყოს და სირცხვლეულ და რადთა თვისსა მის სახისაგან მოყუსისაცა მიმართ იპოოს იგი სახიერ. გარნა მონად იგი აქამომდე გონიერ იპოვა და სათნო, რამეთუ აღიარა თანანადები იგი და აღუთქუა ყოველისავე მიცემად და შეუვრდა და ევედრა და აბრალა თავსა თვისსა და ცნა სიდიდე იგი თანანადებისად მის, ხოლო შემდგომი ამისი ფრიად უღირს არს და შეუმსგავსებელ პირველისა. რამეთუ განვიდა რად მიერ მონად იგი, არა შემდგომად მრავლისა ჟამისა, არამედ მუნთქუესვე, ვიდრელა ქველისმოქმედებად იგი უფლისად წინაშე თუალთა მისთა იყო, ბოროტად ივმარა ნიჭი იგი და აზნაურებად, მეუფისაგან მიცემული მისდა, ვითარცა ესერა გუაუნყებს მახარებელი და იტყვს:

სახარებად: „და ვითარცა გამოვიდა მიერ მონად იგი, პოვა ერთი მოყუასი თვისი, რომელსა თანადედა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც, რადცა თანაგაც. შეუვრდა მოყუასი იგი მისი, ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, და მიგცე შენ. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ უფროდსლა აურევბდა მას და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანანადები იგი. იხილეს რად მოყუასთა მათ მისთა საქმე ესე, შენუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუნყეს უფალსა მას მათსა ყოველივე იგი, რადცა იყო. მაშინ მოუნოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა: მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. არა ჯერ-იყოა შენდაცა, რადთამცა შეინყალე მოყუასი იგი შენი, ვითარცა მე შეგინყალე შენ? და განურისხდა მას უფალი იგი მისი და მისცა იგი ჳელთა მტანჯველთასა, ვიდრემდე გარდაიწადოს ყოველი იგი თანანადები“ (18,28-34).

თარგმანი: იხილეა სახიერებად იგი მეუფისად მის და გულფიცხელობად მონისად? ისმინეთ ყოველთა, რომელნი უსახურ ხართ და ფიცხელ მოყუასთა მიმართ, რომელნი თანანადებისათვს მცირედისა საფასისა შეაგდებთ საპყრობილედ გლახაკთა. ისმინეთ, რად-იგი შეემთხვა მონასა მას, რომელმან არა შეინყალა მოყუასი თვისი, არცა მოიწსენა, ვითარმედ იგიცა მათვე სიტყუათა ეტყოდა უფალსა თვისსა და პოა შენდობად ბევრისა მის შანთისად; არა შეიკდიმა სიტყუათა მათგან; არა იცნა ნავთსაყუდელი იგი, რომლითა განერა დანთქმისაგან; არა მოიწსენა მონყალებად იგი

მეუფისად, არამედ ყოველივე იგი დაივიწყა ანგაჰრებისაგან და უწყალოებისა და ძკრის-წსენებისა. ამისთვისცა უძკრეს მწეცისა აშთობდა მოყუასსა თვსსა.

რასა იქმ, ჰ კაცო? არა ხედავა, რამეთუ თავისა შენისა მოსაკლავად ჰლესავ მახვლსა და განიახლებ რისხვასა უფლისასა? არა გულისწმა-ჰყოფა, უბადრუკო, რამეთუ შენ ბევრისა შანთისა მიტევებასა ითხოვდი, და მოყუასი შენი ასისა დრაჰკნისათვს დროებასა გევედრების? შენ მეუფესა ევედრებოდე და იგი მოყუასსა. გარნა ამას ყოველსა უგულისწმო იყო უბადრუკი იგი, ამისთვის მოყუასი იგი შეაგდო საჰყრობილედ.

„იხილეს მოყუასთა მისთა საქმე ესე და შენუხნეს ფრიად; და მივიდეს და აუნყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რადცა იყო“. რამეთუ ესევითარი იგი უწყალოებად არა ხოლო თუ ღმერთსა, არამედ კაცთაცა სამძიმარ უჩნს და საძაგელ. ამისთვის ელმოდა მათ და აუნყეს უფალსა. ისმინეთ უკუე სიტყუად იგი მეუფისად: „მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე. არა ჯერ-იყო შენდაცა, რადთამცა შეინყალე მოყუასი შენი, ვითარცა მე შეგინყალე შენ?“

იხილე კუალადცა სახიერებად იგი მეუფისად! განიკითხვის მონისა მის მიმართ და ჰასუხსა განსცემს, რაჟამს იხილა, ვითარმედ ჯერ-არს ნიჭისა მის უკურლუევად, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ მან ქმნა დაწსნად იგი შენდობისად. ამისთვისცა, ოდეს-იგი ბევრისა შანთისა თანანადები მის ზედა გამოჩნდა, არა უნოდა მას მონად ბოროტად, არცა აგინა, არამედ შეინყალა; ხოლო ოდეს იჰოა იგი მოყუასისა მიმართ უწყალო, მაშინ მონად ბოროტად უნოდა და ეტყვს: „მონაო ბოროტო, ყოველივე თანანადები შენი მიგიტევე შენ. არა ჯერ-იყო შენდაცა, რადთამცა შეინყალე მოყუასი იგი შენი, ვითარცა მე შეგინყალე შენ?“

დალაცათუმცა მძიმე იყო საქმე იგი, გარნა სარგებელისა შენისათვს და დასამტიციებელად შენ ზედა ქმნილისა მის წყალობისა არა გიწმდაა შენყალებად მოყუასი შენი, ვითარცა მე შეგინყალე შენ? ისმინეთ, ანგაჰრნო, რამეთუ თქუენდა მომართ არს სიტყუად ესე! ისმინეთ, უწყალონო და ძკრის-მოწსენენო, და გულისწმა-ყავთ, ვითარმედ არა თუ სხუასა ვის უწყალო და ძკრისმწსენებელ ექმნებით, გარნა თავთა თვსთა, და წელისწერილსა მას ცოდვათა თქუენტასა აღუწოცელ-ჰყოფთ. თქუენ რადცა უყოთ მოყუასთა, კაცობრივ იქმთ, ხოლო კაცობრივი ყოველი მცირედჟამისად არს და წარმავალ. გარნა უკუეთუ ღმერთი განრისხნეს თქუენ ზედა და მიგცნეს სატანჯველად, იგი სატანჯველი საუკუნოდ არს, ვითარცა ესერა გუაუნყებს მახარებელი:

„განურისხდაო უფალი იგი მონასა მას და მისცა იგი წელთა მტანჯველთასა, ვიდრემდე გარდაიწადოს ყოველი იგი თანანადები“. ესე იგი არს, ვითარმედ მისცა სატანჯველსა საუკუნესა, რამეთუ იგი თანანადებისა მის გარდაწდად ვერსადა შემძლებელ არს, და ამისთვის სატანჯველი

იგი მისი საუკუნე არს. ვინაიდან ქველისმოქმედებითა მით ვერ შეიგონა, სატანჯველითა მით შეიგონოს.

ეჰა საკრველი! ნიჭნი ღმრთისანი შეუნანებელ არიან და დაუწსნელ, გარნა ესოდენ გარდაემატა მონისა მის უკეთურებად, ვიდრელა უძლო შჯულისა მის დაწსნად. რამცა უკუე იყო უძკრესი ძკრის-წსენებისად, რომელი შემძლებელ არს ესევეითართა ნიჭთა საღმრთოთა დაწსნად? რამეთუ განურისხნაო მონასა მას „და მისცა იგი წელთა მტანჯველთასა“. ოდეს-იგი ბრძანა განსყიდად მისი, არა რისხვით იყო სიტყუად იგი, ამისთჳს არცა ქმნა, არამედ მიზეზსა ეძიებდა წყალობისა მისისასა, ხოლო ან რისხვითა ფრიადითა სავსე არს განჩინებად ესე და ტანჯვითა.

რად არს უკუე პირი ამის იგავისად? ისმინეთ, რასა იტყვს უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუნენ, უკუეთუ არა მიუტევენთ კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა ყოვლითა გუ-ლითა თქუნითა ცთომანი მისნი**“ (18,35).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არღარა თქუა, თუ: მამამან თქუნემან, არამედ: „მამამან ჩემმანო“. რამეთუ ვინაიდან ძკრისმოწსენეთა და უწყალოთა მიმართ მი-აქცია სიტყუად თჳსი, არცა ღირს იყო მამად მათა წოდებად ღმრთისა, ესე-ვეითართა უკეთურთა და უმადლოთა.

ან უკუე გულისწმა-ყავთ, ვითარმედ იგავი ესე ორსა საქმესა გუას-წავებს: ერთად, რადთა მეცნიერ ვიყვნეთ სიმრავლესა მას თანანადებთა ჩუენთასა, და თავთა თჳსთა ვაბრალეზდეთ, და ღმობიერად შეუვრდებო-დით ღმერთსა, და ვითხოვდეთ წყალობასა და შენდობასა; და მეორედ, რადთა გულსმოდგინედ შეუნდობდეთ მოყუასთა ჩუენთა ყოველსავე ცთო-მასა და ამით ჯერითა ჩუენთაცა ცოდვათა შენდობასა ადვილ-ვჰყოფდეთ. ხოლო არა ესრეთ ლიტონად და ორგულებით ბრძანებს მიტევებასა, არა-მედ „ყოვლითა გულითა“.

სწავლად და ძკრის-წსენებისათჳს

ან უკუე, საყუარელნო, გევედრები, ნუ ვლესავთ მახვლსა ძკრის-წსენებისასა და განვანონებთ გულთა ჩუენთა, რამეთუ ვერარას ესრეთ გუავნებენ შემანუხებელნი ჩუენნი, ვითარ ჩუენ ვავნებთ თავთა ჩუენთა ძკრის-წსენებითა, რამეთუ სასჯელსა ღმრთისა მიერ მოვანვეთ თავთა ზე-და ჩუენთა; ხოლო ძკრუწსენებლობად თუ მოვიგოთ, მერმე თავსა ზედა შე-მანუხებელთა და მავნებელთა ჩუენთასა დაკრბების ყოველივე ბოროტი.

ნუ იტყვ უკუე, კაცო, თუ მან ვინმე მაგინა და შემასმინა და ბევრეული ბოროტი შემაჩუენა, რამეთუ რაოდენიცა ესევეითარი სთქუა, უფროდსად

ქველისმოქმედად გამოაჩინებ მას, რამეთუ მოგცა მიზეზი განბანად ცოდვათა შენთა. რაოდენცა უკუე დიდად ძკრი შეგამთხვა, ესოდენ დიდადთა ცოდვათა შენდობისა მიზეზ გექმნა; და ნანდკლვე, უკუეთუ გუენებოს, ვერვის ჳელ-ენიფების ვნებად ჩუენდა, არამედ მტერნიცა დიდად სარგებელ გუეყვენ.

და რად ვიტყვ კაცთა? ეშმაკისა უძკრეს არავინ არს, არცა უმეტესად მტერ ჩუენდა, გარნა უკუეთუ გკნდეს, მისთაცა ბრძოლათაგან დიდი სარგებელი შეგუეძინების. და მონამე არს სიტყვსა ამის იობ. ხოლო უკუეთუ ეშმაკისა ბრძოლანი მიზეზ გკრგკნთა ექმნებთან წმიდათა, რად გეშინის მტერობისაგან კაცთადასა, საყუარელო? იხილე უკუე, რაოდენ სარგებელ გეყოფის, უკუეთუ სიმშკდით და ძკრუჳსენებელად თავს-იდებდე ზედადდგომასა და ბრძოლასა მტერთა შენთასა: პირველად და ყოვლისა უადრესად მოტევებასა ცოდვათასა მოილებ; მეორედ, მოთმინებასა და სულგრძელებასა ისნავებ; მესამედ, სიმშკდესა და კაცთმოყუარებასა შინა წარემატები, რამეთუ რომელი ძკრისმოქმედთა მიმართ სახიერ იყოს, რადენ უფროდასად მოყუარეთა მიმართ ჭეშმარიტი აჩუენოს სიყუარული? მეოთხედ, მრისხანებისაგან განჰთავისუფლდები, რომელ-ესე დიდი კეთილი არს, რამეთუ რომელი რისხვისაგან თავისუფალ იყოს, იგი მწუხარებათა მრავალთაგან თავისუფალ არს და შურისაგან და სიძულილისა, და განსუენებით გარდაიჳდის დღეთა თკსთა. ამას ყოველსა ზედა პატიოსან იყო წინაშე ღმრთისა და კაცთა, და არავინ გესუას მტერი, და წყალობად ღმრთისად ბრწყინვიდეს თავსა ზედა შენსა. უკუეთუ ცოდვანი გაქუნდენ, აღიჳოცნენ, უკუეთუ სათნოებანი გაქუნდენ, აღემატნენ უმეტესად ფრიად.

ამისთკს, საყუარელო, მოვიგოთ ძკრუჳსენებლობად, რადთა საყუარელ ღმრთისა ვიქმნეთ, რადთა თანანადებნი ბევრისა მის შანთისანი მოგუეტევენენ. ხოლო მრავალი თუ ბოროტი შეგამთხვა მოყუასმან, უფროდასა შეინწყალე იგი და ნუ მოიძულე, ცრემლოდე მისთკს და იგლოვდ, რამეთუ არა შენ გავნო, არამედ თავსა თკსსა. ხოლო შენ უკუეთუ მოთმინე იქმნე, უფროდასა სანატრელ ხარ.

გულისჳმა-ყავ, რამეთუ ოდეს-იგი ჯუარს-ცუემოდა ქრისტე, თავისა თკსისათკს მხიარულ იყო, ხოლო ჯუარმცუემელთათკს ცრემლოდა. ეგრეთცა ჩუენ გკლირს ქმნად, რაჟამს ძკრი შეგუემთხუეოდის, რადთა უფროდასა ძკრისმოქმედთა მათთკს ვწუხდეთ, რამეთუ მათ შეემთხუევის ბოროტი, ხოლო ჩუენ – კეთილი. აწ უკუე გინა თუ ვინ გავინა, თავი თკსი უმეტესად სირცხვლეულ-ყო და არა შენ; გინა თუ შეგასმინა, თკსსა სულსა ზედა ბრალი დაიკრიბა, რადთა არა ხოლო ცოდვათა თკსთათკს, არამედ ამისთკსცა მისცეს სიტყუად, რომლისათკს შენ შეგასმინა. და რად საკკრველ არს ესე შენ ზედა? უფალიცა ჩუენი იესუ ქრისტე შეასმინეს მტერთა მათ, და იგი არა განრისხნა, და შესმენად არა მცირე, არამედ დიდი და ფიცხელი დასდევს მის ზედა.

უკუეთუ რომლისადა ფრიადი კეთილი გეყო, ბოროტი მოგაგო, ამას-ცა ზედა ამისთვის გელმოდენ, რომელ ავნო სულსა თვსსა, ხოლო თავისა შენისათვს გიხაროდენ, რამეთუ მსგავს ღმრთისა იქმენ, რომელმან აღმო-აბრწყინვის მზე თვისი უმადლოთა ზედა და ცოდვილთა, რამეთუ მოცემულ არს ჩუენდა ჴელმწიფებად, უკუეთუ გუენებოს ბაძვად ღმრთისა, რაოდენ შესაძლებელ არს ბუნებასა შინა კაცობრივსა. გარნა უკუეთუ ესე დიდად გიჩნს და უმეტეს ბუნებისა, მოვედ, გიჩუენნე მონანი მისნი, რომელნი ჩუენისა ამის ბუნებისანი არიან: იხილე იოსებ, რომელმან შემდგომად ესოდენტა ბოროტთა კეთილი უყო ძმათა თვსთა; იხილე მოსე, რომელსა მრავალი ძკრი შეამთხვეს ებრაელთა, და იგი მათთვის ევედრებოდა ღმერთსა; იხილე ნეტარი პავლე, რომელსა აღრიცხუვადცა ვერ ეძლო ბოროტთა მათთა და ცეცხლებრ ეტყინებოდა სიყუარულითა მათითა; იხილე სტეფანე, რომელსა დაჰკრებდეს ქვასა, და იგი იტყოდა: „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“.¹

ესე ყოველივე გულისწმა-ვყოთ, საყუარელნო, და განვადგოთ ჩუენგან ყოველი რისხვად და ძკრის-წსენებად, რადთა ჩუენცა მოგვტევენეს ღმერთმან თანანადებნი ჩუენნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, სიმტკიცე, პატივი და თაყუანის-ცემა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ საქმე 7,60.

თავი 28

სიტყუაჲ ესე: „და იყო, ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეადთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წი-
ალ იორდანესა. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგინი მუნ“
(19,1-2).

ზედავსზედა განემორებოდა ჰურიასტანსა შურისათჳს მათისა და მი-
ვიდოდა გალილესა, რადთა ერმან მან, მსხდომარემან ბნელსა, იხილონ ნა-
თელი. ხოლო ან, ვინადთგან მოახლებულ იყო ჟამი ცხოელსმყოფელისა მის
ვნებისა მისისაჲ, „მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა... და მისდევდა მას
ერი მრავალი, და განკურნნა იგინი“. ოდესმე სიტყჳთა სწავლიდა და ოდეს-
მე სასწაულთა აღასრულებდა, რადთა სასწაულთა მიერ სარწმუნო იყოს
მოძღურებაჲ მისი, ხოლო მოძღურებისაგან აღემატებოდის სარგებელი იგი
სასწაულთაჲ. ესე იგი არს, რადთა ღმრთისმეცნიერებაჲ მოვიდენ. ხოლო
მოციქულთა საქმე იხილე, ვითარ შემოკლებულითა სიტყჳთა ურიცხუთა
მათ სასწაულთა თანანარჳდებიან, რამეთუ აჰა ესერა მახარებელმან არა
აჴსენა კაცად-კაცადი განკურნებულთა მათგან, არამედ ერთბამად აჴსენა,
ვითარმედ: „მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგინი“, რომელნი-
მე ჴორციელთა სენთაგან და რომელნიმე სულიერთა. რამეთუ კურნებაჲ
იგი უძღურთაჲ სხუათა მიზეზ ღმრთისმეცნიერებისა იქმნებოდა; გარნა
მწიგნობარნი და ფარისევლნი უცხო იყვნეს მადლისა მისგან, რამეთუ უფ-
როვსლა შურითა შეინუებოდეს. ამისთვისცა იტყჳს მახარებელი:

სახარებაჲ: „მაშინ მოუჴდეს მას ფარისევლნი, გამოსციდდეს მას
და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვ-
ლისათჳს ბრალისა?“ (19,3).

თარგმანი: ჰ დიდი ესე უგუნურებაჲ და სიცოფე! ესოდენი სახენი
ძლიერებისა მისისანი ეხილვნეს და კუალადლა ჰგონებდეს ძიებითა ამით
მრავლითა ცთუნებაჲ ანუ ძლევად მისა. ოდესმე იტყოდეს შაბათისათჳს;
კუალად გამობაჲ დასწამეს; კუალად ჰრქუეს, ეშმაკი არსო შენ თანა; კუა-
ლად წინააღუდგეს, რაჟამს ყანობირსა წარჰვლიდა და ოდეს მონაფენი
უბანელითა ჴელითა ჟამდეს; და ყოველსავე ზედა დაუყვნა ურცხვნონი იგი
პირნი მათნი. და ეგრეთცა არავე დასცხრებოდეს გამოცდაჲ მისა, რამეთუ
ესრეთ არს უკეთურებაჲ, მარადის ურცხვნო და ცხარ.

იხილეთ უკუე კითხვისაცა მათისა უკეთურებაჲ! არა ჰრქუეს, თუ:
პირველ ამისა ჰბრძანე არა განტევებაჲ ცოლისა გარეშე სიტყჳსა სიძვისა,
ვითარ უკუე სთქუ სიტყუაჲ იგი? არამედ ვითარმცა ყოვლადვე არა ას-
მიოდა, ესრეთ იტყჳან, რომელ ჰგონებდეს, თუ მიჰვინყდებოდის სიტყუაჲ
იგი თჳსი, და მზა იყვნეს, რადთა უკუეთუ თქუას, თუ ჯერ-არს განტევებაჲ,

ჰრქუან მას, თუ: შენვე პირველ სთქუ, ვითარმედ: „არა ჯერ-არს“¹, და ან ვითარ იტყვ, თუ ჯერ-არს? ხოლო უკუეთუ თქუას პირველისა მისებრვე სიტყვსა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს განტევებად“, წინაუყონ მას სჯული მოსესი და დასწამონ, ვითარმედ: შჯულსა წინააღუდგები. ხოლო თავადმან არა ჰრქუა, თუ: „რადსა გამომცდით მე, ორგულნო?“² ვითარ-იგი სხუასა ადგილსა. ესე ამისთვის, რადთა ძლიერებასა თვსსა თანა სიმშკდეცა აჩუენოს, რამეთუ არცა მარადის დუმს, რადთა ვერ თქუან, თუ გულისზრახვანი მათნი დაეფარვიან მას; არცა მარადის ამხილებს, რადთა გუასწაოს ჩუენ სულგრძელებად. ისმინეთ უკუე სიტყუად უფლისაად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა დ: „ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი? და თქუა: ამისთვის დაუტეოს კაცმან მამად თვსი და დედად თვსი და შეეყოს ცოლსა თვსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც, ვითარმედ არღარა არიან იგინი ორ, არამედ ერთ ჯორც. რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (19,4-6).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ სიბრძნე იგი ყოვლადბრძნისაად მის. ჰკითხეს მათ: „უკუეთუ ჯერ-არსა კაცისა განტევებად ცოლისა თვსისაად?“ ხოლო თავადმან არა ჰრქუა მეყსეულად, თუ: არა ჯერ-არს, რადთა არა ამბობებად ქმნან, არამედ ეტყვს პირველად მოსეს მიერ აღწერილსა ბრძანებასა ღმრთისასა, რადთა მათ ვერღარა თქუან, თუ: წინააღუდგები მოსეს. ეტყვს უკუე, ვითარმედ: „არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი? და თქუა: ამისთვის დაუტეოს კაცმან მამად თვსი და დედად თვსი და შეეყოს ცოლსა თვსსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც“³. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ერთისა მისდა შეერთებად განწესებულ არს. ხოლო უკუეთუმცა ენება ერთისა დატევებად და კუალად სხვსა შერთვად, ერთიმცა მამაკაცი შეექმნა და მრავალნი დედანი. ხოლო ან სახითა მითცა დაბადებისადათა და სიტყვთა მითცა განჩინებისადათა გამოაჩინა, ვითარმედ ესრეთ ჯერ-არს, რადთა ერთი მამაკაცი ერთსა დედაკაცსა შეეყოს მარადის.

ან უკუე „რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“. ესე იგი არს: ნუ იკადრებთ ბრძანებასა ღმრთისასა დაწსნად და იტყვთ, რადთა ოდესცა ვის ენებოს, დაუტეოს ცოლი თვსი და სხუად იქორწინოს. ხოლო მოსეს თუ წინამიყოფთ მე, ღმერთსა და მეუფესა ყოველთასა, გიჩუენებ, ვითარმედ ესრეთ უბრძანებიეს, რამეთუ: „რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი“. დაღაცათუ შჯული ესე გიჩნს, თუ ჩემ მიერ ან ითქუმის, გარნა დასაბამითგან არს, რამეთუ თქუა პირველითგან, ვითარმედ: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამად თვსი და დე-

¹ შდრ. მათ. 5,32.

² მათ. 22,18.

³ შდრ. დაბ. 2,21-24.

დად თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“; და მეყსეულად შესძინა, ვითარმედ: „იყვნენ ორნივე იგი ერთ ჯორც“. ვინათგან უკუე დასაბამითგან საქმით და სიტყვით განჩინებული წესი მიუთხრა, ან კეთილად გამოუთარგმანებს და იტყვს: „ვითარმედ არღარა არიან იგინი ორ, არამედ ერთ ჯორც. რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ“. რამეთუ ნანდკლვე უჯერო არს და გარეგან ბუნებისა განშორებად მეუღლეთად და სხვსა შერთვად, და გარდასლვად არს ესე შჯულისად.

ამათ სიტყუათა ზედა ჯერ-იყო მათდა დადუმებად და სარწმუნოებით შეწყნარებად სიტყვსად მის, გარნა უკეთურნი იგი უფროდსად მოსწრაფე იყვნეს, რადთამცა ერისკრება-ყვეს მის ზედა; რამეთუ ჰურიათა შორის არა იყო კრძალვად ამის საქმისად, არამედ ოდესცა ვის ენების, დაუტევის ცოლი თვისი და სხუად შეერთის. ამისთვის ეტყვან უფალსა:

ს ა ხ რ ე ბ ა დ: „რადსათვის უკუე მოსე ამცნო წიგნი განტევებისად მიცემად და განტევებად? მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, რამეთუ: მოსე გულფიცხელობისა თქუენისათვის გიბრძანა განტევებად ცოლთა თქუენთად, ხოლო დასაბამითგან არა ვგრე იყო“ (19,7-8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: არა დაუტევა სახიერმან მან მოსე ბრალობასა შინა, არამედ მიუთხრა მიზეზი სიტყვსა მისისად, რამეთუ მას თავადსა ებრძანა მოსესა ესე ვითარისა მის შჯულისა დადებად; ამისთვის მიზეზი და ბრალი საქმისად მის თავსა ზედა ჰურიათასა დაკრიბა, ვითარმედ „გულფიცხელობისათვის თქუენისაო გიბრძანა მოსე განტევებად ცოლთა თქუენთად“, რადთა არა მკლველ იქმნეთ მეუღლეთა თქუენთა. ამისთვის ესრეთ თქუა, რადთა არა უძკრესსა ბრალსა შთასცკვეთ, ხოლო დასაბამითგან არა იყო ესე წესი; ამით ცანთ, რამეთუ უკეთურებისა და გულფიცხელობისათვის თქუენისა თქუა მოსე მიცემად წიგნი განტევებისად და განტევებად ცოლთა თქუენთა, ვითარცა სხუასა ადგილსა განმარტებად ამის სიტყვსად გვტქუამს. ხოლო ან ისმინეთ შემდგომიცა:

ს ა ხ რ ე ბ ა დ: „გეტყვ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვნიერ სიძვისა და სხუად შეერთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეერთოს, იმრუშებს“ (19,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინათგან ყოვლით კერძო პირი დაუყო მათ, ჯელმნიფებით ან ბრძანებს, ვითარმედ: თვნიერ სიძვისა სხვსა რადსმე მიზეზისათვის განტევებად ცოლისად და სხვსა შერთვად მრუშება არს და ყოვლადვე უჯერო. რამეთუ შჯულმან მოსესმან ფრიადისა მის უკეთურებისათვის ჰურიათასა თქუა განტევებად ცოლისად ყოვლისავე ბრალისათვის, რადთა არა მკლველ მეუღლეთა თვისთა იქმნენ, და განტევებად ჯელისწერილითა, რადთა არღარა ჯელ-ენიფებოდის შერთვად მისა, და იქმნას დაუცხრომელი უშჯულოებად; ხოლო ქრისტე ბრძანებს მეძვისა განშორებად, რადთა არა

განრყუნილება იქმნას ნათესავისად. ხოლო სხვსა რომლისავე მიზეზისათვის დატევიებად ცოლისა და სხვსა შერთვად არა შეუნდობს, არამედ გინა თუ უძლურებად შეემთხვოს ჯორციელი, გინა თუ მრისხანე იყოს, გინა თუ გონე-ბაცთომილ, ანუ სხუად რადმე ნაკლულევანებად სჭირდეს, ყოვლისავე თავს-დებად ჯერ-არს და განმართებად, არა თუ განშორებად და სხვსა შერთვად, რამეთუ ესე უჯეროება არს, ვითარცა მოციქული წამებს, ვითარმედ: „ცო-ლი ქმრისაგან ნუ განეშორებინ. უკუეთუ განეშოროს, ეგენ უქმროდ, გინა ქმარსავე დაეგენ; და ქმარი ცოლსა ნუ დაუტეობნ“.¹ უკუეთუ დაუტეოს, არღარა ველ-ენიფების სხვსა შერთვად; შე-თუ-ირთოს სხუად, იმრუშებს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**ჭრქუეს მას მონაფეთა მისთა: უკუეთუ ესოდენი ბრა-ლი არს კაცისა დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებად**“ (19,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ფრიად მძიმედ შეჰრაცხეს სიტყუად ესე: უკუეთუ ვის ესუას ცოლი სავე მრავლითა ბოროტითა, – რამეთუ თვნიერ სიძვისაცა სხუანი მრავალნი ძნელოვანნი საქმენი იპოებიან დედათა თანა, – და არა ველ-ენიფებოდის განშორებად მისი და სხვსა უკეთესისა შერთვად.

„უკუეთუ ესოდენი ბრალი არსო კაცისა დედაკაცისა თანა“. – ესე იგი არს, უკუეთუ ამისთვის შეიერთნეს, რადთა განუყოფელ იყვნენ, და უკუეთუ ესრეთ ბრალსა უშჯულოებისასა შთავარდების მამაკაცი, განეშოროს თუ ცოლი თვისი, უსუბუქეს არს გულისთქუმათა მიმართ ბრძოლად, ვიდრეღა დედაკაცისა უკეთურისად.

ხოლო უფალმან არა ესრეთ მიუგო, თუ: ჰე, უსუბუქეს არს ესე, და არა შეჰგავს ქორწინებად, არა თქუა ესე, რადთა არავინ გულისწმა-ყოს, თუ შჯულად დადვა არაქორწინებად, არამედ ესრეთ მიუგო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ეგე, არამედ რომელ-თა მიცემულ არს**“ (19,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი : აღამაღლებს სიტყუასა მას ქალწულებისასა და გამოაჩი-ნებს, ვითარმედ დიდი საქმე არს, რადთა ესრეთ მოიზიდნეს მრავალნი სათ-ნოებისა მის მიმართ. რამეთუ ვინადთგან თქუმად ქალწულებისათვის ძნელ იყო და მძიმე, ამისთვის შჯული იგი და წესი ქორწინებისად წარმოუთხრა, რადთა ცნან მისიცა სიძნელე და სურვიელ იქმნენ მრავალნი ქალწულები-სათვის. ხოლო რომელ თქუა, თუ: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ეგე, არა-მედ რომელთა მიცემულ არს“, ესე ამისთვის თქუა, რადთა სცნა, ვითარმედ დიდ არს ლუანლი ქალწულებისად, და უწმს კაცსა ღმრთისმიერი შეწევნად. და არა თუ განჩინებულსა რასმე და იძულებითსა მოსაცემელსა მოასწავებს, რამეთუ მიეცემის მათ, რომელთაცა ენებოს. რამეთუ ოდეს წინამდებარე იგი საქმე დიდი იყოს, მარადის ესრეთ იტყვს, ვითარცა თქუა სხუასა ადგილ-

¹ 1 კორ. 7,10-11.

სა, ვითარმედ: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოთაჲ“. ¹ არა თუ სხუათა მათ არა მიეცემოდა, არამედ არა ინებეს მიღებად, ხოლო მოციქულნი წადიერ იყვნეს და გულმოდგინე, ამისთვისა მოეცა ღმრთის მიერ.

და კუალად, ოდეს გესმას სიტყუად მოციქულისაჲ, ვითარმედ: „არა რომელსა-იგი უნებს, არცა რომელი რბის, არამედ რომელი ეწყალნი ღმერთსა“, ² ესრეთ გულისწმა-ყავ სიტყუად იგი: ვინაჲთგან არიან ვიეთნიმე მზუაობარ სათნოებათა თვისთა ზედა, ვიდრელა ყოველსა მას საქმესა კეთილისასა თავთა თვისთა მიაჩემებენ და არა დამბადებელსა და მომნიჭებელსა კეთილისასა, ამისთვის გუასწავებს სიტყუად ესე, ვითარმედ: იგი მეზრ მოგონებაჲ კეთილისაჲ თუ სთქუა, საჭმარ არს ღმრთისა მიერ შეწევნაჲ, უფროჲსად გამორჩევაჲ კეთილისაჲ და შეყუარებაჲ ნიჭი არს კაცთმოყუარებისა ღმრთისაჲ. რამეთუ ჩუენიცა ნებაჲ საჭმარ არს და ღმრთისამიერიცა შეწევნაჲ, ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „არა რომელსა უნებს“, ესე იგი არს, ვითარმედ წარმართებაჲ კეთილისაჲ არა მისი ოდენ არს, რომელსა უნებს, არცა მისი ოდენ არს, რომელი რბის, არამედ წყალობისაჲცა და შეწევნისა ღმრთისაჲ არს, და მისა თანაგუაჲ მიჩემებად ყოვლისაჲვე კეთილისა; რამეთუ რაოდენცა ჰრბიოდი, რაოდენცა ილუანო, გიწმს ღმრთისამიერიცა შეწევნაჲ, რომლისაგან ეძიებ გვრგვინსა შრომათა შენთასა. ეგრეთვე არს წინამდებარეცა ესე სიტყუად, ვითარმედ: „არა ყოველთა დაიტიონ, არამედ რომელთა მიცემულ არს“. არა თუ ეგრეთ იტყვს, ვითარმედ: რომელთამე მიეცემის და რომელთამე არა. ნუ იყოფინ! არამედ მიეცემის, რომელთაცა ენებოს და ილუანონ. უკუეთუმცა ღმრთისა მიერ ხოლო მიეცემოდა და თავისაგანცა თვისისა არარას მოსწრაფებასა შემოიღებდეს მუშაკნი ქალწულეებისანი, რადესათვსლა აღუთქუა მათ სასუფეველი ცათაჲ, რომელთა არცა ერთი აჩუენეს მოლუანებაჲ? გარნა ჯერ-არს ნებაჲ კეთილისაჲ და მოლუანებაჲ, და ესევითართა მათ ღმრთისამიერიცა მიეცემის შეწევნაჲ, რადთა წარჰმართონ ღუანლი იგი კეთილი და ანგელოზთა მობაძავი.

„არა თუმცა უფალმან აღაშენაო სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვძებენ ჯუმილნი მისნი“. ³ ან უკუე არა ეგების ქუენოლაჲ და ძილი და თქუმაჲ, თუ: უფალმან აღაშენოს სახლი ჩემი, გინა დაიცვას ქალაქი ჩემი, არამედ ჯერ-არს შრომაჲ და შენებაჲ და მღვძარებაჲ და ჯუმილვაჲ, და მერმე, უკუეთუ სხუად რადმე ცოდვაჲ ჩუენი და უშჯულოებაჲ არა წინააღუდგეს მონყალებასა ღმრთისასა, უეჭუელად შეწევნაჲ მისი თანამოლუანე გუექმნების და აღაშენებს სახლსა ჩუენსა და დაიცავს ქალაქსა ჩუენსა. ეგრეთვე ქალწულეებისა ღუანლი და სასყიდელი დიდ არს, და გვწმს ღმრთისამიერი შეწევნაჲ, ხოლო იგი მიეცემის ყოველთაჲვე, რომელთაცა წადიერად ენებოს და ჯელყონ სრბად ასპარეზსა მას სულიერსა, ვითარცა ესერა იტყვს:

¹ მათ. 13,11.

² რომ. 9,16.

³ ფსალმ. 126,1.

სახარება: „რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისადათ საჭურისნი იყვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათადასა. რომელი შემძლებელ არს დატვენად, დაიტიენ“ (19,12).

თარგმანი: ამათ სიტყუათა მიერ სურვილად ქალწულებისა მოიყვანებს და გამოაჩინებს, ვითარმედ არა შეუძლებელ არს საქმე ესე. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: გულისწმა-ყავ, კაცო, უკუეთუმცა ბუნებით არა გაქუნდა აღძრვად, ვითარცა არიან შობითგან საჭურისნი, გინა თუმცა განსაცდელისაგან კაცთადასა გამოსაჭურისებულ იყავ, რამცა ჰყავ მაშინ? რამეთუ გულისთქუმათა აღსრულებისაგანცა გამოწუებულ იყავმცა და სასყიდელი არცა ერთი გაქუნდა. ან უკუე ჰმადლობდი ღმერთსა, რომელ სასყიდლისათჳს და გვრგვინისა საუკუნოდასა თავს-იდებ ამას, რომელსა იგინი უსასყიდლოდ და უგვრგვინოსნოდ თავს-იდებენ, და უფროსდა ფრიად უსუბუქესად და უადვილედ გექმნების შენ მოთმინებად სასოებითა მით სასუფეველისადათა და ძალითა გონებისადათა, ვიდრელა მათ, რამეთუ ვერ შემძლებელ არს მოკუეთად იგი ასოთად ესრეთ დამდორვებად ბრძოლასა მას გულისთქუმათასა, ვითარ გულისსიტყუად ღმრთისმოშიშებისად და სასოებად მერმეთა მათ კეთილთად. ამისთჳს უკუე აწესენა შობითგანნი იგი და კაცთამიერნი საჭურისნი, რადათა ესე გულისწმა-უყოს, ვითარმედ: რომელსა იგინი უსასყიდლოდ თავს-იდებენ, თქუნენ, უკუეთუ გნებავს, სასყიდლისა მისთჳს წარუვალისა თავს-იდევით ნეფსით აღვრ-სხმად გულისთქუმისად. ხოლო რომელ-იგი თქუა, თუ: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათადასა“, არა თუ წორციელსა გამოსაჭურისებასა იტყვს, რომელი მოკუეთითა ასოთადათა იქმნების. ნუ იყოფინ! არამედ გულისსიტყუათა ბოროტთა აღვოცასა იტყვს და ბოროტთა გულისთქუმათა წინააღდგომასა და აღმოფხურასა.

ხოლო გამო-თუ-ვინმე-ისაჭურისოს თავი თჳსი წორციელთა ასოთა მოკუეთითა, იგი უფროსად წყევასა ქუეშე არს, რამეთუ კაცისმკლველთა საქმესა იქმს და მიზეზსა სიტყვასასა მისცემს მათ, რომელნი დაბადებულთა ღმრთისათა სძაგებენ, და მანიქეველთა პირსა აღაღებს და საქმესა იქმს საწარმართოსა; რამეთუ გამოსაჭურისვად კაცთად, რომელი იქმნების მოკუეთითა ასოთადათა, პირველითგანვე საემშაკოდასა ღონისა საქმე იქმნა განზრახვითა სატანაფსითა, რადათა საქმე ღმრთისად შეასმინოს და ცხოელსა მას ღმრთისა მიერ დაბადებულსა ავნოს და ასწაოს კაცთა საქმე უცხოვ; რადათა არა ნებასა თვთმფლობელსა და ძალსა გონებისასა მიაჩემებდენ აღვრ-სხმასა გულისთქუმათასა, არამედ ბუნებასა ასოთასა.

ამისთჳსცა უმრავლესნი საჭურისთა მათგანნი ურიდად ცოდვენ უშიშებისათჳს შვილიერებისა და სხუათა უძკრესთა საქმეთა ერევიან. ორკერ-

ძოვე უკუე ავნებს კაცთა ესე საქმე, ასოთა მოჰკუეთს და გონებისა კეთილ-
თა მიმართ გულსმოდგინებასა დააყენებს.

ხოლო ესე ყოველი ღონის-ძიებად ეშმაკმან განანესა, ესე შჯული მის
მიერ დადებული არს, რადთა ყოველსავე ზედა ღმრთისა მიერ მოცემულსა
ჩუენდა აზნაურებასა ავნოს და დაარწმუნოს კაცთა, თუ ბოროტნი ბუნე-
ბითნი არიანო, და სხუად უმრავლესი უშჯულოებისა გულისსიძყუად დას-
თესოს სოფელსა შინა, რამეთუ ესევეითარნი არიან ღონენი მისნი.

ამისთვის გვედრები, საყუარელნო, ივლტოდეთ ესევეითარისა მის
უშჯულოებისაგან; რამეთუ პირველთქუმულთა მათ თანა ამასცა ვიტყვ, ვითარმედ:
არცა გულისთქუმანი ამის საქმისა მიერ განქარდებიან, არა-
მედ უმეტესადლა განძნდებიან, რამეთუ სხუათაგან აქუს კაცთა შორის
თესლსა მცენარებად, და სხვთ კერძო იქმნების ღელვად გულისთქუმათად.
და რომელნიმე იტყვან, თუ: ტვნისაგან; სხუანი იტყვან, თუ: თირკუმელთა-
გან გულისთქუმისა დინებად გამოეცენების. ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ:
არავინად არს სხუაგნით, გარნა გულისაგან გემოთმოყუარისა და გონე-
ბისაგან უდებებთა დაწნილისა. ხოლო უკუეთუ გონებამან სინმიდე შე-
იკრძალოს, ბუნებითისა აღძრვისაგან ვნებად არარად იქმნების.

ესრეთ უკუე აწსენნა რად უფალმან საჭურისნი იგი, ცუდად და ამა-
ოდ საჭურისნი, უკუეთუ არა შეიკრძალონ გონებითი სინმიდე, და კუალად
აწსენნა, რომელთა სასუფეველისათვს ცათაჟსა გამოისაჭურისნეს თავნი
თვსნი, ესე არიან სინმიდისა და ქალწულებისა მუშაკნი, მეყსეულად შესძი-
ნა და თქუა: „რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ“. ესე ამისთვის
თქუა, რადთა გამოაჩინოს სიმაღლე სათნოებისა მის და სურვიელ-ყვენეს
ყოველნი მისა მიმართ. რამეთუ ფრიადისა მის სახიერებისა მისისათვს არა
შეანყუდია საქმე ესე ჭირსა და იძულებასა შჯულისასა, არამედ ნებასა კა-
ცად-კაცადისასა ზედა დადვა გამორჩევად მისი, რადთა ნეფსითი იყოს კე-
თილი იგი, და რადთა ვერვინ თქუას, თუ: ქორწინებასა სძაგებს. რამეთუ
კეთილ არს ქორწინებად წესიერი და განყენებული ბოროტთა ტრფილთა-
გან, რადთა იყოს შვილიერებისათვს ოდენ. კეთილ არს იგი, გარნა უალ-
რეს არს და უმჯობეს ქალწულებად; დაღაცათუ ძნელ არს და საშრომელ,
არამედ რომელსა აქუნდეს წადიერებად და ჯელ-ყოს, მიეცემის მას შენე-
ნად ღმრთისად წარმართებად, უკუეთუ ოდენ არა დააყენოს შენევენად მი-
სი სხვსა რადსმე ვნებისა მძლავრებამან, გინა თუ ამპარტავანებამან და
ზუაობამან, გინა თუ განკითხვამან და შეურაცხებამან მოყუსისამან, ანუ
სხუამან რამანმე ესევეითარმან უდებებამან და დაწსნილებამან გონებისა-
მან, რამეთუ იქმნების თუალითაცა სიძვად და განრყუნად ქალწულებისად;
იქმნების ენითაცა ბოროტადმეტყუელითა შეგინებად; იქმნების ჯელითაცა
უნესოდ მიყოფითა ბრალსა მას შთავრდომად ცოდვისასა; იქმნების გო-
ნებითაცა შეგინებად, გამოსახვითა ბოროტთა საქმეთათა, რამეთუ გამო-
სახვადცა იგი ნაწილი არს სიძვისად, და უჯერო არს კერპებისა მის ბილნთა

საქმეთაღსა გამოსახვად სულსა შინა. ამისთვისცა თქუა უფალმან, ვითარმედ: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ესე“, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ შრომად უქმს და განკრძალვად, რომელსა სუროდის ქალწულებისათვის, და მერმე მოსცეს მას ღმერთმან მისმიერი შეწვენად.

ჰხედავა, ვითარ უკეთურებისაგან სხუათაღსა სხუანი შეიძენენ? რამეთუ მოუწდეს ფარისეველნი და ჰკითხეს უფალსა და წარვიდეს უსარგებლოდ, რამეთუ არა სარგებელისათვის ჰკითხეს, არამედ გამოცდისათვის. ხოლო მათდა მიმართ თქუმულისა სიტყუსაგან მოვიდეს მონაფენი კითხვად სიტყუათა ამათ, და ესმა მოძღურებად საღმრთოდ, და ისწავეს წესი სულიერისა და მაღლისა მოქალაქობისაღ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რადთამცა ჴელი დასდვა მათ და აკურთხნა იგინი, ხოლო მონაფენი ჰრისხვიდეს მათ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვიტართად არს სასუფეველი ცათაღ. და დასდვა მათ ზედა ჴელი“ (19,13-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მონაფენი პატივისა მისისათვის ჰრისხვიდეს მათ, რომელთა მოჰგუარეს ყრმები იგი, ხოლო უფალი ასწავებს მათ სიმდაბლესა. ამისთვის შეიწყნარებს ყრმათა მათ და ჴელსა დასდებს და იტყვს: „ესევიტართად არსო სასუფეველი ცათაღ“, ვითარცა ზემო თქუა.

ან უკუე ჩუენცა თუ გუნებავს სასუფეველისა ცათაღსა მკკდრ-ყოფად, ესევიტარი ესე სასოებად შევიტკობთ; რამეთუ ესე არს სრული სათნოებად, რადთა კაცი გულისწმის-ყოფით წრფელ იყოს, ესე არს ცხორებად ანგელოზებრი. ამისთვის ჰნატრის ყრმათა უმანკოთა, რამეთუ სული ესევიტარისა ყრმისაღ თავისუფალ არს ყოველთა ვნებათაგან, არა აქუს ძკრის-წსენებად, არცა რისხვად, არცა შურის-გებად, არცა გულისთქუმანი ბოროტნი, არარას ნამეტნავსა და მეტსა ეძიებს, არამედ ძუძუსა ხოლო დედისასა საზრდელად ბუნებისა, არა მწუხარე არს დაჭირვებისათვის საფასეთაღსა, ვითარესე ჩუენ, არცა მოხარულ არს დიდებისათვის გინა თუ სიმდიდრისა წარმავალისა, ვითარ-ესე ჩუენ ვიქმთ. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ესევიტართად არს სასუფეველი ცათაღ“, რადთა ნებითა ჩუენითა და გულისწმის-ყოფითა აღვასრულებდეთ კეთილთა მათ სათნოებათა, რომელნი ჩჩვლთა ბუნებით ჰქონან: უმანკოებასა და სინრფოებასა და სიმდაბლესა.

ვინაღთგან ყოველსა მას უკეთურებასა მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი მანკიერებისაგან და ამპარტავანებისა იქმოდეს, ამისთვის მარადის მონაფეთა უფალი უმანკოებასა და სიმდაბლესა ასწავლიდა, რამეთუ ეგულეობდა მათ წინამძღუარ-ყოფად ყოველისა სოფლისა, ხოლო წინამძღურობად, უკუეთუ არა დიდად ეკრძალოს კაცი, ამპარტავანებად მოიყვანებს, ვითარ-იგი შეემთხვა ფარისეველთა, და თავსა მას უკეთურებისასა მიიწინეს ამპარტავანებითა თვისითა, ვიდრელა განცდად უფლისა იკადრებდეს,

და მიიღეს წყევად და წარწყმდეს. ხოლო ყრმანი იგი, თავისუფალნი ესე-
ვითართა მათ ვნებათაგან, ღირს იქმნეს კურთხევასა უფლისასა. ამისთვის
მონაფეთა ესე ვითარსა მას წესსა სათნოებისასა ასწავებს სახიერი იგი მოძ-
ღუარი და კაცთმოყუარე უფალი.

სწავლად მბ უმანკობისათს და ძვრუწსენებლობისა

ან უკუე, საყუარელნო, ვიქმნეთ ჩუენცა, ვითარცა ყრმანი, არა გო-
ნებითა, არამედ ბოროტისათს ჩჩვლ ვიყვნეთ, ხოლო გონებითა – სრულ.
რამეთუ კაცი მანკიერი და მზაკუვარი ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა,
არამედ ჯოჯოხეთი დაიმკვდროს. და პირველ ჯოჯოხეთისაცა აქავე უკე-
თურებად და ზაკუვად დამსჯელ არიან კაცისა. და გულისწმა-ყავ, ვითარ
შეემთხვა ესე მრავალთა: საულ მანკიერ იყო და მზაკუვარ, ხოლო დავით
– უმანკო და წრფელ. იხილეთ უკუე, თუ ვინ უმჯობეს იქმნა. არა ორგზის
წელად-იგდოა დავით და უფალ იქმნა მოკლვად მისა? და არა თავს-იდვა
ქმნად ესე ვითარსა საქმესა ესოდენტა ბოროტთა მისთა ზედა. და მარა-
დის მეოტი იგი და დევნული მეფისა მის და ერთა მრავალთა წელმნიფისა
უძლიერეს იყო და უბრწყინვალეს ამისთვის, რამეთუ იგი მანკიერებითა სავ-
სე იყო, და ესე – უმანკობითა. და ესე ვითარისა მის მანკიერებისა და მზა-
კუვარებისა მისისათს დაუტევა იგი უფალმან, და მიეცა წელსა მტერთასა,
ხოლო დავითს, მისისა მის სინრფოებისათს და უმანკობისა და ძვრუწსე-
ნებლობისა, შემწე ეყო და განუმარჯუა ყოველივე კეთილი და იქსნა ყო-
ველთაგან მტერთა მისთა.

ან უკუე ჩუენცა, ძმანო, ვჰბაძვიდეთ მას და მსგავსთა მისთა წმიდათა
და მოშიშთა უფლისათა. განვაგდოთ ჩუენგან ყოველივე ზაკუვად, ყოვე-
ლივე მანქანებად, ყოველივე ორგულებად და მანკიერებად; უფროსად მო-
ვიგოთ სიმდაბლე, სიმშკდე, სინრფოებად და უმანკობად, უზაკუველობად,
სიმარტივე და სიყუარული, ვიქმნეთ ტრფიულ სათნოებისა, რადთა ამასცა
სანუთროსა ფრიადი გუაქუნდეს მშკდობად და მყუდროებად და ყოველთა
მიერ საყუარელ ვიყვნეთ და პატივცემულ და მერმესა მას საუკუნესა მი-
ვემთხვნეთ კეთილთა მათ წარუვალთა სასუფეველსა შინა ცათასა მადლი-
თა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად
არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარა-
დის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

წმიდანო და სათნონო ქრისტესნო. ვინ აღმოიკითხვიდეთ, ღოუწვა-ყავთ
სანაჭრელთა მამათა ჩუენთათს. მამისა იოვანესთს და მამისა ეფთჰმესთს,
რომელთა გუთარგმანეს წმიდად ესე სახარებად.

თავი 28

სიტყუად ესე: „და ვითარცა წარვიდა მიერ, აჰა მო-ვინმე-უჴდა მას კაცი ერთი და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რად-მე კეთილი ვქმნე, რადთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ?“ (19,15-16).

ვიეთნიმე იტყვან ამის ჭაბუკისათჳს, ვითარმედ ზაკუვეით და გამოცდით მოუჴდა იესუს, ხოლო მე ვეცხლისმოყუარედ და საფასეთა სიყუარულისაგან ძლეულად არა ვჰრიდებ ნოდებად, რამეთუ ქრისტემანცა ესევითარი ვნებად ამხილა მას; გარნა მზაკუვარად და გამომცდელად ვერ ვიტყვ, რამეთუ არცა ჯერ-არს უცნაურთა საქმეთათჳს ბრალისა შეჴდად, და მარკოზცა განაქარვებს იჴუსა ამას, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „მორბიოდა მისა და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე და ევედრებოდა მას“.¹ და კუალად იტყვს: „ხოლო იესუ მიხედა და შეუყუარდა იგი“.² გარნა დიდ არს მძღავრებად იგი ვეცხლისმოყუარებისა. დაღაცათუ სხჳთა სახითა კეთილ და სათნო ვიყვნეთ, უკუეთუ იგი გუეუფლოს, ყოველსავე განჰრყუნის. ამისთჳს იტყვს პავლე მოციქული, ვითარმედ: „ძირი ყოველთა ბოროტთად არს ვეცხლისმოყუარებად“,³ და მისგან აღმოეცენებიან ურიცხუნი ვნებანი.

ხოლო მო-რად-უჴდა უფალსა და ჰრქუა: „მოძღუარო სახიერო, რად კეთილი ვქმნა, რადთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ“, რადსათჳს ესრეთ მიუგო ქრისტემან, ვითარმედ: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“?⁴ ესე ესრეთ გულისჴმა-ყავთ: ვინაფთგან კაცი იგი, ვითარცა კაცსა ლიტონსა, მოძღურებითა სავსესა, მოუჴდა და არა ვითარცა ღმერთსა, ამისთჳს კაცობრივ ყო უფალმან მისა მიმართ სიტყუად; და ამას მრავალგზის იქმს, იჴჳსაებრ მკითხველთაჲსა მისცემს პასუხსა, ვითარცა-იგი ოდესმე იტყოდა: „ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით“,⁵ გონებისაებრ და უძღურებისა დედაკაცისა მის მიუგო; და კუალად თჴუა: „უკუეთუ მე ვწამებ თავისა ჩემისათჳს, წამებად ჩემი არა არს ჭეშმარიტ“.⁶ და ესევითარი მრავალი ჰპოო, რომელ იჴჳსაებრ მსმენელთაჲსა მიუგებდა სიტყუასა. ეგრეთვე ამას კაცობრივ იტყვს, იჴჳსაებრ მისისა. ხოლო რაჟამს თჴუა, თუ: „არავინ არს სახიერ“, არა თუ თავი თჳსი განაყენა სახიერებისაგან. ნუ იყოფინ! არამედ „არავინ არსო სახიერ“, ესე იგი არს, კაცთაგანი არავინ არს სახიერ. და ესეცა თუ თჴუა, არცა თუ კაცნი განაყენნა სახიერებისაგან, გარნა შემსგავსებულად სახიერებასა ღმრთისასა არავინ არს კაცთაგანი. ამისთჳს შესძინა: „გარნა მხოლოდ ღმერთი“. არა თჴუა, თუ: მამად ხოლო ჩემი, არამედ: „მხოლოდ ღმერთი“, რამეთუ ძეცა ეგრეთვე ღმერთ არს, ვითარცა მამად, და განუყოფელ არს მისგან

¹ მარკ. 10,17. ² მარკ. 10,21. ³ 1 ტიმ. 6,10. ⁴ მათ. 19,17. ⁵ იოან. 4,22. ⁶ იოან. 5,31.

ღმრთეებითა სულით წმიდითურთ; ვითარცა უკუე ღმრთეებითა განუყოფელ არს წმიდად სამებად, ეგრეთვე სახიერებითა.

ვინაფთგან უკუე აჩუენა ჭაბუკმან მან გულსმოდგინებად და ცხორებისათვის საუკუნოდასა ჰკითხა, ამისთვის აღამაღლებს გონებასა მისსა და ასწავებს, რაფთა ყოვლისავე კაცობრივისა გულისსიტყვასაგან განაშოროს გონებად თვისი და გულისწმა-ყოს ჭეშმარიტი იგი სახიერი, წყაროდ იგი და ძირი ყოველთა კეთილთა; რამეთუ ენება კაცისა მის მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოყვანებად. ამისთვის თესლი იგი კეთილი დასთესა გულსა მისსა, რამეთუ იყოცა ქუეყანად იგი მსუქანი და პოხილ. გარნა სიმრავლე ეკალთად თესლსა მას შეაშობდა, ვითარცა თქუა უფალმან სხუასა ადგილსა. და იხილე, ვითარ განმზადებულ იყო იგი მორჩილებად სწავლათა უფლისათა, რამეთუ „მირბოდა მისა და მუჭლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რად კეთილი ვქმნე, რაფთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ?“ უკუეთუმცა გამოცდით ეტყოდა სიტყუათა მათ, მახარებელსამცა გამოეჩინა, და უფალსამცა ემხილა, და იგიმცა არა წარსრულ იყო მწუხარე სიტყუათა მათ ზედა, ვითარცა-იგი ფარისეველნი არაოდეს წარვიდოდეს მწუხარედ, არამედ მარადის გამოსცდიდეს, და ოდეს პირი დაუყვის, განრისხნიან. გარნა ამან არა ესრეთ ყო, არამედ წარვიდა მწუხარედ, რომელ-ესე სასწაული არს, ვითარმედ არა უკეთურითა გონებითა მოუჭდა, არამედ უძღურითა, და სუროდა ცხორებისა მიმთხუევად. ამისთვის ჰკითხვიდა უფალსა, რაფთა მიუთხრას საქმე უაღრესი რაფმე მცნებათა მათ შჯულისათა, გარნა შეპყრობილ იყო სხვსა ბოროტისა ვნებისაგან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო იესუ ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს ცხორებასა შესლვად, დაიმარხენ მცნებანი, რაფთა არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო; პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. რაფლა მაკლს მე? ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ გნებავს, რაფთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა; და მოვედ, შემომიდეგ მე“ (19,17-21).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილეა, რაფდენი გვრგვნი უჩუენა მას და რაფდენი კეთილი წინაუყო? და ნება-სცა მას მიღებად ნიჭი იგი. ამისთვისცა, ვიდრელა ღუანლი იგი არა ეთქუა, გვრგვნი უჩუენა მას და ჰრქუა: „უკუეთუ გნებავს, რაფთა სრულ იყო“, და მერმელა შესძინა: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა“, და მეყსეულად სასყიდელი უჩუენა: „და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა; და მოვედ და შემომიდეგ მე“; და ესე კუალად უზემთაესი არს ყოველთა ნიჭთასა – შედგომად უფლისა. რამეთუ დატევებისათვლსა საფასეთადასა იყო სიტყუად მისი, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“, რაფთა უჩუენოს, ვითარმედ არა უცხო-ჰყოფს სიმდიდრისაგან,

არამედ უფროხსად შესძინებს სიმდიდრესა მისსა, და ესოდენ უაღრესსა მისცემს და უმჯობესსა, რაოდენ ცაჲ უაღრეს არს ქუეყანასა, და უხრწნელი იგი და წარუვალი – განხრწნადსა მას და წარმავალსა. გარნა საცნაურ არს, ვითარმედ არა კმა არს უგულებელს-ყოფად საფასეთად, არამედ ჯერ-არს შედგომად ქრისტესი. ესე იგი არს, რადთა სხუანიცა მცნებანი მისნი აღვასრულნეთ და მზა ვიყვნეთ სახელისა მისისათჳს დათხევად სისხლისა და მარადლე სიკუდილად, ვითარცა თავადი ბრძანებს: „რომელსა ჰნებავს შემდგომად ჩემსა მოსლვად, უარ-ყავნ თავი თჳსი და აღილენ ჯუარი თჳსი და შემომიდგე მე“;¹ რამეთუ ფრიად უმაღლეს არს ესე მცნებაჲ დატევებასა საფასეთასა. ესე იგი არს შედგომად უფლისაჲ აღსრულებითა მცნებათა მისთაჲთა და დათხევად სისხლისაჲ სახელისა მისისათჳს და დათმენად სიკუდილისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ვითარცა ესმა ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად“ (19,22).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ნანდკლვე არა სწორად შეჰკრვენ მცირედნი საფასენი და მრავალნი გონებასა, არამედ იპოოს რად კაცი ანგაჰრებისაგან ძლეულ, რაოდენცა საფასენი განმრავლდებოდინ, უმტკიცესითა საკრველითა შეიკრვის გული მისი, და უმეტესად აღეტყინების ტრფიალებაჲ იგი ვეცხლის-მოყუარებისაჲ. იხილეთ უკუე აქაცა, ვითარი ძალი აჩუნა ვნებამან მან, რამეთუ რომელი-იგი სიხარულით მოუჴდა უფალსა და ეძიებდა ცხორებასა საუკუნესა, უბრძანა რად უფალმან დატევებაჲ საფასეთად, ესოდენ შეაჭირვა და დაამძიმა, ვიდრელა სიტყჳს-მიგებადცა ვერ უძლო, არამედ დუმილით წარვიდა მწუხარე და ფრიად მჭმუნვარე. ამისთჳსცა ისმინეთ უფლისაჲ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო იესუ ჰრქუა მონაფეთა თჳსთა: ამენ გეტყჳთქუნენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა. და მერმე გეტყჳთქუნენ: უადვილეს არს მანქანის საბელი განსლვად ჴურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა“ (19,23-24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა საფასეთა ზედა დასდებს ბრალობასა, არამედ შეპყრობილთა სიყუარულითა მათითა. ხოლო უკუეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს, ანგაჰრისათჳს რად-მე ვთქუათ? უკუეთუ არამიცმად გლახაკთად საფასეთა თჳსთად დამაყენებელ არს შესლვად სასუფეველსა, მოხუეჭად სხუათაგან რადენ უმეტესად შეკრებს ცეცხლსა თავსა ზედა მიმხუეჭელთასა? ხოლო დაღაცათუ თქუა, ვითარმედ: „ძნიად შევიდენ“, არამედ მეყსეულად გამოაჩინა სრულიად შეუძლებელი იგავითა მით ნემსისაჲთა; გარნა შეუძლებელი იგი კაცთაგან ღმრთისა მიერ შესაძლებელ არს.

¹ ლუკ. 9,23.

სახარება: „ვითარცა ესმა ესე მონაფეთა, განუკრდა ფრიად და იტყოდეს: და ვის ჳელ-ენიფების ცხორებად? მიხედა იესუ და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“ (19,25-26).

თარგმანი: გამოაჩინა სახიერმან მან სიტყვთა თვისთა, ვითარმედ არა მცირედი განმზადებულ არს სასყიდელი მდიდართადა, უკუეთუ ხოლო შეუძლონ ესევეთარსა მას ძნელსა საქმესა შინა აღსრულებად მცნებათა ქრისტესთა და დამარხვად სათნოებისა. ამისთვისცა თქუა, ვითარმედ: ღმრთისამიერისა შენევისა საქმე არს ესე, და მისმიერი მადლი უჳმს წარმართებად ამისა.

ხოლო მონაფენი რადსათვს განკვრდეს და შემფოთნეს? არა თუ მდიდარნი იყვნეს იგინი, არამედ ფრიადიცა სიგლახაკე აქუნდა, გარნა სხუათა ცხორებისათვს შეურვებულ იქმნეს; რამეთუ ვითარცა მოძღურად ყოვლისა სოფლისა დადგინებულთა, ფრიადი ზრუნვად აქუნდა ცხორებისათვს კაცთადა, და შეძრწუნდეს, ესმა რად სიტყუად ესე. ამისთვის მიხედა მათ იესუ. ესე იგი არს, ვითარმედ თუალითა სახიერითა მიხედა და შეძრწუნებულსა მას გულსა მათსა ნუგეშინის-სცა და მერმელა სიტყუად მიუგო ტკბილი და თქუა, ვითარმედ: „ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“. ხოლო არა თუ ამისთვის თქუა, თუ: „ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“, რადთა შენ, კაცო, ვითარცა შეუძლებელისა საქმისაგან, წარიკუთო სასობად კეთილთა წარმართებისად, არამედ რადთა მოსწრაფე იქმნა ძლიერად და ღმერთსა უწოდო შენევნად შენდა და ილუანო სათნოებისა მოგებად, რადთა ჰპოო ცხორებად საუკუნოდ. ხოლო ესე ვითარ-მე იყოს? გარნა ვითარცა ან მოგიტხრობ: შეურაცხყავ ყოველივე ესე წარმავალი, დააცარიელენ საფასენი გლახაკთა ზედა, განეშორე ბოროტთა გულისთქუმათა, რადთა წარემართო გზასა მას ცხორებისასა.

სწავლად 28 ვეცხლისმოყუარებისათვს

ხოლო გნებავს თუ ცნობად, ვითარ იქმნების შეუძლებელი იგი შესაძლებელ, ისმინე შემდგომი იგი სიტყუად. რამეთუ ოდეს-იგი ჰრქუა პეტრე: „უფალო, აჰა ესერა ყოველი დაუტევეთ და შეგიდევით შენ; რად-მე იყოს ჩუენთვის?“¹ მიუთხრა უფალმან განმზადებული იგი მათთვის სასყიდელი და მეყსეულად ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამად, ანუ დედად, ანუ ცოლი, ანუ შვილ-

¹ მათ. 19,27.

ნი, ანუ ქუეყანად სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მოილოს და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროს“.¹

აჰა ესერა გუასწავა, თუ ვითარ იქმნების შეუძლებელი იგი შესაძლებელ. თქუას უკუე ვინმე: და ვითარ იყოს ესე დატეობად ყოვლისაჲვე, ვითარ განიფრთხოს, რომელი ერთგზის დანთქმულ იყოს ტრფიალებითა საფასეთაჲთა? ესე ესრეთ იყოს, რაჲთა გულისწმა-ყოს ამაოებად სოფლისაჲ და მცირედ-მცირედ ისწრაფოს წარუვალთა მათ მიმართ სრბად. ან უკუე, დაღაცათუ ვერ ძალ-გიც, კაცო, ერთბამად ყოვლისაჲვე წარმართებად, არამედ წელიად აღვიდოდე კიბესა მას ზეცად აღმყვანებელსა, განაყენე თავი შენი ფრიადისა მის ანგაჰრებისაგან და მოხუეჭისა სხუათაგან და მერმე იწყო თჳსისაგანცა სხუათა მიცემად.

დააცხრვე შენ შორის სურვილი ეგე მრავალთა საფასეთაჲ, რაჲთა არა იყო მარადის გლახაკ. რამეთუ მითხარლა, ვინ უმეტესად იგუემების: რომელსა სუროდის ფრიადისა ჭამისა და სუმისათჳს და არა აქუნდეს, ანუ რომელსა ყოვლაჲვე არა უნდეს ჭამად და სუმად? საცნაურ არს, ვითარმედ იგი, რომელსა აქუნდეს სურვილი და არა მიემთხუეოდის გულისთქუმასა თჳსსა, უმეტესად იგუემების. ამისთჳსცა გეჰენიაჲ ამით წესითა გამოგვსახა ქრისტემან, რამეთუ იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: სწადოდა წუეთისა ერთისა წყლისა პოვნად და არა ეპოებოდა ცეცხლსა მას შინა. ეგრეთვე რომელმან უგულუბელს-ყვენეს საფასენი, დაუყენებიეს გულისთქუმად იგი, ხოლო რომელსა სუროდის სიმდიდრისათჳს, მარადის ნაკულევეან არს; დაღაცათუ ბევრი შანთი მოიგოს, უმეტესისა სურვიელ არს და სწადინ, თუმცა მთანი და ბორცუნი ოქრო და ვეცხლ ექმნეს; † ამაოდ იგი სიბორგილე!

ხოლო შენ, ძმაო, ესევეთარი ბოროტი საფასეთა სიყუარული განაგდე შენგან და მოიგე სურვილი საუკუნეთა მათ და წარუვალთა საუნჯეთაჲ, სადა-იგი შრომად მცირედი გჳჳმს მოგებად, და სარგებელი მიუთხრობელი არს მომგებელთა მისთაჲ. მათ საუნჯეთა სურვილი რაჲ მოიგო, ადვილად აღგიჩნდეს წარმავალთა მათ და მავნებელთა მონაგებთა შეურაცხ-ყოფად და ყოვლისაჲვე განბნევაჲ და შედგომად ქრისტესი, რაჲთა ღირს იქმნე ცხორებასა მას საუკუნესა.

გულისწმა-ყვენ ბოროტნი იგი ვეცხლისმოყუარებისანი, რამეთუ პირველ მერმისა მის გეჰენიისა აქავე ბოროტად დამშჯელ არს სულისა. ამან სახლნი მრავალნი დაარღვნა, ამან ბრძოლანი ბოროტნი აღადგინნა, ესე აზნაურებასა მას სულისასა მონა მონათა ჰყოფს, ახოვანთა მოშიშად გარდააქცევს, ასწავებს ტყუილსა ფიცსა, ცილისწამებასა, მტაცებლობასა, ანგაჰრებასა და სხუასა ყოველსაჲვე ძჳრსა, რამეთუ ნანდკლვე ძირი არს იგი ყოველთაჲვე ბოროტთაჲ.

¹ მათ. 19,29.

გულისწმა-ყავ უკუე, კაცო, ვითარ დააბნელებს იგი სულსა შენსა, ვითარ ოწერ და წარწყმედულ ჰყოფს. და ამის ყოვლისა შემდგომად მოვალს სიკუდილი და ბოროტად შენ მიერ შეკრებულთა მათ საფასეთა ჴელად მტერთა შენთა მიიღებს, ხოლო შენ წარგიყვანებს ცარიელსა მის ყოვლისაგან. არარად გაქუნ შენ თანა, გარნა ხოლო წყლულებანი იგი, რომელნი საფასეთა მათგან შეემთხვნეს სულსა შენსა, რამეთუ სიმრავლე სიმდიდრისად და შუენიერებად სამოსელთად და დიდებად სოფლისად დიდად მოსწყლვენ სულსა და მრავლითა ბოროტითა აღავსებენ მას. ხოლო შენ გულისწმა-ყავ პეტრე და პავლე, გულისწმა-ყავ იოვანე და ელია, უფროსლა გულისწმა-ყავ ქრისტე, ძე ღმრთისად, რომელსა არა აქუნდა, სადამცა თავი მიიდრიკა. მას ჰბაძვედი და მონათა მათ მისთა, რომელთა არა სიმდიდრითა, არამედ სიგლახაკითა და ჭირვეულობითა აღასრულეს ცხოვრებად ესე და მოიგეს ჭეშმარიტი სიმდიდრე. და ყოველსავე ზედა სიტყუად უფლისად ყურად-ილე, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ძნად შევიდენ მდიდარნი სასუფეველსა ცათასა“; და ამას სიტყუასა წინააღუდგინე მთანი და ბორცუნი, ქუეყანად და ზღუად და თქუ, ვითარმცა ყოველივე იგი ოქრო იყო, და ყოველივემცა ჴელმწიფებასა შინა შენსა იყო, და ყოვლისავე სოფლისა და ყოველთავე კაცთა მეუფებდმცა, კიდითგან ქუეყანისაით ვიდრე კიდედმდე მისა, და შემოდოდამცა შენდა ოქროდ, ვითარცა წყალი; შეესწორებისა ამის ყოვლისა უფლებად გამოვრდომასა სასუფეველისაგან? ნუ იყოფინ! არცა თუ ბევრეულნი სოფელნი, ამის ყოვლისა სოფლისა სწორნი, მოეცნენ ვის, შეესწორების მათ ყოველთა შეძინებად ზღვევასა მას სასუფეველისასა. ვინაითგან უკუე ესე ესრეთ არს, რად-მე ვთქუათ ჩუენ, რომელნი მცირედისა და არარადსა მონაგებისათს და საფასეთათს ცუდთა და უნდოთა ანუ სხვსა რადსმე წუთერთისა გულსთქუმისათს გამოვვარდებით სასუფეველისაგან ცათადსა? ამისთვის გარეშენიცა ფილოსოფოსნი დედაქალაქად ბოროტთა იტყოდეს ვეცხლისმოყუარებასა, ხოლო ნეტარმან პავლე უმეტესად შემსგავსებული სახელი მოიპოა და „ძირად ყოველთა ბოროტთა“¹ უწოდა მას.

ან უკუე, ძმანო, ესე ყოველი ვისწაოთ და ნუ მათ ვჰბაძავთ, რომელთა ბაძვად უჯერო არს: მონაგებთა ფრიადთა და ტაძართა შუენიერთა და სიმდიდრესა მრავალსა; არამედ მათ ვჰბაძვიდეთ, რომელთა აქუს პირველისა მიმართ კადნიერებად ფრიადი, და მოქალაქობად მათი არს ცათა შინა, და საუნჯენი მათნი მუნ დამარხულ არიან (ესე არიან ქრისტესთვის გლახაკნი და ჭეშმარიტისა მის სიმდიდრისა მეძიებელნი), რადთა მათ თანაცა მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ 1 ტიმ. 6,10.

თავი 29

სიტყუად ესე: „მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდევით შენ; რად-მე იყოს ჩუენტვს?“ (19,27).

რომელსა იტყვ, ჰ ნეტარო პეტრე, თუ: „ყოველი დაუტევეთ“? ბადეთა იტყვა, ანუ სათხეველთა, ანუ ლერწამსა, ანუ ნავსა, ანუ თევზობასა? ამას ყოველსა იტყვა? ჰე, ჭემმარიტადო, მომიგებს მოციქული; გარნა არა ზუაობით ვიტყვ ამას ანუ სიქადულით, არამედ რადთა კითხვითა ამით ჩემითა შორის შემოვიყვანო კრებული იგი გლახაკთაჲ. ვინადგან თქუა უფალმან, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს, რადთა სრულ იყო, წარვედ, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“, რადთა არავინ თქუას გლახათაგანმან, ვითარმედ: რად არს, უკუეთუ არა მაქუნდეს მონაგები, არა ჳელ-მენიფების სრულ-ყოფად? ამისთვის ჰკითხა პეტრე, რადთა ისნაო შენ, გლახაკო, ვითარმედ არარადთა ნაკლულევან ხარ, უკუეთუ გინდეს სრულ-ყოფად. ამისთვის ჰკითხა პეტრე, რადთა არა სხვსა ვისგანმე ისნაო და იჭუეულ იყო, არამედ პეტრესგან, თავისა მის მოციქულთაჲსა, და მტკიცედ შეინწყნარო. ამის ესევეთარისა ჯერისათვს მიიჩემა პეტრე პირი ყოვლისა სოფლისაჲ და ამისთვის თქუა ესრეთ. უკუეთუ არა, თავისა თვისისათვს მან პირველისა მისგან სიტყვსა არა იცოდაა? რამეთუ რომლისადა რწმუნებულ იყვნეს კლიტენი სასუფეველისანი, არა იცოდაა, ვითარმედ იგი მუნ შესლვად იყო? არამედ ყოველთათვს ჰკითხა.

და იხილე გონიერებით კითხვად მისი. ვინადგან უფალმან მდიდარსა მას ორი ესე ამცნო: განსყიდაჲ მონაგებთაჲ და მიცემაჲ გლახაკთა და, მეორედ, შედგომად მისი, ამისთვის ან მოციქულმანცა ორი ესე თქუა: „აჰა ესერა ყოველი დაუტევეთ და შეგიდევით შენ“; რამეთუ დატევებად ყოვლისაჲ შედგომისათვს უფლისა იქმნა, და შედგომად იგი დატევებითა ყოვლისაჲთა უადვილეს და მტკიცე გამოჩნდა.

სახარებაჲ: „ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ თქუენ, რომელნი შემომიდეგით მე, მერმესა მას მოსლვასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განშჯად ათორმეტთა ნათესავთა ისრაჳლისათა“ (19,28).

თარგმანი: თქუეს ვიეთმე, ვითარმედ: ვითარ აღესრულოს სიტყუად ესე უფლისაჲ? რამეთუ მაშინ, ოდეს ესე თქუა, იუდაცა მათ თანა იყო. რად არს უკუე, იუდაცა დაჯდეს საყდარსა ზედა? ესე არა ეგების. ვითარ უკუე აღესრულოს ბრძანებაჲ უფლისაჲ ამის პირისათვს? ისმინეთ მეტყუელთა მაგათ, თუ ვითარ გულისჳმა-ჰყოთ: შჯული განწესებულ არს ღმრთისა მიერ და აღწერილ არს წიგნსა შინა იერემია წინადაწარ-

მეტყუელისასა, რომელიცა წარუკითხა მან ჰურიათა, და ესრეთ იტყვს: „აღსასრული ვთქუა ნათესავთა ზედა, გინა მეფეთა ზედა, მოსპოლვად და დარღუევად მათდა და წარწყმედად მათდა. და მოიქცეს ნათესავი იგი უკეთურებათაგან მათთა, და მე შევინანო ბოროტებათა მათთათვს, რომელნი ვზრახენ ყოფად მათდა. და სრულიად ვთქუა ნათესავსა ზედა და მეფობასა ზედა აღშენებად მათდა და დანერგვად მათდა. და ყონ ბოროტი წინაშე ჩემსა არა სმენად ჴმისა ჩემისა, და მეცა შევინანე კეთილთა მათთვს, რომელნი ვთქუენ ყოფად მათდა“.¹ იტყვს უკუე, ვითარმედ ამას წესსა დავიმარხავ კეთილსაცა ზედა და ძკრსაცა: უკუეთუ ვთქუა აღშენებად ნათესავსაო, და გამოაჩინენ მათ თავნი თვსნი უღირსად აღთქუმისა მის, არღარა აღვასრულო აღთქუმად იგი, ვითარცა იქმნა დაბადებასა კაცისასა, რამეთუ თქუა: შიში თქუენი და ზარი თქუენი იყავნ მწეცთა ზედა, და არა იქმნა, რამეთუ უღირსად გამოვაჩინენით თავნი ჩუენნი ესევეითარისა მის ჴელმწიფებისა. ეგრეთვე შეემთხვა იუდას. ამისთვისცა თქუა ესრეთ წინაღწარმეტყუელისა მიერ, რადთა არცა ცოდვილთა წარიკუეთონ სასოებად და ეგნენ უნანელად, არცა რომელნი ჰგონებდენ თავთა თვსთა სიმართლესა შინა, უდებ იქმნენ. ორსავე ამას ჰკურნებს და იტყვს: უკუეთუ ვთქუა ტანჯვად შენთვს, კაცო, ნუ წარიკუეთ სასოებასა, რამეთუ ჴელ-გენიფების სინანულად და დაწსნად რისხვისა ჩემისა, ვითარ-იგი ქმნეს წინეველთა; და კუალად, უკუეთუ აღგითქუა კეთილი რადმე, ნუ უზრუნველ იქმნები აღთქუმისა მისთვს, რამეთუ უღირს თუ იპოო, არარას გერგოს აღთქუმად იგი ჩემი, არამედ უფროსად ტანჯვისა მიზეზ გექმნას, რამეთუ მე ღირსთა აღუთქუამ აღთქუმასა ჩემსა. ესრეთ არს სიტყუად უფლისაჲ.

ამისთვისცა მაშინ, ეტყოდა რად მონაფეთა, არა ესრეთ მარტივად თქუა, თუ: დასხდეთ თქუენ ათორმეტთა საყდართა, არამედ ესრეთ თქუა, რამეთუ: „თქუენ, რომელნი შემომიდეგით მე, დასხდეთო ათორმეტთა საყდართა“, რადთა სიტყვთა ამით იუდაცა კიდე განაშოროს სიტყვსა მისგან, და რომელთა შემდგომად ამისა ეგულებოდა შედგომად კუალსა უფლისასა და მცნებათა მათ მისთა ყოვლადწმიდათა, მისცეს სასოებად კეთილი. რამეთუ არცა კეთილნი იგი აღთქუმანი მოციქულთათვს ოდენ განუწესებიან, არამედ ყოველთათვს წმიდათა, არცა უღირსთათვს თქუმულნი სატანჯველნი იუდასთვს არიან, არამედ სხუათათვსცა მსგავსთა მისთა. რამეთუ მოციქულთა მერმისა მის საუკუნოდასა პატივი აღუთქუა, ვითარცა აღმალღებულთა ყოვლისავე სოფლისაგან და არამეძიებელთა ამის საწუთროდათა, ხოლო სხუათა, რომელნი ჯერეთ ვერ ესევეითარსა საზომსა იყვნენ, ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ ქუეყანაჲ სა-

¹ იერ. 18, 7-10.

ხელისა ჩემისათვის, ასი წილი მიიღოს ჟამსა ამას და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროს“ (19,29).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რადთა არა ჰგონებდენ, რომელთა ესმოდის ზემოთქუ-
მული იგი სიტყუად, თუ განთვსებულ არს დიდებად საუკუნოდსა მის მოცი-
ქულთათვის ხოლო, ამისთვის განჰმარტა სიტყუად თვისი და განჰფინა აღთქუ-
მად იგი ყოველსა ზედა სოფელსა, აქაცა აღუთქუა და მას საუკუნესაცა. რა-
მეთუ მონაფეთაცა, ოდეს უსწავლელლა იყვნეს და უძღურ, სანუთროსა-
საცა უქადებდა. ოდეს-იგი უწოდდა, ჰრქუა მათ, ვითარმედ: „გყვნე თქუენ
მესათხევლე კაცთა“,¹ ხოლო ვინაფთგან აღამალლა საზომი სათნოებისა
მათისა, მერმე საუკუნოდსა მისთვის ხოლო იწყო მითხრობად და სოფლისა
ამისგან სრულიად განაშორებდა.

ხოლო რად არს სიტყუად ესე, თუ: „დასხდეთ ათორმეტთა საყდართა
განსჯად ათორმეტთა ნათესავთა ისრაჴლისათა“? ესე იგი არს, ვითარ-
მედ: იყვნეთ დამსჯელ მათდა; რამეთუ არა თუ მსაჯულად ეგულეების
მათ დაჯდომად, – ესე საქმე მხოლოდსა ქრისტესი არს, ძისა ღმრთისა, –
არამედ ვითარცა თქუა, ვითარმედ: „დედოფალი სამხრისა აღდგეს საშ-
ჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი; და კაცნი ნინეველ-
ნი დაშვიდენ ნათესავსა ამასო“,² ეგრეთვე მოციქულთათვის იტყვს. ამის-
თვისცა არა თქუა, თუ: დასხდეთ განსჯად წარმართთა ანუ განსჯად სოფ-
ლისა, არამედ „ნათესავთა ისრაჴლისათაო“, ვინაფთგან მოციქულნი წეს-
თა მათ შინა ებრაელთასა აღზრდილ იყვნეს და მასვე შჯულსა და მასვე
მოქალაქობასა შინა. უკუეთუ თქუან ჰურიათა, ვითარმედ: ამისთვის ვერ
გურნმენა ქრისტე, რამეთუ შჯული ჩუენი გუაყენებდა და წესნი იგი მა-
მულნი, მაშინ შემოვიდენ შორის მოციქულნი, რომელთა იგივე შჯული
აქუნდა და იგივე წესნი და არავინა დაიხრწინეს რწმუნებად ქრისტესა,
და დასაჯნენ იგინი, ვითარცა იტყვს სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „დამ-
სჯელ თქუენდა იყვნენო იგინი“.³ თქუას ვინმე, ვითარმედ: და რად დიდი
სასყიდელი აღუთქუა ესე, უკუეთუ სწორად ნინეველთა და დედოფლისა
მის სამხრისა მიეცემის მათ მისაგებელი? არამედ გულისგმა-ყავ გამომე-
ძიებელმან მან, ვითარმედ სხუანიცა მრავალნი კეთილნი აღუთქუნა მათ
და არა თუ ესე ხოლო განუწესა მისაგებელად და სასყიდელად მათდა.
გარნა აქაცა მეზრ არარად არს მსგავსებად მოციქულთად და ნინეველთად,
რამეთუ მათთვის ესრეთ იტყვს ლიტონად: „კაცნი ნინევისანი აღდგენ სას-
ჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშვიდენ მას; და დედოფალი იგი
სამხრისა აღდგეს საშჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი“;
ხოლო მოციქულთათვის არა ესრეთ თქუა, არამედ ეტყვს: „რაჟამს დაჯ-
დეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თქუენცა ათორ-
მეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ნათესავთა ისრაჴლისათა“. ამით

¹ მათ. 4,19.

² მათ. 12, 42,41.

³ მათ. 12,27.

გამოაჩინა, ვითარმედ ზიარ სუფევისა და დიდებისა მისისა ყოფად არიან, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ დავითმინოთ, მის თანა ვსუფევდეთ“.¹ რამეთუ რომელ იტყვს, თუ: „დასხდეთ ათორმეტთა საყდართა“, არა თუ დაჯდომასა მოასწავებს, რამეთუ იგი მხოლოდ არს, რომელსა ეგულების დაჯდომად განკითხვად ცხოვლთა და მკუდართა, არამედ სიტყვთა ამით და სახელითა საყდართათა მოასწავა გამოუთქუმელი იგი დიდება და პატივი, რომელ ეგულების მაშინ მინიჭებად წმიდათა მოციქულთადა. და მათთვის ესრეთ თქუა, ხოლო სხუათა მოშიშთა მისთა აღუთქუა ასი წილი სასყიდელი აქავე და მერმესა მას საუკუნესა ცხორებად საუკუნოვ. ხოლო ვინათგან სხუათა ესრეთ აღუთქუა, რაბამ უაღრესი ყოფად არს და უზეშთაესი დიდებად მონაფეთა მისთად? ხოლო ესეცა მეზრ აღესრულავე მათ ზედა, ვითარმედ: „ასი წილი ჟამსა ამას“, რამეთუ დაუტევეს თევზობად და იქმნეს მოძღუარ ყოვლისა სოფლისა; და ყოველნი მონაგებთა თვსთა და თავთაცა თვსთა ჴელმწიფებასა მათსა მისცემდეს და სიკუდილადცა მათთვის მზა იყვნეს, ვიდრელა პავლე მრავალთათვის წამებს ესე ვითარსა გულსმოდგინებისა, ვითარ-იგი გალატელთა მიუწერა: „ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ შემინწყნარეთო, ვითარცა ქრისტე იესუ. რამეთუ გენამები თქუენ, ვითარმედ შე-თუმცა-საძლებელ იყო, თუაღნიმცა თქუენნი აღმოიწადენით და მომცენით მე“.² და შემდგომადცა აღსრულებისა მათისა ყოვლისა სოფლისაგან იდიდებიან, და მეფენი და მთავარნი, ვითარცა მონანი, მუჴლთ-მოდრეკით თაყუანის-სცემენ ნაწილთა მათთა, ხოლო საუკუნოვ იგი დიდებად მათი მოუგონებელ არს და გამოუთქუმელ ენითა კაცობრივითა და უაღრეს ყოვლისა ცნობისა.

ხოლო რომელ-იგი თქუა უფალმან, ვითარმედ: „რომელმან დაუტეოს მამად და დედად, ცოლი და შვილნი“, არა თუ ამას ბრძანებს, რადთა ესრეთ მარტივად ყოველნივე ქორწინებანი დაიწსნენ და ყოველნი მეუღლენი განეშორნენ ურთიერთას, არამედ ვითარცა-იგი სულისათვის იტყოდა რად, ვითარმედ: „რომელმან წარინწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი“,³ არა თუ ესრეთ ბრძანა, რადთა მოვიკლვიდეთ თავთა თვსთა, არამედ ესე გუამცნო, რადთა მოინიოს რად ჟამი ესე ვითარი, რომელ ცხორებად ესე საწუთროდ მიზეზ განრისხებისა ღმრთისა და მისგან უცხო-ყოფისა გუექმნებოდის, მაშინ სახელისათვის ღმრთისა არა ვჰრიდოთ თავთა თვსთა მიცემად სიკუდილად, ეგრეთვე მამა-დედათათვის და ცოლისა და შვილთათვის გულისწმა-ყავ. უკუეთუ ხედვიდე, ვითარმედ სული შენი წარწყმდების და რისხვად ღმრთისაჲ შენ ზედა მოინევის, ნურარას პატივ-სცემ უფროვს ღმრთისა. და კუალად სიტყვთა ამით სხუასაცა პირსა მოასწავებს, რამეთუ ჟამთა მათ დევნულებისათა მრავალნი მამანი შვილთა მათთა უშჯულოებად მოიზიდვიდეს, ცოლნი ქმართა, ანუ თუ ქმარნი ცოლთა;

¹ 2 ტიმ. 2,12.

² გალ. 4, 14-15.

³ მათ. 10,39.

გვბრძანებს უკუე უფალი, ვითარმედ ოდეს ესევეთარსა რასმე სულისა წარსაწყმედელსა საქმესა ვინ ხედვიდეს, ნუმცა შეურაცხიან ნუცა მშობელნი, ნუცა მეუღლე, ანუ შვილნი, ანუ სხუად რადმე, არამედ ყოველივე უარ-ყავნ და ცხორებად საუკუნოდ მოიყიდენ, და ნუცა თუ თავსა თვსსა ჰრიდებს სიკუდილდ მიცემად ღმრთისმსახურებისათვს. და ნანდვლვე ესე ესრეთ არს, რამეთუ რად სარგებელ ეყოს კაცსა მშობელთაგან ანუ მეუღლისა, ანუ თუ შვილთაგან, უკუეთუ სული თვისი წარინწყმიდოს და ჯოჯოხეთისა მკვდრად გამოჩნდეს? ამისთვს გულისწმა-ყავნ კაცად-კაცადმან და ყოვლით კერძო ცხორებად სულისა თვისისა ძიება-ყავნ და აღსრულება მცნებათა ქრისტესთად შეიკრძალებ, რადთა აქაცა კეთილი ეყოს და ცხორებაცა საუკუნოდ მოიგოს. ესრეთ განაძლიერნა რად უფალმან გონებანი მოციქულთანი და გამოუცხადა, თუ ვითარნი ნიჭნი და მადლნი მიელიან მათცა და ყოველთა, რომელთა სახელისათვს მისისა დაუტეონ სახელი, ძმანი და დანი, მამად და დედად, ცოლი და შვილნი, მერმე შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი – წინა**“ (19,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე სიტყუად სხუათა მრავალთათვს თქუმულ არს; რამეთუ თქუა ამათთვსცა ზემოწსენებულთა, ვითარმედ: მრავალნი უკუანადსკნელ მოსრულნი უაღრეს პირველ მოსრულთასა ყოფად არიან. და კუალად თქუა ფარისეველთათვსცა ურწმუნოთა, ვითარცა პირველ თქუა, ვითარმედ: „მრავალნი მზისაღმოსავალით და დასავალით მოვიდოდნიან და ინაწ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა“.¹ ეგრეთვესახედ აქა მოასწავებს და შემოიღებს იგავსა, რადთა დიდი გულსმოდგინებად და ნუგეშინის-ცემად მოსცეს უკუანადსკნელ მოსრულთა მათ. ამისთვსცა ესრეთ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათად კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაწსა თვსსა. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულად დრაჰჰანი დღესა და წარავლინნა იგინი ვენაწსა თვსსა. და განვიდა მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანსა ზედა უქმად, და ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა ვენაწსა მას ჩემსა და, რად-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრე. ხოლო მეთერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რადსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ:**

¹ მათ. 8,11-12.

წარვედით თქუენცა ვენაჯსა მას ჩემსა. და ვითარცა შემწუნხრდა, ჰრქუა სახლისა უფალმან ეზოხსმოდლუარსა თვსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც სასყიდელი; იწყე უკუანაჲსკნელითგან ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეთერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოდ დრაჰკანი. მოვიდეს პირველნიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ, და მიიღეს მათცა თითოდ დრაჰკანი. და მი-რაჲ-იღეს, დრტკნვიდეს სახლისა უფლისა მისთვის და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს, და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტკრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არას გავნებ შენ, ანუ არა დრაჰკანი ერთი აღგიტუე შენ? მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჯერ-არს ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუ-ალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, რამეთუ მე სახიერ ვარ. ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი – რჩეულ“ (20,1-16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რაჲსა-მე გულისჯმა-გყყოფს იგავი ესე? რამეთუ არა ენამების პირველისა მის თავისა აღსასრულსა, არამედ წინააღმდეგომად ჩანს; რამეთუ აქა გამოაჩინებს, ვითარმედ ყოველთავე სწორი სასყიდელი მიიღეს და არა თუ რომელნიმე განცკვეს და რომელნიმე პატივცემულ იქმნეს. ხოლო თავადმან დაწყებასაცა ამის იგავისასა და აღსასრულსაცა ესრეთ თქუა, ვითარმედ: „იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი – რჩეულ“. ხოლო იგავი არა ამას მოასწავებს, არამედ იტყვს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელნი იგი შეესწორნენ სასყიდელსა მას პირველთასა. რასა-მე უკუე მოასწავებს იგავი ესე? რამეთუ კეთილ არს, რაჲთა პირველად პირი იგავისაჲ მის გულისჯმა-ყყოფით და მერმე ესეცა სიტყუაჲ განვჰმარტოთ. ვენაჯად მცნებათა და ბრძანებათა ღმრთისათა იტყვს, ხოლო ჟამად საქმისა და შრომისა მისისა – ცხოვრებასა ამას, და მუშაკად იტყვს თითოსახედ წოდებულთა მათ საქმესა მას საღმრთოსა. ხოლო განთიად და მესამესა ჟამსა და მეექუსე და მეცხრესა და მეთერთმეტესა მათ გამოსახავს, რომელნი თითოფერთა ჰასაკთა შინა მოვიდეს მუშაკობად სათნოებისა და წარემართნეს. ხოლო ესე საძიებელ არს, თუ ვითარ პირველისა მის ჟამისანი დღე ყოველ დაშურეს და კეთილად სათნო-ეყვნეს ღმერთსა და იპოებიან ბოროტითა მით ვნებითა შურისა და ჯდომისაჲთა შეპყრობილნი, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „დრტკნვიდეს სახლისა უფლისა მისთვის და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა ამათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს, და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტკრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე“; და უფროჲსად, რომელ არცა ერთი შეემთხუეოდა მათ დაჭირვებაჲ, არცა ნაკლულევანებაჲ სასყიდლისა მათისაჲ და ეგრეთცა მწუხარე იყვნეს კეთილსა ზედა სხუა-

თასა, რომელ-ესე შურისა ბოროტისა საქმე არს; რომლისათვისცა სახლისა უფალი იგი სიტყუას-უგებს მათ და ბოროტებასა შესწამებს და ეტყვს: „არა დრაჰკანი ერთი აღვითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მნებავეს უკუანადსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა, რაეცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, რამეთუ მე სახიერ ვარ“. რა არს უკუე პირი ამის საქმისაჲ, ანუ რაე ეგულების გამოჩინებად ამათ სიტყუათაგან? რამეთუ ესე სახე სხუათაცა იგავთა შინა გამოსახა და ძესა მასცა კეთილსა ეგრეთვე მოასწავებს ყოფად. რამეთუ იხილა რაე, ვითარ უძღვები იგი შვილი კეთილად შეინყნარა სახიერმან მან მამამან, შენუხნა იგი ფრიად და ესევე შეემთხვა, ვითარცა ან მუშაკთა ამათვის გუეუნყა.

ხოლო ამათ ესევეითართა იგავთათვის ამას გულისწმა-ვჰყოფთ, ვითარმედ არავინ არს სასუფეველსა ცათასა, რომელიმცა ამის სახისათვის დრტუნვიდა ანუ მნუხარე იყო, რამეთუ კრებული იგი მუნ შეკრებულთაჲ შურისა და ჳდომისა და დრტუნვისაგან წმიდა არს. და ვითარმცა ეგებოდა ვნებათა ამათ ყოფად მათ შორის? უკუეთუ სოფელსა ამას წმიდანი ცხორებისათვის ცოდვილთაჲსა სულთა თვისთა დასდებენ, არამცა უფროჲსად მუნ აღივსნესა სიხარულითა, იხილნეს რაემცა ცოდვილნი სინანულითა ცხორებასა საუკუნესა შესრულნი? რაესათვის უკუე ესრეთ გამოსახავს ამათ ესევეითართა სიტყუათა უფალი ჩუენი და მეუფე იესუ ქრისტე?

იგავი არს თქუმული ესე, ხოლო იგავთაჲ არა ჯერ-არს ყოვლისავე სიტყვსა გამონულილვად, არამედ რაეთა გულისწმა-ვჰყოფდეთ, თუ რომელსა პირსა გამოაჩინებს იგავი იგი, და მას ზედა განვემტკიცებოდით და გამონულილვასა ყოველთა სიტყუასა თანანარგჰვდებოდით.

ან უკუე გულისწმა-ვყოთ, თუ რაესათვის ესრეთ შეჰმზადა იგავი ესე, ანუ რასა მოასწავებს? ჰნებავეს ნუგემინის-ცემად და გულსმოდგინე-ყოფად მათა, რომელნი უკუანადსკნელისა სიბერისა ჟამსა მოვიდენ სინანულად, რაეთა არა ჰგონებდენ ყოვლადვე, თუ ნაკლულევან რაემე არიან. ამისთვისცა გამოჰსახავს, ვითარმედ სხუათა მათ, სიყრმითგან მუშაკთა სათნოებისათა, შემურდა, იხილნეს რაე უკუანადსკნელნი იგი შესწორებულად მათდა. არა თუ ამას დაამტკიცებს, თუ ჭემმარიტად შურს მათ და მნუხარე არიან ამის ჯერისათვის. ნუ იყოფინ! არამედ ამას გულისწმა-გკყოფს, ვითარმედ უკუანადსკნელისა მის სიბერისა ჟამსა მოსრულნი სინანულად უკუეთუ წარემართნენ სათნოებასა შინა და სინანულსა, დაღაცათუ მცირედ ჟამ იყოს მოლუანებაჲ იგი მათი, ესოდენსა პატივსა ღირს იქმნებიან, ვიდრელა შეჰგავს, თუმცა შემურდაცა მრავალ ჟამ დამაშურალთა მათ მოლუანებასა შინა; არა თუ მათ შემურდების, არამედ შეჰგავს საქმე იგი საშურველ-ყოფად. ხოლო ესეცა ღირს არს გულისწმის-ყოფად, თუ რად არა ყოველნი ადრითგანვე იმიზდნა და არა ყოველთა განთიადთაგანვე მოუნოდა საქმესა მას ვენაჯისასა?

ჰე, რაოდენცა მისგან ჯერ-იყო წოდებად, ადრითგანვე ყოველთა უწოდა და დაუცადებულად წამაღლად უწოდს, ხოლო რომელ არა ყოველთა ერთბამად ისმინეს წოდებად იგი, გონებამან მან წოდებულთამან ქმნა; ამისთვის რომელნიმე განთიად მოვიდეს, სხუანი სამ ჟამ, სხუანი ექუს ჟამ, სხუანი ცხრა ჟამ და სხუანი მეთერთმეტესა ჟამსა, მიმწუხრისა მახლობელად.

და კუალად ესეცა ვთქუა, ვითარმედ გონებისაებრ მსმენელთადასა და ვითარცა იცოდა კაცად-კაცადისა, თუ ისმენს, მაშინცა უწოდა, ვითარცა პავლე იტყვს: „რაჟამს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამოძირჩია მე დედის მუცლით ჩემითგან და მიწოდა მე მაღლითა მისითა“.¹ ხოლო ოდეს სათნო-იყო? ოდეს იცოდა, ვითარმედ ისმენს იგი წოდებასა მას; რამეთუ ღმერთსა ენება პირველითგანვე, ხოლო ვინაფთგან იცოდა, ვითარმედ არა ისმენს იგი, მიუშუა, და მაშინ სათნო-იყო წოდებად მისა, რაჟამს ეგულეობდა მას მორჩილება. ეგრეთვე ავაზაკსა მას უწოდა. არა თუ პირველცა არა ძალ-ედვა წოდებად, არამედ იგი არა ისმენდა. ამისთვის მაშინ უწოდა, ოდეს იცოდა, ვითარმედ ისმინოს. ეგრეთვე ყოველთა, რომელთა მიიღეს ზეგარდამო წოდებად, კაცად-კაცადსა ოდეს ეგულეობდა მორჩილება, მაშინცა მიიღო წოდებად; ხოლო სხუათა მათ ერთა, ესე იგი არს, ყოველსა სოფელსა, დაუცადებულად უწოდს და წმითა მაღლითა იტყვს: „მოედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“.² გარნა კაცად-კაცადი ნებისაებრ თვისისა ისმენს წოდებასა მას, რომელნიმე ადრე და რომელნიმე გვანად; სხუანი ყოვლადვე არა ისმენენ, არამედ უქმობასა მას შინა კეთილისასა აღასრულებენ ცხორებასა თვისსა და ვენაწსა მას საღმრთოსა არა შევლენ თვისითა უბადრუკებითა და დაწსნილებითა.

ხოლო უფალი ყოველთა ყოვლადვე უწოდს და შეწყნარებად მზა არს ადრეცა მიმავალთა ვენაწსა მისსა და გვანადცა. ხოლო რომელ-იგი წერილ არს იგავსა მას შინა, ვითარმედ: „ჰრქუეს მეთერთმეტისა ჟამისათა: არავინ დამიდგინა ჩუენ“, ესე ნუვის აკვრებს, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, იგავთა შინა არა ჯერ-არს ყოველთავე სიტყუათა გამოწულილვად, არამედ პირი ხოლო და ძალი იგავისად მის გულისწმის-ყოფად. და კუალად ესეცა გულისწმა-ყავ, ვითარმედ იგავსა მასცა შინა არა სახლის უფალი იგი იტყვს ამას სიტყუასა, არამედ მუშაკნი. ხოლო მან არა ამხილა, არცა შესწამა, ვითარმედ ადრითგან უწოდა, რადთა არა შეშინდენ და დაიწსნენ, არამედ სიტკობებით წარავლინნა ვენაწად თვისა. რამეთუ ესე ცხად არს, ვითარმედ რაოდენ მისგან ჯერ-იყო, განთიადითგანვე უწოდდა, ვითარცა იგავმან ამანცა გამოაცხადა, ვითარმედ: „განვიდა განთიადო დადგინებად მუშაკთა ვენაწსა თვისსა“. ვინაფთგან უკუე განვიდა, მიერთგან უწოდდა ყოველთა, დაღაცათუ იგინი არა სწორად მივიდეს. ყოვლით კერძოვე უკუე საცნაურ

¹ გალ. 1,15. ² მათ. 11,28.

არს, ვითარმედ მათა მიმართ თქუმულ არს იგავი ესე, რომელნი სიყრმიტ-გან, გინა სიჭაბუკიოტგან, გინა სიბერესა, გინა თუ უგვანესადცა შევიდენ საქმედ სათნოებათა. პირველთა მათ მიმართ, რადთა არა ზუაობდენ, არცა აყუედრებდენ მეთერთმეტისა ჟამისათა, ხოლო სიბერისა ჟამსა მოსრულ-თა მათ, რადთა ისნაონ, ვითარმედ ეგების მცირესაცა ჟამსა შინა ყოვლი-სავე მოგებად და სრულისა სასყიდლისა მიღებად. რამეთუ ვინადთგან და-ტევეებისათჳს საფასეთაჲსა შემოილო სიტყუად და უარ-ყოფისათჳს ყოველ-თავე თჳსთა და მონაგებთაჲსა სახელისა მისისათჳს, ხოლო საქმესა ამას ფრიადი უჭმდა გულსმოდგინებად და სულისა ახოვნებად, ამისთჳს განაძ-ლიერებს გონებასა მსმენელთასა და უჩუენებს, ვითარმედ შესაძლებელ არს უკუანაჲსკნელ მოსრულთაცა მიღებად სასყიდელი სრულისა დღისაჲ, და აჩუენებს, ვითარმედ კაცთმოყუარებისა და სახიერებისა მისისაგან იქ-მნების ესე, რომელი-იგი მიზეზსა ხოლო ეძიებს ჩუენგან და ყოველსავე უხუებით მოგუანაჭებს. და უფროსად ესე ჰნებავს გამოჩინებად იგავითა ამით, რადთა ვცნათ ნყალობისა და სიტკბოებისა მისისა გამოუთქუმელი იგი და მოუგონებელი სიმრავლე.

ხოლო რომელ-იგი დაურთო და თქუა: „ესრეთ იყვენ ნინანი უკუანა, და უკუანანი – ნინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი – რჩეულ“, ნუ გიკვრს სიტყუად ესე, რამეთუ არა თუ მუშაკთა მათთჳს, იგავ-სა ამას შინა თქუმულთა, მოასნავებს, არამედ ამას იტყვს: ვითარცა იგი იქ-მნაო, ეგრეთვე ესე იქმნების. რამეთუ მუშაკთა მათ ზედა არა იქმნა, თუმცა ნინანი უკუანა ქმნულ იყვენს, არამედ ყოველნივე შეისწორნეს და სწორი სასყიდელი მიიღეს მოულოდებელად და მოუგონებელად. ვითარცა უკუე საქმე ესე, რომელსა არა მოელოდეს, არცა იგონებდეს, შეემთხვა მათ, და უკუანაჲსკნელ მოსრულნი იგი სწორ პირველთა მათ იქმნეს, ეგრეთ-ვე ესეცა უსაკრველესად ქმნად არს, რომელ უკუანაჲსკნელნი უპირატეს პირველთასა იქმნენ, და ნინანი იგი – უკუანა. საცნაურ არს უკუე, ვითარ-მედ ესე სიტყუად არა მუშაკთა მათთჳს თქუა, თუ: „იყვენ ნინანი უკუანა, და უკუანანი – ნინა“, და თუ „მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი – რჩეულ“, არამედ სხუათა ვიეთთჳსმე, და საქმე იგი მუშაკთაჲ მათ სახედ ამათსა შემოილო, ვითარმედ ესრეთ იქმნას ნინათა მათ უკუანაჲსკნელობად და უკუანათა უპირატესობად, ვითარცა მუშაკთა მათ სწორებად მოულოდე-ბელად აღესრულაო.

ხოლო ვინ არიან ნინანი იგი, რომელნი უკუანა იქმნეს, და უკუანანი – ნინა? ესე გულისჴმა-ყავ ჰურიათათჳს, ურწმუნოებასა შინა დადგრომილ-თა, რომელნი ნინა იყვენს პირველ და მერმე უკუანათა უუკუანაჲსკნელეს იქმნეს; ხოლო ერი იგი წარმართთაგანი უკუანა იყო და შეურაცხ, და სარ-წმუნოებითა ქრისტესითა ნინა იქმნეს და პატივი უზეშთაესი მოიღეს.

კუალად გულისჴმა-ყავ სიტყუად ესე მორწმუნეთაცა შორის, რამეთუ რომელნიმე პირველ ბრწყინვიდეს სათნოებითა და მერმე უდებ იქმნეს და

უკუღმართ წარვიდეს, და სხუანი ცოდვათა შინა განფრდილ იყვნეს და მერმე მოიქცეს და სინანულითა უაღრეს მრავალთასა იქმნეს; რამეთუ ესე-ვითართა ამათ შეცვალებათა ვხედავთ სარწმუნოებასაცა ზედა და მოქალაქობასაცა. და ნანდვლვე ამას ადგილსა სიტყუად უფლისად ორისათვისვე იყო: სარწმუნოებისათვისცა და საქმეთათვის; რამეთუ რომელ-იგი თქუა: „ყოველმან, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამად, ანუ დედად, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ ქუეყანად სახელისა ჩემისათვის, ასი წილი მოიღოს და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროს“;¹ – ორკერძოვე გულისწმა-იყოფების, სარწმუნოებად მოსლვისათვისცა და სოფლით განშორებისათვისცა. ეგრეთვე სიტყუად ესე, თუ: „იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა“, სარწმუნოებისაცა ზედა გულისწმა-იყოფების და მოქალაქობასაცა, „რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი – რჩეულ“. არა თუ სახიერი იგი რომელთამე გამოირჩევს და სხუათა უკუნაქცევს. ნუ იყოფინ! არამედ კაცად-კაცადისა გონებად და საქმენი მისნი გინა თუ რჩეულ ჰყოფენ, გინა თუ ხენემ. რამეთუ სახიერსა მას უფალსა ჰნებავე ყოველთავე რჩეულ-ყოფად, გარნა თითოეულისა ნებად ანუ ესრეთ ჰყოფს, ანუ ეგრეთ. ვინაფთგან აიძულებს იგი არავის, არამედ ყოველთა წყალობით უწოდს, რომელმან ისმინოს მისი, იგი რჩეულთა თანა შეირაცხოს, რომელი ურჩ ექმნას, იყოს იგი შეურაცხ და უბადრუკ.

სწავლად დღ

ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა ყოველთავე სათნოებათა მოგებად

ამისთვის გევედრები, მოსწრაფე ვიქმნეთ სარწმუნოებასაცა ზედა მართალსა მტკიცედ დგომად ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა და მოქალაქობისაცა სათნოესა მოგებად; რამეთუ უკუეთუ მოქალაქობადცა ღირსი სარწმუნოებისად არა ვაჩუენოთ, დიდი მომეწადოს ჩუენ სასჯელი. და ესე გამოაჩინა პირველითგანვე ნეტარმან პავლე, რამეთუ იტყვს: „ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჭამეს, და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს“.² და მერმე შესძინა და თქუა, ვითარმედ: „არა ცხონდეს, არამედ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა“.³ და ესენი სახე ჩუენდა იქმნეს, რადთა არა ვიყვნეთ ჩუენ გულისმთქუმელ ბოროტისა. და უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ამასვე გკბრძანებს და ამის ჯერისათვის მრავალნი სწავლანი და მრავალნი იგავნი შემოიხუნა, ვითარცა იტყვს, ვითარ-იგი მრავალნი სასწაულთაცა იქმოდეს და ეშმაკთა განასხმიდეს და სატანჯველადვე მიეცნეს, რამეთუ საქმენი კეთილნი არა შეიკრძალნეს. და კუალად, იგავი იგი ათთა ქალწულთად და ბადისა მის სათრომელისად და თესლისა მის ეკალთა

¹ მათ. 19,29.

² 1 კორ. 10,3-4.

³ მდრ. 1 კორ. 10,5.

შინა დარდომილისად და ხისა მის უნაყოფოვსად, – ესე ყოველნი ამისთვის წარმოგვთხრნა, რადთა საქმესა სათნოებისასა მოსწრაფე ვიყვნეთ. რამეთუ სარწმუნოებასა არა ფრიადი უვმს შრომად; ამისთვის არა მრავალნი სწავლანი წარმოთქუნა მისთვის უფალმან, ხოლო საქმეთათვის კეთილთა მრავალნი წარმოთქუნა სწავლანი, რამეთუ უმეტესიცა უვმს შრომად, და სამარადისო არს ბრძოლად, და უკუეთუ მოქალაქობად კეთილი უდებ-ვყოთ, დიდი ბოროტი შემემთხვოს ჩუენ. და რად ვიცყვ მოქალაქობასა სრულსა? ერთი თუ მცნებად უგულვებელს-ვყოთ, დასასჯელ ვიქმნებით. უკუეთუ მოწყალებად შეურაცხ-ვყოთ, სატანჯველად მივეცემით; რომელ-იგი არა თუ სრულებად არს სათნოებათად, არამედ ერთი მცნებად არს და ნაწილი ერთი სათნოებათად. გარნა ხუთნილა იგი ქალწულნი ამისთვის დაისაჯნეს, რამეთუ არა აქუნდა მოწყალებად; ეგრეთვე მდიდარი იგი, ეგრეთვე მარცხენითი იგი მდგომარენი.

კუალად არაძკრის-ზრახვად ნაწილი არს სათნოებისად უდარესი, გარნა იგიცა უკუეთუ არა წარვჰმართოთ, განგუაგდებს სასუფეველისაგან, ვითარცა თქუა უფალმან: „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა: ცოფ, თანამდებ არს გეჰქინიასა ცეცხლისასა“.¹

კუალად სინმიდე, იგიცა ნაწილი არს სათნოებისად, გარნა უკუეთუ გუაკლდეს იგი, ვერ ვიხილავთ უფალსა, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მშკდობასა შეუდევით ყოველთა თანა და სინმიდესა, რამეთუ ამისა თვნიერ ვერვინ იხილოს უფალი“.²

და ეგრეთვე მსგავსად სიმდაბლევცა ნაწილი არს სათნოებათად ერთი, გარნა უკუეთუ ვინ იგი არა მოიგოს, დაღაცათუ სხუანი კეთილნი საქმენი აქუნდენ, საძაგელ არს წინაშე ღმრთისა; და საცნაურ არს ესე ფარისეველისა მისგან, რომელსა სხუანი ქველისსაქმენი მოეგნეს, ნაკლულევანებითა სიმდაბლისადთა წარწყმიდა ყოველივე. ხოლო ამისაცა უმეტესი რამდე მაქუს თქუმად, რამეთუ არა თუ ერთი სათნოებათაგანი დაგუაკლდეს, დაგუაყენებს შესლვად სასუფეველად, არამედ დაღაცათუ ვქმნეთ საქმე სათნოებათად, და არა ჯეროვნისა მის წესისაებრ ვქმნათ, ეგრეთვე შეგუემთხვოს.

ისმინეთ, რასა გვბრძანებს უფალი: „უკუეთუ არა გარდაემატოს სიმართლე თქუენი უფროვს მნიგნობართა და ფარისეველთასა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“.³ ან უკუე, დაღაცათუ იქმოდი მოწყალებასა, და არა უფროვს მათსა იქმოდი, ვერ სრულ არს ქველისსაქმე შენი. იხილე უკუე, თუ ვითარ იქმოდეს იგინი მოწყალებასა. რამეთუ მნებავს ესე თქუმად, რადთა რომელნი არა იქმან ქველისსაქმესა, განიღვძონ საქმედ, ხოლო რომელნი იქმან, არა ზუაობდენ, არამედ უმეტესად შესძინონ ქველისსაქმესა. ვითარ უკუე იქმოდეს ძუელსა შჯულსა შინა? ყოვლისა მონაგებისა

¹ მათ. 5,22.

² ებრ. 12,14.

³ მათ. 5,20.

ათეულსა მისცემდეს და მერმე კუალად მეორესა ათეულსა და კუალად მესამესა; კნინლა მესამედსა მონაგებისასა მისცემდეს, რამეთუ სამი იგი ათეული ესრეთ აღვალს. ამას ზედა თანაედვა პირმშოთა ყოველთა მიცემა და პირველთა ნაყოფთა და სხვსა მრავლისა შესანირავისა და დღესასწაულთა შინა და თვსთავთა. ხოლო უკუეთუ მესამედი ვინ ანუ ნახევარი მონაგებთა თვსთად მისცეს გლახაკთა, ვერვე უმეტეს არს სიმართლე მისი ძუელისა მის შჯულისასა. რომელი არცა თუ მეათედსა მისცემდეს, რადსა ღირს არს?

ამისთვის გევედრები, საყუარელნო, ნუ უგულბელს-ჰყოფთ საქმესა სათნოებათასა. უკუეთუ ერთი მათგანი უგულბელს-ვყოთ, დასასჯელ ვიქმნებით; ოდეს ყოვლით კერძო უდებ და დაწინილ ვიყვნეთ და დასასჯელ, რად-მე იყოს ჩუენდა, ანუ ვითარ განვერნეთ სატანჯველთაგან? თქუას ვინმე, ვითარმედ: უკუეთუ ზემოთქუმულთა მათ სათნოებათა თითოეულისა მოგებად თანამდებ ვართ და უკუეთუ ერთიცა მათგანი უდებ-ვყოთ, სატანჯველად მივეცემით, რად-მე სასოებად იყოს ჩუენდა ცხორებისა? ამას უკუე მეცა ვიტყვ, და მოციქულთაცა ოდესმე ჰრქუეს უფალსა: „ვის ჴელ-ენიფებისო ცხორებად? მიუგო უფალმან და ჰრქუა მათ: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“,¹ და გვჩუენა გზად ცხორებისა, რადთა ვცნათ, ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა ღმობიერთა ცრემლითა ვედრებად ღმრთისა, რადთა მოგუცეს მისმიერი შეწვენა და მადლითა მით მისითა უსასყიდლოდთა გუაცხოვნნეს ჩუენ. რამეთუ არა თუ მცნებანი მისნი შეუძლებელ არიან აღსრულებად. ნუ იყოფინ! არარად ყოვლადვე გუამცნო ჩუენ შეუძლებელი, არამედ ბოროტნი იგი ვნებანი და ჩუეულბანი ჩუენნი აღგვჩენენ მათ შეუძლებელად. ამისთვის თქუა: „შეუძლებელი კაცთაგან“. რომელთა კაცთაგან? რომელთა გონებანი კაცობრივ არიან და ჴორციელ, მათთვის ძნელ არს ცხორებად იგი საღმრთო, არა თუ შეუვრდენ ღმერთსა ღმობიერად, და მან სიზრქე იგი და სიფიცხე გულთა მათთად მოაქციოს შიშსა თვსსა. ხოლო თვსსა ბუნებასა და წესსა ზედა ფრიად ტკბილ არიან და სანადელ მცნებანი ღმრთისანი. ამისთვისცა ისმინე წინაღსწარმეტყუელისა, რომლისა საცნობელნი სულისანი წმიდა იყვნეს, რასა-იგი იტყვს, რამეთუ: „ტკბილ არიანო სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროდს თაფლისა პირსა ჩემსა“.² ეგრეთვე, უკუეთუ ჩუენცა განვინმოდნეთ საცნობელნი სულთა ჩუენთანი და ვითხოვთ მჭურვალედ ღმრთისამიერი შეწვენა, ვინყოთ ყოვლისავე მცნებისა საქმედ, რაოდენ ძალ-გუედვას, და იხილოს რად უფალმან გულსმოდგინებად ჩუენი, მოგუცეს ძალი უმეტესისაცა წარმართებად, ვიდრემდე მივინინეთ მადლითა მისითა საზომსა მას სრულბისასა და ვიქმნეთ თანამოდასე მოშიშთა მისთა. რად სიძნელე აქუს მონყალბასა? ჭეშმარიტად არცა ერთი. ან უკუე ადვილი ესე მცნებად მოსწრაფებით

¹ მათ. 19,25-26.

² ფსალმ. 118,103; მდრ. ფსალმ. 18,11; ებეკ. 3,3.

აღვასრულოთ, და მერმე უძნელესთაცა აღსრულებად ფრიადი ძალი მოგუცეს უფალმან.

ვიცხოთ თავთა ჩუენთა ზეთი იგი წყალობისაჲ, რადთა წყლულებანი სულთა ჩუენთანი განიკურნენ და ნათელი ღმრთისაჲ მოგუეფინოს. ნუ იტყვ, თუ: მას ვისმე ესოდენი შანთი აქუს ოქროსაჲ და არას მისცემს. რაჲ არს ესე შენდა, კაცო? უკუეთუ შენ სიგლახაკისაგან შენისა ჰყო მოწყალებად, უფროსლა საკვრველ იქმნე. რასა ჰხედავ სხუათა კაცთა? მიხედე უფალსა, მეუფესა მას და მოძღუარსა ყოველთასა, რომელსა არა აქუნდა, სადამცა თავი მიიდრიკა, მას მიხედვედი, მას ჰბაძევდი. რასა სხუათა კაცთა ხედავ და განიკითხავ და უმეტესსა სასჯელსა შთაჰვარდები? ნუ განიკითხავ სხუათა, ნუცა დაწსნილობასა სხუათასა ჰბაძავ, არამედ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ჰბაძევდი. არა თუ მე კეთილი მიყოფიეს შენდა, კაცო, არა თუ მე ვარ მწსნელი შენი, რადთამცა მე მხედვედი, სხუად არს მწსნელი და ქველისმოქმედი შენი; რადსათჳს დაუტეობ მეუფესა და მონათა ჰხედავ? არა გასმიესა, რასა-იგი იტყვს? „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა“.¹ და კუალად იტყვს: „რომელსა ჰნებავს თქუენ შორის პირველ ყოფად, იყოს ყოველთა მონა; რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა ვისგან, არამედ მსახურებად და მიცემად სულისა თჳსისა საწსრად მრავალთა“.² და კუალად თქუა: „რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რადთა ვითარცა-იგი მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდით“.³

ან უკუე, საყუარელო, დაღაცათუ არამცა ვის ჰპოებდი კაცთა შორის სახედ კეთილისა და უფალსამცა ხოლო ჰბაძევდი, უმეტესადმცა საკვრველ იქმენ, ვითარცა იგინი განბრწყინდეს, რომელნი უწინარეს ქრისტეს მოსლვისა იპოვნეს მოქმედ სათნოებისა, თჳნიერ სხუათა მიერ მოძღურებისა და სახისა, ვითარ იყო ნოე, აბრაჰამ, მელქიზედეკ, იობ და მსგავსნი მათნი. ხოლო ან ჩუენ მრავალნი გუქონან სახენი სათნოებისანი: პირველად უფალი და მეუფე ჩუენი იესუ ქრისტე და მერმე აურაცხელი იგი სიმრავლე წმიდათაჲ, რომელთა საქმენი მზისა უბრწყინვალესად ბრწყინვენ. მათა მიმართ ჯერ-არს მარადის ხედვაჲ და მათი ბაძვაჲ და არა მათი, რომელთა დღეს ჰბაძავთ და პირსა შინა გქონან. რამეთუ მესმის, ვითარმედ არარად არს სხუად თქუენ შორის სიტყუად, გარნა ესე: მან ვინმე მოიგო ესოდენი სოფელი, მან ვინმე მოჰმართა ესოდენი აგარაკი, მან ვინმე დაიუნჯა ესოდენი ოქროჲ, მან ვინმე აღაშენნა ესევითარნი ტაძარნი, და სხუად მსგავსი ამათი ცუდი რადმე და ამოად მოსაგებელი.

რასა იქმ, კაცო! უკუეთუ სხუათა ხედვაჲ და განცდაჲ გნებავს, იგინი განიცადენ, რომელნი ღმერთსა სათნო-ეყვნეს, რომელნი მცნებათა მისთა აღასრულებენ; რასა შეცთომილთა მათ და უპატიოთა ჰხედავ და კუალსა

¹ მათ. 11,29.

² მათ. 20,27-28.

³ იოან. 13,15.

წარწყმედისა მათისასა სურვიელ ხარ შედგომად, რაათა ისნაო მათგან ყოველივე ბოროტი. ჰბაძევი მოყუარეთა და მოშიშთა ღმრთისათა, რაათა ისნაო მათგან სიმდაბლე, მოსწრაფებად, ღმობიერებად, მონყალებად და სხუად ყოველივე კეთილი. იხილე, რად-იგი შეემთხვა ფარისეველსა მას, რაჟამს სათნონი დაუტევნა და დაცემულსა მას მიხედნა. იხილე და შეშინდი! ხოლო დავით მამათა მათ თუსთა განიცდიდა, სათნობათა შინა განბრწყინებულთა, და იტყოდა: „მსხემ ვარ მე და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩემნი“.¹ ესრეთ იქმოდა იგიცა და ყოველნი მსგავსნი მისნი, არა ცოდვილთა ხედვიდეს, არამედ მართალთა ჰბაძევიდეს. ეგრეთვე შენ იქმოდე, საყუარელო, რამეთუ არა თუ მსაჯულად და განმკითხველად სხუათა დაჯდომილ ხარ გამოძიებად ცოდვათა მათთა, არამედ თავისა თვისისა განკითხვად განწესებულ ხარ. „უკუეთუმცა თავთა თუსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით“;² იტყვს წმიდად მოციქული. ხოლო ან ჩუენ წესი ესე შეგვცვალებიეს და თავთა თუსთა არცა დიდთა, არცა მცირეთა ცთომათა თუს მოვჰყდით ბრალსა და სხუათასა დიდითა გამონულილვითა გამოვეძიებთ. გარნა ან დაუტეოთ უწესოე ესე წესი და ცოდვათა ჩუენთა სამსჯავროდ განვანესოთ ჩუენ შორის და თვთ ვიქმნეთ მსაჯულ და შემასმენელ და მტანჯველ თავთა თუსთა, რაათა მუნ არა დავისაჯნეთ, არცა ვიტანჯნეთ. ხოლო სხუათასა ნუ ცთომათა გამოვეძიებთ, არამედ სიმართლეთა, რაათა ჯსენებითა თუსთა ცოდვათაათა და ბაძვითა სხუათა სათნობისათა დღითი-დღე ვაბრალებდეთ თავთა თუსთა და წარვემატებოდით სიმდაბლესა შინა, რაათა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ფსალმ. 38,13. ² 1 კორ.11,31.

თავი 21

სიტყუად ესე: „და ვითარცა აღვიდოდა იერუსალჴმდ, წარიყვან-
ნა ათორმეტნი იგი მონაფენი თვსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ: აჰა ესე-
რა აღვალ იერუსალჴმდ, და ძე კაცისაჲ მიეცეს მღღელთმოძღუართა და
მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილდ. და მისცენ იგი წარმართთა
კიცხევად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს“ (20,17-19).

მოვიდა რაჲ გალილეათ, არა მეყსეულად აღვიდა იერუსალჴმდ,
არამედ პირველად ქმნნა სასწაულნი და ასწავა მონაფეთა უპოვარები-
სათვს და ქალწულებისათვს და სიმდაბლისათვს და მისაგებელისათვს
მათისა, რომელთა სახელისა მისისათვს ყოველივე დაუტეონ და ცხო-
რებაჲ საუკუნოდ მოიყიდონ, და ამისა შემდგომად წარემართა იერუსა-
ლჴმდ. და აღვიდოდა რაჲ, იწყო სიტყუად მონაფეთა მიმართ ვნებისა
თვსისათვს, რამეთუ ზედაჲსზედა აღუჴსენებდა სიტყუასა ამას, რაჲთა
მწუხარებაჲ მათი განუქარვოს და რაჲთა დააჩვოს გონებაჲ მათი წურ-
თად საქმესა მას, და არა მოულოდებელად მონვენამან მისმან უმეტესად
შეაშფოთნეს იგინი. ხოლო თვსაგან წარიყვანნა იგინი და იწყო სიტყუასა
მას, რამეთუ არა ჯერ-იყო ერისა მიმართ ჯერეთ ვნებისა მისისათვს
სიტყუად. მიუთხრა ერსაცა ამის ჯერისათვს, არამედ მიფარულადრე,
ვითარ-იგი თქუა: „დაჴსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვად-
გინო იგი“.1 და კუალად: „სასწაულსა ეძიებსო ნათესავი ესე, და სასწა-
ული არა მიეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაჲსწარმეტყუელისაჲ“.2
და ესე ვითართა სიტყუათა ეტყოდა იგავით და დაფარულად, ხოლო მო-
ნაფეთა ვითარცა სხუასა ყოველსა გამოუცხადებდა, ეგრეთვე ვნებისა
თვსისათვს ცხადად ეტყოდა.

ხოლო რაჲსათვს ეტყოდა ერსა, ვინაჲთგან ვერ გულისჴმა-ჴყოფ-
დეს? ამისთვს, რაჲთა უკუანაჲსკნელ, ოდეს გულისჴმა-ყონ, ცნან, ვი-
თარმედ წინაჲთვე იცოდა ყოველივე და ნეფსით მივიდოდა ვნებად, არა
თუ იძულებით ანუ უმეტრებით. ხოლო მონაფეთა პირველითგან სიკუ-
დილსა ოდენ აუნყებდა, და რაჴამს ფრიად აუნყა სიტყუად იგი და და-
აჩვნა გონებანი მათნი, მერმე სხუადცა ყოველი მიუთხრა, ვითარმედ:
„მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად“. ხოლო ესე პირველით-
გან არა უთხრა, რაჲთა არა შეაშფოთნეს, არამედ იხილეს რაჲ ძლიე-
რებანი და დიდებულებანი მისნი, და მისცნა მათ აღთქუმანი საუკუ-
ნოდსა ცხოვრებისანი, მერმელა სიტყუად ესე ვნებისა თვსისაჲ მიუთხრა,
შეთხზული სხუათა მათ მოძღურებათა და სასწაულთა თანა, და წი-
ნაჲსწარმეტყუელნიცა მონამედ მოიყვანნა, ვითარცა იტყვს მახარებე-

¹ იოან. 2,19.

² მათ. 12,39.

ლი ლუკა, და ამასცა გუასწავებს, ვითარმედ: „მათ არა გულისწმა-ყვეს ესე, არამედ იყო სიტყუად იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქუმული იგი“. ¹ უკუეთუ არა იცოდეს თქუმული იგი, რად სარგებელ ეყოფოდა, ანუ ვითარ დაეჩუოედეს გონებანი მათნი, ვითარცა ზემო ვთქუ, ანუ ვითარ შენუხნებოდეს, უკუეთუ არა იცოდეს? რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „შენუხნეს ფრიად“; ² და პეტრე ვითარ ეტყოდა: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ესე“? ³

რად-მე უკუე ვთქუათ ამის ყოვლისათს? მე ამას ვიტყვ, ვითარმედ ესე იცოდეს, თუ სიკუდილი ეგულების, დაღაცათუ სრულიად არა უწყოდეს საიდუმლოდ იგი განგებულებისად მის, ხოლო აღდგომად და დაწსნად სიკუდილისად და შემუსრვად ჯოჯოხეთისად და აღმალეობად ბუნებისა ჩუენისად და სხუანი იგი დიდებულებანი, რომელნი ქმნა უფალმან ვნებითა და სიკუდილითა თსითა, არა უწყოდეს კეთილად, და ესე იყო მათგან დაფარულ, და ამისთს მნუხარე იყვნეს. რამეთუ ესე ასმიოდა, ვითარმედ მკუდარნი აღადგინნეს ელია და ელისე, და უფლისაგანცა ეხილვა, ხოლო ესე არასადა ასმიოდა, არცა ეხილვა, თუ თავი თსი ვინ მკუდრეთით აღადგინა აღდგომითა ესევეითართა, რომელ არღარამცა მოკუდა. ესე იყო დაფარულ მათგან და ვერ გულისწმა-ჰყოფდეს, ამისთსცა განკვრეებულნი შეუდგეს; და არა ზემოთქუმულთა ამათთს ხოლო განკვრეებულ იყვნეს, არამედ ვნებისათსცა მისისა, ესმოდა რად, ვითარმედ მიეცემის ჳელთა წარმართთასა, და ეკიცხევდენ მას და იგინოს და ჰნერწყუვიდენ და ტანჯონ და მოკლან იგი; რამეთუ მიხედნიან ურიცხუთა მათ სასწაულთა, რომელთა იქმოდა, და მერმე ესმოდა, რად-იგი ეგულებოდა შემთხუევად მისდა, და განცვბრდებოდეს, უკუეთუ ნანდკლვე ესევეითართა დიდებულებათა მოქმედსა ესევეითარნი ვნებანი შეემთხვნენ უმჯულოთა მიერ. ამისთს იტყვს: დაფარულ იყო მათგან სიტყუად იგი და ვერ გულისწმა-ჰყოფდეს. ⁴ რამეთუ ესოდენ ვერ გულისწმა-ჰყოფდეს, ვიდრელა ძენი ზებედესნი მოუჭდეს და ზემოჯდომისათს ეტყოდეს: „მომეც ჩუენ, რადთა დავსხდეთ ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით დღესა მას დიდებისასა“. ⁵ ხოლო ვითარ ან მათე მახარებელი იტყვს, ვითარმედ: დედა მათი მოუჭდა და ითხოვდა ამას? ⁶ – რამეთუ ორივე იქმნა. ვედრებად ესე მათი იყო, გარნა მიიყვანეს დედაცა მათ თანა მეხვშენდ, რადთა უმეტესად დაარწმუნონ ქრისტესა მიცემად მათა თხოად იგი. და რადთა სცნათ, ვითარმედ ჭეშმარიტ არს სიტყუად ესე და მათი იყო უფროესლა თხოად იგი, არამედ რიდობისაგან და სირცხვლისა წარმოადგინეს დედა თსი ვედრებად, იხილეთ, ვითარ მათა მიმართ ყო უფალმან სიტყუად თსი და არა დედისა მიმართ.

¹ ლუკ. 18,34. ² მათ. 17,23. ³ მათ. 16,22. ⁴ შდრ. ლუკ. 9,45;18,34. ⁵ მარკ. 10,37.

⁶ შდრ. მათ. 20,20-21.

ვისწაოთ უკუე პირველად, თუ რასა ითხოენ და ვინაე მოვიდეს თხო-
სა ამას. ჰხედვიდეს თავთა თვსთა უფროეს სხუათასა პატივცემულად და
ამისთვს ჰგონებდეს მიმთხუევად სათხოელსა მას.

ხოლო რაე არს ესე, რომელსა ითხოენ? ისმინე ლუკა მახარებელისაე,
რომელი განცხადებულად გამოაჩინებს ამას და იტყვს, ვითარმედ: „მო-
ახლებულ იყო იერუსალჴმს იესუ, და ჰგონებდეს, ვითარმედ მეყსეულად
გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაე“. ¹ ამისთვს უკუე ითხოვდეს თხოასა
ამას, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ სასუფეველი იგი მაშინ გამოჩინებად
იყო ხილულად და განცხადებულად, და უკუეთუ მიანიჭოს მათ თხოად
იგი, არლარად სადა შეემთხვოს მათ ძკრი, არცა რაე იხილონ ძნელოვა-
ნი. და ნუვის უკვრს, ნუცა შეშფოთნების ამისთვს, თუ ვითარ მოციქულ-
ნი ესრეთ უმეცარ იყვნეს; რამეთუ არლა აღსრულებულ იყო ჯუარ-ცუმად
უფლისაე, არლა მოცემულ იყო მათდა მადლი სულისა ნმიდისაე, არამედ
ჯერეთ ჩჩკლ იყვნეს სრულისა მის გულისწმის-ყოფისა მიმართ. ხოლო
გნებავს თუ სათნოებისა და გულისწმის-ყოფისა მათისა ხილვაე, ამისა
შემდგომად იხილენ, ვითარ აღმალდეს ყოვლისაეე კაცობრივისა გულის-
სიტყვსაგან მადლითა მით სულისა ნმიდისაეათა, ხოლო ან ჯერეთ არა მი-
წევნულ იყვნეს საზომსა მას სრულებისასა. ამისთვს ჰგონებდეს, თუ აღ-
ვიდენ რაე იერუსალჴმდ, გამოჩნდების სასუფეველი იგი ცათაე ხილული-
თა წესითა, და ქრისტე მეუფედ დაჯდების იერუსალჴმს, და იგი არს ჟამი
დიდებისა მისისაე.

მოუჯდეს უფალსა და ეტყოდეს: „მოძღუარ, გუნებავს, რაეთა რომელი
გთხოოთ, მეყოს ჩუენ. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაე გნებავს?“ ² არა
თუ უმეცარ იყო, რაე-იგი ეგულებოდა მათ თხოად, არამედ ჰკითხა, რაეთა
მათ თვთ გამოუცხადონ უძღურებაე თვსი, და ესრეთ მისცეს მათ ნამალი
გულისწმის-ყოფისაე. რამეთუ ვინაეთგან ესმოდა მათ, ვითარმედ: „დას-
ხდეთო ათორმეტთა საყდართა“, ³ ენება, რაეთა უმეტეს ყოველთა პატივ-
ცემულ იქმნენ. ამისთვს ჰრქუეს მას:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „თქუ, რაეთა დავსხდეთ ერთი მარჯუენით შენსა და
ერთი მარცხენით“ (20,21).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: უმეცარ იყვნეს, რასა-იგი ითხოვდეს, რამეთუ უკუეთუმ-
ცა იცოდეს, ვერმცა იკადრეს ესე თხოად. ამისთვს ეტყვს უფალი: „არა
იცით, რასა ითხოვთ“. ორსა საქმესა მოასწავებს სიტყვთა ამით, თუ: „არა
იცით, რასა ითხოვთ“: ერთად, რომელ მეუფებისათვს იტყოდეს და დიდები-
სა ხილულისა, რომლისათვს არცა ერთი სიტყუად ეთქუა მათდა ქრისტესა,
არცა რაე შეერაცხა, არცა მეუფებისათვს სოფლიოესა აღეთქუა მათდა; და
ეტყვს: „არა იცით, რასა ითხოვთ“, რამეთუ არა მითქუამს თქუენდა ამას

¹ შდრ. ლუკ. 19,11.

² მარკ. 10,35-36.

³ მათ. 19,28.

სანუთროსა სუფევად ხილული, და ვითარ ეძიებთ აქა? ხოლო მეორედ, უკუ-
ეთუ ჭემარიტსა მას სასუფეველსა დიდებისა ჩემისასა ითხოვთ მარჯუენით
და მარცხენით დაჯდომასა, არავე იცით, ვითარ დიდ არს საქმე ეგე, ვითარ
საკვრველ, ვითარ უზეშთაეს არს საზომსაცა ზეცისა ძალთასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლის-
ღებად, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათლის-ღებად?**“ (20,22).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, ვითარ მეყსეულად იჭვ მათი განაქარვა და ნი-
ნალმდგომი თხოისა მათისაჲ მიუგო და ჰრქუა: არა იცით, რასა იტყვთ,
ჯერეთ არა დამაშურალ ხართ, არცა შესრულ ხართ ღუანლსა, ჯერეთ სო-
ფელი არა მოქცეულ არს ღმრთისმსახურებად, ჯერეთ უშჯულოებაჲ უფ-
ლებს, და კაცნი წარწყმედასა შინალა არიან. ჯერეთ ასპარეზსა მას არა
შესრულ ხართ და ანვე გვრგვნთა ეძიებთა? ხოლო მე ღუანლთაღა და
ოფლთაღა წინაგყოფ, რამეთუ არა ესე არს ჟამი სასყიდლის-მიცემისაჲ,
არცა ან გამოჩნდების საუკუნოდ იგი დიდებაჲ ჩემი. არამედ ან ჟამი ესე
ბრძოლისაჲ არს და სისხლთა დათხევისაჲ. და იხილე ყოვლადბრძენი იგი
კითხვად მისი. არა ჰრქუა, თუ: ძალ-გიცა თავს-ღებად სიკუდილისაჲ? ძალ-
გიცა სისხლთა თქუენთა დათხევად? არამედ ესრეთ ჰრქუა: „ძალ-გიცა შე-
სუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლის-ღებად, რო-
მელი მე ნათელ-ვილო, ნათლის-ღებად?“ რადთა მის თანა ზიარებისათჳს
გულსმოდგინე იქმნენ. ამისთჳს თავი თჳსი სახედ მისცა. სასუმლად და
ნათლის-ღებად ამას ადგილსა უწოდა ჯუარ-ცუმასა და სიკუდილსა თჳსსა:
სასუმლად – ამისთჳს, რამეთუ ნეფსით და წადიერებით მიიღო იგი ცხო-
რებისათჳს ჩუენისა, ვითარცა ვინ წყურიელმან ნეფსით და წადიერებით
მიიღის სასუმელი; ხოლო ნათლის-ღებად – ამისთჳს, რამეთუ მისითა მით
ჯუარ-ცუმითა და სიკუდილითა განათლდა და განწმდა ბუნებაჲ კაცთაჲ,
დაბნელებული იგი და ცოდვათაგან მრავალთა შებლალული.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვც**“ (20,22).

თ ა რ გ მ ა ნ ი : დაღაცათუ ესეცა ესრეთ განცხადებულად ვერ გუ-
ლისწმა-ყვეს, არამედ ფრიადითა მით გულსმოდგინებითა და მორჩილები-
თა მათითა მეყსეულად აღუთქუეს, რადთა თავს-იდვან ყოველივე, რადცა
უბრძანოს, და ჰგონებდეს, თუ ესმას უფლისაგან, ვითარმედ: მიგანიჭო მე-
ცა თხოად ეგე თქუენი; ხოლო მან ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „**სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ღებად, რო-
მელი ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ; ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა
და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განწმადებულ არს
მამისა მიერ ჩემისა**“ (20,23).

თარგმანი: დიდნი კეთილნი აღუთქუნა მათ და უწინაღსწარმეტყუელა, ვითარმედ: ღირს იქმნეთო ჩემთვის ნამებასა და ზიარ ჩემდა იქმნეთ. ღუანლთა თავს-დებითა დამემსგავსნეთ მე, დათხევითა სისხლთა თქუენთადათა, „ხოლო დაჯდომადო მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა“. პირველად აღამაღლნა სულნი მათნი და ახარა მათ მსგავსებად და ზიარ-ყოფად ვნებათა მისთად და მერმე განჰმართებს თხოასა მათსა. ხოლო რად არს სიტყუად ესე, ანუ ვითარ გულისწმა-ვყოთ? რამეთუ წინამდებარისა ამისთვის სიტყუსა ორი საძიებელი არს მრავალთაგან: ერთად, უკუეთუ ნანდკლვე ესე ესრეთ არს და არს ვიეთადამე გამზადებულ დაჯდომად მარჯუენით მისა; მეორედ, უკუეთუ უფალსა მას და მეუფესა ყოველთასა არა ველ-ენიფების მიცემად მათდა, რომელთადა განმზადებულ არს. რად არს უკუე სიტყუად ესე? უკუეთუ პირველი იგი განვჰმარტოთ, მერმე მეორეცა ესე მეძიებელთათვს ცხად იყოს. რად არს უკუე განმარტებად პირველისად მის? არავინ არს, რომელიმცა დაჯდომად იყო მარჯუენით მისა გინა მარცხენით, რამეთუ უვალ არს და მიუახლებელ ყოველთაგან საყდარი იგი, არა ხოლო თუ კაცთაგან წმიდათა და მოციქულთა, არამედ ანგელოზთაგანცა და მთავარანგელოზთა და ყოველთავე ზეცისა ძალთა. ამისთვისცა ვითარცა განთვსებული საქმე მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისად გამოაჩინა იგი პავლე და თქუა: „ოდეს სადა ანგელოზთაგანსა ჰრქუა ვის: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერწთა შენთა? და ანგელოზთათვს იტყვსო: რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისად. ხოლო ძისათვს იტყვს: საყდარი შენი, ღმერთო, უკუენითი უკუენისამდე“.¹

ვინაფთგან უკუე ესე ესრეთ არს, ვითარ იტყვს ან უფალი, ვითარმედ: „დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად“? – ამას მოასწავებს: არა თუ არიან ვინმე დასხდომადნი მარჯუენით მისა და მარცხენით. ნუ იყოფინ! არა ამას მოასწავებს, არამედ იჭკსა მათისა მიმართ მიუგო თანამიყოლით უძლურებასა გონებისა მათისასა, რამეთუ არა იცოდეს მათ ჯერეთ საყდარი იგი მაღალი და მარჯუენით მამისა დაჯდომად, უფროვად ამისაცა ფრიად უმდაბლესთა საქმეთა ჯერეთ უმეცარ იყვნეს. და ვითარცა ვთქუ, ასმიოდა რად, ვითარმედ: „დასხდეთ თქუენ ათორმეტთა საყდართა“,² უმეცარ იყვნეს ძალსა მის სიტყუსასა და ჰგონებდეს, თუ ხილულთა საყდართა ზედა ეგულების მათ დაჯდომად; ამისთვის სწადოდა, რადთა იგინი იქმნენ ყოველთა ზემო მჯდომარე, მახლობელად უფლისა. ამისთვის უფალმან გულისსიტყუსა მათისაებრ მისცა პასუხი და სახელ-სდვა მარჯუენით და მარცხენით დაჯდომად პირმშობასა მას პატივისასა. ხოლო სიტყუად მისი ესრეთ გულისწმა-იყოფების, ვითარმცა

¹ ებრ. 1,13,7-8. ² მათ. 19,28.

ეტყოდა მათ: ამას გაუნყებ თქვენ და გახარებ, ვითარმედ ვნებისა ჩემისა მობაძავ იქმნეთ და სისხლნი თქუენნი ჩემთჳს დასთხინეთ და ზიარ ჩემდა ამით ჯერითა გამოსჩნდეთ. გარნა არა კმა არს ესე, რადთამცა გყვნა თქუენ ყოველთა უპირატესისა და უმეტესისა პატივისა მიღებად, რამეთუ ესევე-თარი იგი საზომი სათნოებისაჲ მიუწდომელ არს კაცთაგან. და უკუეთუ ვინ მოვიდეს უმეტეს თქუენსა შემოსილი სამკაულითა სათნოებისაჲთა წამებისა თანა, ნუ ჰგონებთ, რომელ-ესე საყუარელ ჩემდა ხართ თქუენ და უმეტეს სხუათასა პატივცემულ, თუმცა უგულებელს-ყვავ იგი, რომელსა აქუნდეს საქმეთაგან სამართალი, და თქუენმცა მოგეც უპირატესობაჲ; არამედ გინა თუ თქუენ იპოვნეთ უმეტესისა სათნოებისა აღმასრულებელ, გინა თუ სხუად ვინ, რომელიცა იპოოს, იგიცა უმეტესად პატივ-იცეს, რამეთუ საქმეთაებრ მივსცემ გვრგვნსა და შრომათაებრ – პატივსა. და ესე არს ჩემ მიერ კეთილი და სამართალი განწესებულებაჲ – შემსგავსებულად ლუანლისა მინიჭებად სასყიდელთა სასწორითა სიმართლისაჲთა.

ესე არს პირი სიტყჳსა მის, გარნა ესრეთ განცხადებულად არა ჰრქუა მათ, რადთა არა შეანუხნეს, არამედ იგავით ეტყჳს სიტყუასა ამას, ვითარმედ: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ; ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთა განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა“.

ხოლო „ვიეთა განმზადებულ არს“, ვინ-მე არიან ნეტარნი იგი და სამგზის სანატრელნი? ესე იგინი არიან, რომელნი კეთილთა საქმეთა მიერ უბრწყინვალეს ყოველთასა გამოჩნდენ; მათცა მიიღონ უაღრესი დიდებაჲ და პატივი, რომელსაცა მარჯუენით და მარცხენით ჯდომად სახელ-სდვა სიტყჳსა მისებრ მათისა.

ამისთჳსცა არა ესრეთ თქუა, თუ: არა არს ჩემი მიცემად, არამედ მამისა ჩემისაჲ, რადთა ვერვინ თქუას, თუ მხოლოდშობილსა მას არა ჴელ-ენიფების მიცემად; არამედ ისმინე, ვითარ თქუა: „არა არს ჩემი მიცემად, არამედ მათი, რომელთადა განმზადებულ არს“. ხოლო რადთა უმეტესად გამოცხადნეს სიტყუად ესე, რომელსა ვიტყჳ, სახისმეტყუელებით გამოვიძიოთ ესე. ვთქუათ, ვითარმცა იყო ვინმე მეუფე და მიავლენდამცა მჴედართა ვიეთმე ახოვანთა ბრძოლად. მერმე მოუჴდესმცა ორნი ვინმე მჴედარნი ახოვანნი და მისდა საყუარელნი, და მინდობითა სიყუარულსა მას, რომელი აქუნ მეუფესა მათდა მიმართ, ეტყოდესმცა, ვითარმედ: მომეც ჩუენ გვრგვნი ძლევისაჲ და ქადაგე ჩუენი უფროჲს ყოველთასა უაღრესობაჲ. ხოლო მან მიუგომცა და ჰრქუა მათ: არა ჩემი არს ამის საქმისა მიცემად, არამედ მათდა განმზადებულ არს, რომელთა უმეტეს სხუათასა აჩუენონ ლუანლი და ახოვნებაჲ და თავს-იდვან ჭირი და ოფლთა სიმრავლე.

რად-მე უკუე ვთქუათ ესე ვითარისა მისთჳს მეუფისა? უძღურებაჲ დავსწამოთა? ნუ იყოფინ! არამედ უფროჲსად ვადიდოთ მართლმსაჯულობაჲ მისი და თუალუხუაობაჲ; რამეთუ არა თუ ვერ ძალ-ედვა გვრგვნი-

სა მიცემად, არამედ არა სათნო-იყო შჯულისა მას მართლმსაჯულობისა-სა განრყუნად. ეგრეთ უკუე ამას ნესსა ზედა გულისწმა-ყავ სიტყუად ქრისტესი, რამეთუ ყოვლით კერძო ამას მოასწავებს, ვითარმედ მადლსა თანა ღმრთისასა საქმეთა კეთილთა საზომი კაცად-კაცადისად აღაორძინებს პატივსაცა მისსა. ამისთვის თქუა, „ვიეთა განმზადებულ არსო“.

ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ან ითხოვთ თქუენ უპირატესობასა პატივისასა; რად-მე უკუე ყოფად არს, უკუეთუ მაშინ იპოვნენ სხუანი, უმეტეს თქუენსა დამაშურალნი და უმეტესთა სათნოებათა აღმასრულებელნი? რამეთუ უკუეთუ თქუენ თვთ არა გამოაჩინნეთ თავნი თქუენნი ღირსად უფროვს ყოველთა პატივ-ცემისასა, ნუ ჰგონებთ, თუ მოწაფეობისა ჩემისათვის ხოლო მიემთხვნეთ მას.

რამეთუ ვინაფთვან უფროვს ყოველთა საყუარელ და პატივცემულ იყვნეს ორნი იგი ძმანი პეტრეს თანა და ჰგონებდეს, თუ მიიღონ აღთქუამად, რაფთა დიდებასა მისსა უმეტეს ყოველთა პატივ-იცნენ, რაფთა არა ამით გულისსიტყუათა უდებ იქმნენ, ამისთვის განაშორებს უფალი იქვსა ამისგან და ეტყვს: არა ჩემი არს მიცემად, არამედ თქუენი, უკუეთუ ინებოთ მიღებად უმეტესისა შრომისა და ღუანლისა და სათნოებისა ჩუენებითა. ამას ესევითარსა ძალსა მოასწავებს სიტყუად უფლისა, და ამისთვის ესრეთ განცხადებულად არა თქუა, რაფთა შეუნუხებელ-ყოს სიტყუად თვისი.

ხოლო ესე ვინმცა არა უწყოდა, ვითარმედ იგი არს მეუფე და უფალი და ჳელმწიფე მიცემად, ვიეთცა ენებოს, პატივისა და დიდებისა, და მას აქუს ჳელმწიფეობად განკითხვად ცხოელთა და მკუდართა, და მან ჰრქუა პეტრეს: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისანი“,¹ და პავლე მასვე მოასწავებს და იტყვს: „ამიერიფთვან მიმელის მე სიმართლისა იგი გკრგკნი, რომელ მომცეს მე უფალმან მას დღესა შინა, მართალმან მსაჯულმან; არა ხოლო თუ მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებად მისი“.² და იგი განარჩევს მარჯუენეთა და მარცხენეთა და მიაგებს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. და „ყოველივე მის მიერ იქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი რად იქმნა, რაოდენი-რად იქმნა“.³ გარნა ან ესრეთ განანესა სიტყუად თვისი, რაფთა არცა შეანუხნეს კეთილნი იგი ძმანი, არცა დაუტევნეს უმეტრებით ცთომასა შინა, არამედ აუწყა, ვითარმედ არა ან არს გამოჩინებად სასუფეველისა ცათაფსად, და ვითარმედ შემსგავსებულად საქმეთა მიიღებს კაცად-კაცადი სასყიდელსა მას დღესა შინა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათვის“ (20,24).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვიდრემდის ქრისტე პატივ-სცემდა მათ უფროვს ყოველთა, დაღაცათუ გონებით უმძიმდა სხუათა მათ, არამედ დუმნეს და არას

¹ მათ. 16,19.

² 2 ტიმ. 4,8.

³ იოან. 1,3.

იტყოდეს, რამეთუ ეშინოდა უფლისაგან და ჰრცხუენოდა; და პეტრეს-ცა მიმართ კაცობრივი რადმე შეემთხვა მათ, ოდეს-იგი ხარკისა მიცემად უბრძანა, გარნა არა განრისხნეს, არამედ ჰკითხეს ხოლო, „ვინ-მე უფროდს იყოსო“;¹ ხოლო ან თხოასა ამას ზედა ორთა მათ ძმათასა განრისხნეს და არცა ან იკადრეს გულისსიტყვსა მის გამოჩინებად, ვიდრემდე ქრისტემან ამხილა, ვითარმედ: არა ეგების სხუაებრ პატივისა მის უზეშთაესისა მიმ-თხუევად, გარნა ჩუენებითა უმეტესისა მოლუანებისადათა. მაშინ ათთა მათცა გამოაჩინეს გულისსიტყუად მისი.

ჰხედავა, ვითარ ჯერეთ არა მიწომილ იყვნეს სრულებისა საზომსა, არამედ ორნი იგი უჯდებიან ათთა მათ, და იგინი ეშურებიან ორთა მათ? გარნა, ვითარცა ვთქუ, ამისა შემდგომად მიხედენ მათ, ვითარ ამალდდეს ყოველთაგან კაცობრივთა ვნებათა და გულისსიტყუათა. რამეთუ იხილო იოვანე, რომელი ან ესრეთ ითხოვდა, ვითარ ყოველსა ადგილსა უხუცე-სობასა პეტრეს მისცემდა – სწავლათაცა შინა და სასწაულთაცა, ვითარცა საქმე მოციქულთად გუასწავებს. და თქსსაცა სახარებასა შინა ქადაგებს სათნოებათა მისთა და სიმწნესა და აღსაარებასა და საფლავად შესლვასა და თავისა თქსისა უმეტესად მას პატივ-სცემს.

რამეთუ ვინაფთგან ორნივე იგი არა განეშორნეს უფალსა ჟამსა მას ვნებისასა, რადთამცა თქსისა ახოვნებისა და ერთგულებისა ქებად დააკნინა მახარებელმან და ღმრთისმეტყუელმან, ამისთქს იტყვს, ვითარმედ: „მის-დევდა იესუს პეტრე და სხუად იგი მონაფე. ხოლო მონაფე იგი მეცნიერ იყო მღდელთმოდღურისა“.² და კუალად, აღდგომასა რად აღსწერდა, თქუა, ვითარმედ: პეტრე პირველ შევიდა საფლავად.³ ესრეთ ყოვლით კერძო პა-ტივ-სცემდა მას.

ხოლო იაკობ მრავალი ჟამი არა დაყო სოფელსა შინა, არამედ პირვე-ლითგანვე, მო-რად-ილო მადლი სულისა, ესოდენ განჯურდა გული მისი, და ყოველივე კაცობრივი დაუტევა და სიმაღლედ გამოუთქუმელად აღ-ვიდა და ფრიადითა ახოვნებითა ცეცხლებრ ეკუეთა ერსა მას ჰურიათასა, ვიდრელა ენება რად ჰეროდეს მომადლებად ჰურიათად, მოკლა იგი მახკლი-თა და ვითარცა დიდი რადმე მადლი დაჰმადლა ჰურიათა; და აღესრულა მის ზედა ბრძანებად უფლისა, ვითარმედ: „სასუმელი ჩემი შესუათ და ნათლის-ღებად ჩემი ნათელ-ილოთ“.

ხოლო იოვანეცა მრავალთა სიკუდილთა მისცა თავი თქსი ქრისტესთქს და მრავალგზის დასთხია მისთქს სისხლი თქსი და დიდნი შრომანი და ღუანლნი თავს-ისხნა და აღასრულა საქმით, რად-იგი აღუთქუა უფალსა, რაჟამს ჰკითხა მან: „ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი ჩემდა შესუ-მად არს, ანუ ნათლის-ღებად, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათლის-ღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვც“.⁴ და სხუათა მათ საქმეთა მისთა და დიდებუ-

¹ მათ. 18,1.

² იოან. 18,15.

³ შდრ. იოან. 20,6.

ლებათა უკუეთუ ვინყო აღწერად, დამაკლდეს მე ჟამი მითხრობად, და მოუძღურდეს ენა სიტყუად, ესრეთ დიდ იქმნა და ბრწყინვალე საყუარელი იგი მონაფე ქრისტესი. ეგრეთვე სხუანიცა მოციქულნი საზომსა მას სრულებისასა მიიწინეს, ხოლო მაშინ ჯერეთ ჩჩვლლა იყვნეს გონებითა. ამისთვის წერილ არს, ვითარმედ: „განრისხნეს ორთა მათთვის ძმათა“. არამედ ვისმინოთ უფლისად, რად-იგი ჰრქუა მათ, ვითარცა ესერა გუასწავებს მახარებელი და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი ჳელმწიფებენ მათ შორის? ხოლო თქუენდა არა ეგრე იყოს, არამედ რომელსა უნდეს თქუენ შორის დიდ ყოფად, იყოს თქუენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქუენგანსა წინა ყოფად, იყოს თქუენდა მონა. ვითარცა ძე კაცისად არა მოვიდა, ვითარმცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სასწრაფ მრავალთა“ (20,25-28).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამისა პირველად ამისვე პირისათვის წარმოილო რად სიტყუად, ოდეს-იგი ჰკითხეს მათ, თუ: „ვინ-მე უფროდს იყოს სასუფეველსა ცათასა“,¹ ყრმად მოიყვანა სახედ და უბრძანებს ბაძვად სიმშჯდესა მას და სიმდაბლესა და უმანკოებასა ჩჩვლთა ყრმათასა. ხოლო ან უფიცხესადრე ამხილებს და შერჩულავს და ეტყვს, ვითარმედ: საქმე ესე, უხუცესობისა ძიებად, საწარმართოდ არს და არა შემსგავსებული ჩემთა მონაფეთად.

იცოდა უფალმან, ვითარმედ დიდი მძლავრებად აქუს ამას ვნებასა და დიდთაცა კაცთა აჭირვობს. ამისთვის ძლიერად ჳელ-ჰყოფს აღმოფხურად მისა გულთაგან მონაფეთადსა და ეტყვს: უხუცესობად უდარესთა ზედა და წუნობად უმცირესთად – ესე საქმე არს და ჩუეულებად წარმართთად, ხოლო თქუენ შორის, მეგობარნო ჩემნო, ესემცა წესი ნუ იპოების, უკუეთუ გნებავს მონაფე ჩემდა ყოფად. რამეთუ იხილნა რად, ვითარმედ განრისხნეს ორთა მათთვის, ჯეროანსა ჟამსა შემოილო სწავლად ამის პირისად:

უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ და ჳელმწიფებენ უდარესთა ზედა? ხოლო მე ესრეთ განმინესებდეს, რადთა რომელმან ყოს თავი თვისი უდარეს და უმცირეს ყოველთასა და ყოველთა მონა და მსახურ, იგი იყოს დიდ უფროდს ყოველთა. და რადთა სცნათ, ვითარმედ არა ცუდად ვიტყვ, თავისა ჩემისაგან მიიღეთ სახე ესე. რამეთუ მე, მეუფემან ზეცისა მწედრობათამან და შემოქმედმან ყოველთა დაბადებულთამან, თავს-ვიდევე განკაცებად და შეურაცხ ვიქმენ კაცთაგან, მონათა ჩემთა, და სიკუდილად მივეცემი, რადთა მივსცე სული ჩემი სასწრაფ მრავალთა, რადთა მტერქმნილნი იგი და განდგომილნი და წარწყმედილნი წყალობით მოვიძინე და ჩემდავე მოვაქცინე.

¹ მათ. 18,1.

ესრეთ უჩუენა სახიერმან მან და ასწავა, ვითარმედ სიმდაბლე და ყოველთა უდარესობად მოატყუებს კაცსა ქეშმარიტსა მას ზეცისა დიდებასა; და მარადის სიმდაბლისათჳს დიდთა წარმოიტყჳს უფალი ქებათა, რაათა ყოველივე ზუაობისა გულისსიტყუად სრულიად აღმოჰფხურას გონებისაგან კაცთაჲსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ვითარცა გამოვიდოდეს იერიქოთ, მისდევდა მას ერი მრავალი. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა. და ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, წმობდეს წმითა დიდითა: შემინყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო! ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაათა დადუმნენ. ხოლო იგინი უფროჲს ლალადებდეს: შემინყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო! დადგა იესუ, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რად გნებაჲს, და გიყო თქუენ? ჰრქუეს მას: უფალო, რაათა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი. შეენყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღიხილნეს და შეუდგეს მას“ (20,29-34).

თ ა რ გ მ ა ნ ი : დაღაცათუ თუალნი მათნი ბრმა იყვნეს, არამედ მრავალთა კეთილადმხედველთა უმჯობეს იყვნეს, რამეთუ არცა ეხილვა იესუ, არცა წინამძღუარი ჰყვა, და თუალითა გონებისაჲთა განიცდიდეს მას და წმითა მაღლითა სახელსა მისსა ხადოდეს; დაღაცათუ ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაათა დუმნენ, ხოლო იგინი უფროჲს ლალადებდეს და წყალობასა უფლისასა ითხოვდეს. ხოლო უფალი შეუწოდებდა შერისხვად მათდა, რაათა უმეტესად გამოჩნდეს გულსმოდგინებაჲ მათი და საცნაურ იქმნას, ვითარმედ ღირსებით მისცა მათ ნათელი. ამისგან ვისწავოთ, საყუარელნო, ვითარმედ დაღაცათუ ფრიად უნდონი ვიყვნეთ და შეურაცხნი, უკუეთუ მჭურვალთა ლმობიერებითა შეუვრდეთ უფალსა და მოუწყინებულად ვევედრებოდით, ვჰპოებთ მის მიერ წყალობასა.

იხილეთ უკუე, ვითარ მათ ბრმათა არავინ მოციქულთაგანი ჰყვა მეხვშნედ, და არცა რად საქმეთა თჳსთაგან წამებაჲ, არამედ გულსმოდგინებაჲ მათი და ლმობიერად და სიმდაბლით ვედრებაჲ კმა-ეყო მონყალე-ყოფად უფლისა მათ ზედა. ეგრეთვე ჩუენ ვიქმოდით, ძმანო, დაუცადებულად ამას წმასა ვლალადებდეთ: შემინყალენ ჩუენ, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო! ნუმცა რად შემძლებელ არს დაბრკოლებად ჩუენდა ამის ვედრებისაგან, ვითარცა იგინი ვერარამან დააყენნა, ვერცა სიგლახაკემან, ვერცა სიბრმემან, ვერცა შერისხვამან ერისამან, რამეთუ ესევეითარი არს სული მჭურვალე და ჭირვეული; ამისთჳსცა ღირს იქმნეს იგინი წყალობასა. რამეთუ მოუწოდა მათ უფალმან და ჰრქუა: „რად გნებაჲსო, და გიყო თქუენ?“ ამისთჳს მოუწოდა და ჰკითხა, რაათა ყოველთა მიერ საცნაურ იქმნას სათნოებაჲ მათი, ვითარცა მრავალგზის ქმნა ესე. ერთად, რაათა სხუანი ბაძვად სათნოებისა აღადგინნეს; მეორედ, რაათა უჩუენოს, ვითარმედ ღირსებით მიიღებენ ესევეითარნი იგი თხოათა თჳსთა. ესრეთ ყო

ქანანეველისა მისთვის და ასისტავისა და წიდოვნისა, რამეთუ სათნო-უჩს მარადის განცხადებად სათნოებასა მვედრებელთა მისთასა, ვითარცა ამათ ზედაცა ქმნა. ხოლო ჰკითხა რად, თუ: „რად გნებავს?“ და მათ მიუთხრეს თხოად მათი, „შეენყალნეს იგინი იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მეყსეულად აღიხილნეს და შეუდგეს მას“.

შეენყალნესო იგინი და განკურნა. ნანდკლვე ესე არს მიზეზი მათისაცა კურნებისად და სხუათა ყოველთად – აურაცხელი იგი წყალობად მისი. ამისთვის ზეცით ქუეყანად გარდამოწდა, ამისთვის ყოველივე თავს-იდვა, რამეთუ შეენყალა წარწყმედული იგი ბუნებად კაცთად. გარნა დაღაცათუ ყოველსავე მადლითა და წყალობითა თვისითა იქმს, არამედ ეგრეთცა ღირსთა წყალობისათა ეძიებს, რადთა იგინი შეინყალნეს, ვითარცა ან ესერა გამოჩინდეს ბრმანი იგი. ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ ღირსნი იყვნეს. ამისთვისცა პირველად აჩუენეს ლმოზიერი ვედრებად და ჳმამალად ხადოდეს სახელსა მისსა; და მიიღეს რად კურნებად, კუალად აჩუენეს ჳეროანი მადლობად, რამეთუ არა განეშორნეს მას, არამედ შეუდგეს ქველისმოქმედსა უფალსა.

სწავლად 21

სიმდაბლისათვის და ამპარტავანებისა

და ან, მორწმუნენო, ჩუენცა ვაჩუენოთ გონებად კეთილი, ვევედრებოდით უფალსა ლმოზიერად და ვითხოვდეთ წყალობასა, რადთა ჩუენნიცა თუალნი გონებისანი, ვნებათაგან დაბრმოზილნი, აღგვხილნეს სახიერმან მან. შევიმოსოთ სიმდაბლეს, რადთა ლოცვად ჩუენი ფრთოვან იყოს; გულისწმა-ვყოთ ზემონერილი იგი ბრძანებად უფლისად, ვითარ იტყვს: რომელსა უნდეს დიდ ყოფად, იყოს ყოველთა მსახურ და ყოველთა მონა, რადთა დიდ იქმნას. ესე რად გესმოდის, საყუარელო, ყოვლითა ძალითა შენითა ისწრაფე მოგებად სიმდაბლისა; ნუ გეშინინ, თუმცა პატივისა შენსა რადმე ევნო სიმდაბლისაგან, რამეთუ რაოდენცა დაჰმდაბლდე, ვერ ძალ-გიც ესოდენ დამდაბლებად, ვითარ-იგი მეუფე ჩუენი დამდაბლდა. გარნა გარდამოსლვად იგი მისი ჩუენ ყოველთა აღსლვა გუექმნა, და მისიცა დიდებად გამოაბრწყინვა კაცთა შორის. რამეთუ პირველ განკაცებისა ანგელოზთა მიერ ხოლო საცნაურ იყო და კაცთა მცირედთა – ნმიდათა მათ წინაღსწარმეტყუელთა და მამათმთავართა, ხოლო განკაცნა რად და ჳუარს-ეცუა, ყოველმან სოფელმან იცნა იგი, და არარად დააკლდა დიდებასა მისსა, არამედ უფროესად შეიძინა ცხორებად კაცთად. ხოლო შენ, კაცო, რადსათვის გეშინის და ჰგონებ, თუ სიმდაბლისაგან პატივისა შენსა ევნოს? არამედ უფროესად უწყოდდე, ვითარმედ რაოდენცა დაიმდაბლო თავი შენი, უფროესად ამალდეების დიდებად შენი.

ესე არს კარი სასუფეველისაჲ. უკუეთუ გუნებაჲს მუნ შესლვაჲ, ესე გზაჲ ვიპყრათ სიმდაბლისაჲ, რამეთუ ვინებოთ თუ გზასა მას ამპარტავანებისასა სლვაჲ, შორს ვიპოვნეთ სასუფეველისაგან და ვიქმნეთ უფროს ყოველთა შეურაცხ და წარწყმედულ.

და ვითარცა სხუასა ადგილსა ვიტყოდეთ, ვითარმედ: რაჲსათჲს აჩუენებ კაცთა ქველისსაქმესა შენსა? რაჲთა იდიდოა და საქებელ იქმნა? ან უკუე ნუ ესრეთ იქმ და მაშინ ჰპოო ჭეშმარიტი დიდებაჲ და ქებაჲ. კუალად ვიტყოდეთ, ვითარმედ: რაჲსათჲს იუნჯებ, კაცო, რაჲთა სიმდიდრე გაქუნდეს? ან უკუე ნუ იუნჯებ და მაშინ ჰპოო ჭეშმარიტი სიმდიდრე.

ეგრეთვე აქა ვიტყვ: რაჲსათჲს გიყუარს დიდებაჲ და ზუაობაჲ? რაჲთა პირველ სხუათასა და უდიდეს იყო? ან უკუე შეიმოსე სიმდაბლე და იყავ ყოველთა უდარეს და მერმე იქმნა ჭეშმარიტად დიდ და ყოველთა პირველ. ხოლო იყო თუ აქა ზუავ და ამპარტავან, იპოო ყოველთა უმცირეს და წარჩევ და შეურაცხ. ესე სიტყუაჲ არა ჩემი არს, არამედ ქრისტესი. ამისთვისა წარმართნი შორის მოიყვანნა, რაჲთა გჭრუნოს, თუ რაჲზომ საძაგელ არს ამპარტავანებაჲ, ვითარ ცუდ და ამაო ეწოდების დიდებასა მას სოფლისასა, რამეთუ იძულებითი არს და მძლავრებისა შიშისაგან; ხოლო დიდებაჲ იგი სიმდაბლისაგან მომავალი ჭეშმარიტი არს და უტყუელი და ჭეშმარიტად საღმრთოდ და მტკიცე. ამისთვის საკვრველ არიან წმიდანი, რამეთუ ყოველთა უდიდეს იყენეს და უფროს ყოველთა დაამდაბლებდეს თავთა თჳსთა; ამისთვის სამარადისოდ ჰგიეს დიდებაჲ მათი და ვერცა თუ სიკუდილმან უძლო მათისა მის სიმალლისა დამდაბლებაჲ. ჭეშმარიტად არარაჲ არს უმაღლეს სიმდაბლისა, და არარაჲ არს უდარეს ამპარტავანებისა. და ესე ესრეთ გულისჴმა-ყავ: ამპარტავანსა ჰნებაჲს ყოველთა უზეშთაჲს ყოფად და იტყვს, თუ არავინ არს ღირს მისსა, არამედ ყოველნივე შეურაცხად ჰქონან; და მერმე რომელნი-იგი შეურაცხად და არარად შეურაცხიან, მათმიერსა ეძიებს პატივისა და დიდებასა. რაჲმცა იყო ამისა უუგუნურეს? ჰხედავა, ვითარ ამპარტავანი ყოველთა უმდაბლეს არს?

ჴ კაცო, რომელი-ევე ჰგონებ ყოველთა უდარეს შენსა, რაჲსათჲს უნდოთა მათ და უდარესთა მოქენე ხარ? რაჲთამცა გაქებდეს და გადიდებდეს? იხილეა ფრიადი ესე დამდაბლებაჲ?

იხილე ან მდაბლისაცა სიმალლე: იცის მდაბალმან, ვითარ დიდ არს კაცი და პატიოსან, და ყოველნი დიდად და პატიოსნად შეურაცხიან, ხოლო თავი თჳსი აქუს ყოველთა უმცირეს. ამისთვისა მცირედი თუ ვისგანმე მიიღოს პატივი, დიდად შეურაცხიეს იგი, რამეთუ სასჯელსა თჳსსა არა შესცვალეზს. ესე იგი არს, რომელნი-იგი განსაჯნა, ვითარმედ დიდ არიან, მათმიერი პატივი დაღაცათუ მცირე იყოს, დიდად შეურაცხია და უმეტეს ღირსებისა თჳსისა, ხოლო ამპარტავანსა პატივმცემელნი იგი მისნი არად შეურაცხიან, და მათმიერნი იგი პატივნი სანადელ მისა არიან.

კულად მდაბალი არა რომლისა ვნებისაგან იძლევის, რამეთუ ვერცა რისხვად ერევის მას, ვერცა დიდებისმოყუარებად, ვერცა შური და ჯდომად. და რამცა იყო უსანატრელეს სულისა ამის, ამათ ვნებათაგან განწმედლისა? რამცა იყო უმაღლეს მისა? ხოლო ამპარტავანი ყოველთა ვნებათაგან ძლეულ არს და, ვითარცა მაგლი მწკრესა შინა, ესრეთ დაფლულ არს ნივთსა მას შინა ვნებათასა.

ვინ არს უკუე ჭემმარიტად დიდ და მაღალ, განთავისუფლებული იგი ვნებათაგან ანუ მონად მათდა განსყიდული და შეკრული მისგან ჯელბორკილითა მწართა? ესე არს ყოველივე ზუავი და ამპარტავანი.

სხუადცა სახე მოგცე ამპარტავანებისა და სიმდაბლისა: იხილეთ ეშმაკი, ძირი იგი და წყაროდ ამპარტავანებისა. რაჟამს ამპარტავან იქმნა, მაშინ გარდამოვარდა პატივისა მისგან ზეცათაჲსა და შთავარდა ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა; ხოლო კაცნი მდაბალნი ზეცად ამაღლდეს, და მიეცა მათ ამპარტავანი იგი მტერი დასათრგუნველად, ვითარცა ბრძანა უფალმან, ვითარმედ: „მიმიცემიეს თქუენდა ჯელმნიფებად დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა“.¹ ხოლო კაცთაგანცა თუ ეძიებთ სახესა ამპარტავანებისასა, გულისჯმა-ყავთ მცირედ პირველ ამის ჟამისა ყოფილი იგი ზუავი და საეშმაკოდსა მის ამპარტავანებისა მობაძავი ივლიანე, რომელსა ეგონა თავი თვისი უბრძნეს ყოველთასა, და იყო იგი უგუნურთა და ცოფთა უცოფეს, რომელმან არცა თუ რად-იგი ყოველთა მიერ საცნაურ არს, შეუძლო ცნობად, რადთამცა გულისჯმა-ეყო, თუ ქვანი ქვა არიან და ძელნი ძელ და კერპნი კერპ, არამედ ესე ყოველნი ღმრთად შეჰრაცხნა და ჭემმარიტი იგი ღმერთი უარ-ყო. დიდი იგი სიცოფე მისი! იხილეთ უკუე, რაოდენი მვედრობად შეკრიბა და ვითართა ზუაობითა წარემართა სპარსეთს, და ვითარ იქმნა საქმე მისი უდარეს და უუგუნურეს ცოფთა და ნავლლიანთასა. ამისთვისცა ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა და საკიცხელ და ფერჯისსაცემელ ყოველთა იქმნა, თავჯედი იგი და ზუავი და ამპარტავანი, რომელსა ეგონა თავი თვისი ზეშთა უმაღლეს, და იყო იგი უსულოთა მათ კერპთა თვისთა უდარეს. ხოლო ღმრთისმსახურნი იგი და მორწმუნენი, რომელნი მის მიერ შეურაცხ-იყვნეს, უმეტეს მზისა ბრწყინვენ, რომელნი მან, ვითარცა უნდონი, მოსწყვდნა, კამართა ცისათა უმაღლეს არიან და ანგელოზთა თანა წინაშე საყდარსა მას დიდებისასა დგანან. ამისთვის იტყოდა უფალი: „ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.²

ისმინეთ სხუადცა სახე ამის პირისა: ვინ არს მდაბალ და უნდო და შეურაცხ, რომელსა შეენოდის ღმერთი ანუ რომელსა ჰბრძოდის? საცნაურ არს, ვითარმედ რომელსა ჰბრძოდის ღმერთი, იგი არს უდარეს და უსანყალობელეს ყოველთა კაცთა. ისმინე უკუე წერილისაჲ, რასა

¹ ლუკ. 10,19.

² მათ. 23,12.

იტყვს: „უფალი ამპარტავანთა წინააღმდეგების და მდაბალთა მისცემს მადლსა“.¹ და კუალად ესეცა გკითხო: ვინ უმაღლეს არს, რომელი შესწირვიდეს დღითი-დღე ღმრთისა შესანიშნავთა სათნოთა ანუ რომელი შორს განვრდომილ იყოს მისგან? ისმინე უკუე, ვითარ მდაბალი, ვითარცა მღვდელი, მარადის მსხუერპლსა ქებისასა შესწირავს ღმრთისა, „მსხუერპლ ღმრთისა არსო სული მდაბალი, გული წმიდად და სული მდაბალი ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“.² იხილეთ ამისი სინმიდე? მიხედენ ან სიხენეშესა ამპარტავანისასა: „საძაგელ არსო წინაშე ღმრთისა ყოველი მალალი გულითა“.³ რამეთუ მდაბალსა ზედა ღმერთი განისუენებს, ვითარცა იტყვს: „ვის მივხედნეო, გარნა მშკდსა და მდაბალსა, რომელი ძრწინ სიტყუათაგან ჩემთა“,⁴ ხოლო ამპარტავანი ეშმაკისა მიერ წარტყუენულ არს, ვითარცა იტყვს პავლე: „ნუუკუე აღმალდეხო და სასჯელსა ეშმაკისასა შთავარდეს“.⁵ რამცა უკუე იყო უძკრეს ამპარტავანებისა, რამეთუ ესე არს თავი და აღსასრული ყოველთა ბოროტთა; ანუ რამცა იყო უსანადელეს და უსანატრელეს სიმდაბლისა, რომელი-იგი საკუთარ და საყუარელ ღმრთისა ჰყოფს მუშაკთა მისთა და სანადელ და სანატრელ ყოველთა კაცთა, რამეთუ მუშაკსა მას სიმდაბლისასა ყოველნი ვითარცა მამასა პატივ-სცემენ და ვითარცა ძმად უყუარს და ვითარცა ასოთა თვსთათვს ელმის მისთს.

ვიქმნეთ უკუე მდაბალ, საყუარელნო, რადთა ავმალდეთ, რამეთუ ნანდვლვე აღამალლებს იგი კაცსა სიმალლითა მით საღმრთოთა, ხოლო ამპარტავანებად ესოდენ დაამდაბლებს, ვიდრელა ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა შთაჰჷდის. ამან დაამდაბლა ფარაო და ცხენებითურთ და მჷედრებით ზღუასა დაანთქა, რამეთუ ამპარტავანებით წინააღმდეგებოდა ბრძანებათა ღმრთისათა; ხოლო აბრაჰამ, რამეთუ უნესდა თავსა თვსსა „მინა და ნაცარ“,⁶ ამისთს ამალდა და მრავალთა ერთა მძლე ექმნა და ოთხნი მეფენი ერთურთ მათით იოტნა; და მიერთგან აქამომდე იქადაგების და იდიდების ყოველთა მიერ. ხოლო ზუავი იგი ფარაო იქმნა ჭემმარიტად მინა და ნაცარ, რამეთუ არარად ესრეთ სძაგს უფალსა, ვითარ ამპარტავანებად და სიმალლე გულისად.

რამეთუ ვინათგან პირველიცა იგი კაცი ამის ვნებისაგან სცთა და სწორებად ღმრთისად ეუცნა და მის გამო წარწყმიდა ყოველი, რადცა აქუნდა, ამისთს ღმერთმან ყოვლით კერძო განაგო აღმოფხურად ჩუენგან ამის ვნებისად. ამისთს მოკუდავ ვიქმნენით, და მწუხარებით და სულ-თქუმით განენესა შობად ჩუენი, და ყოველივე ცხორებად ჩუენი შრომითა და ოფლითა და უბადრუკებითა არს, რადთა ვხედვიდეთ უძლურებასა მას ბუნებისა ჩუენისასა და დავმდაბლდებოდით. რამეთუ მარადის ესრეთ არს ბუნებად ამპარტავანებისა: არა თუ არარას ვის მოატყუებს სარგებელსა, არამედ

¹ 1 პეტ. 5,5. ² ფსალმ. 50,19. ³ იგავ. 16,5. ⁴ ესაია 66,2. ⁵ 1 ტიმ. 3,6. ⁶ დაბ. 18,27.

რომელიც-რად ვის აქუნდეს კეთილი, მასცა წარსწყმედს. ხოლო სიმდაბლე არა თუ ოდენ რაოდენიცა კეთილი აქუნდეს მოყუარეთა მისთა, შეუხებელად სცავს, არამედ რომელი არა აქუნდეს, მასცა მიანიჭებს.

ან უკუე, ძმანო, სიმდაბლე შევიტკობოთ, იგი შევიყუაროთ, იგი მოვიგოთ, რადთა აქაცა კეთილი გუეყოს და წარუვალსა მას ზეცისა დიდებასა მივემთხვნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებად, სიმტკიცე, პატივი და თაყუანის-ცემად ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოელსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

წმიდანო ღმრთისანო, რომელნიჲ ამას წმიდასა წიგნსა აღმოიკითხვიდეო, ლოოცვა-ყავთ მამისა ჩემისა იოვანესთჳს და მეჲს, წოდვილი ეფთჳმე. ლოოცვასა მომივსენეთ, რომელმან ჳრძანებითა და ხარკებითა მათითა ესე წმიდაი წიგნი ჳერძულისაგან ქართულოსა ენასა გამოვთარგმნე. შრომისათჳს ლოოცვა-ყავთ და ზომად წერისათჳს შემინდვეთ.

დიდებად წმიდასა სამებასა უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 23

სიტყუაჲ ესე: „და ვითარცა მიეახლა იერუსალჴმდ და მოვიდა ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ წარავლინნა იესუ ორნი მონაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მიყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჴ მის თანა; აღჴსენით და მომგუარეთ მე იგი. და უკუეთუ ვინმე გრქუას რად თქუენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უჴმან ეგე, და მიყსეულად მოავლინნეს იგინი“ (21,1-3).

მრავალგზის ამისა პირველადცა აღვიდა იერუსალჴმდ, გარნა ესევი-თართთა განცხადებულებითა და დიდებითა არლასადა აღსრულ იყო. რად არს უკუე ამისი მიზეზი? მაშინ დანყებად იყო განგებულებისა და არლა მოახლებულ იყო ჟამი ვნებისა მისისა; ამისთჴს ესრეთ ლიტონად იქცეოდა მათ შორის და არა ფრიად განაცხადებდა თავსა თჴსსა, რადთა არა უმეტე-სითა გულისწყრომითა აღეტყინნენ უშჯულონი იგი მდღელთმოდღუარნი და ფარისეველნი. ხოლო ვინაფთგან ძლიერებისა თჴსისა სახენი ჯეროვნად უჩუენნა სასწაულთა მიერ, და ჟამი ჯუარ-ცუმისა მისისა მოახლებულ იყო, ჯერ-იჩინა უბრწყინვალესად გამოჩინებად და ყოველსავე დიდებულე-ბასა აღასრულებს, დაღაცათუ იგინი შურითა შეინუებოდეს.

და ან იხილეთ, რაბამნი საკვრველებანი იქმნებიან და რაოდენნი წინაფწარმეტყუელებანი აღესრულებიან. წარავლინნა მონაფენი მოყვანე-ბად ვირისა მის და კიცჴსა და მიუთხრა მათ ადგილი იგი და სახლი და და-ბად, სადა დაბმულ იყო. აუწყა, ვითარმედ არავინ დააყენნეს იგინი, რომელ ესეცა დასასჯელად იყო ჰურიათა; რამეთუ კაცთა მათ უმეცართა და უც-ხოთა ესმა რად, ვითარმედ უფალსა უჴმან ვირი იგი და კიცჴ, სიხარულით წარავლინნეს და არად სიტყუა-უგეს, ხოლო ჰურიათა კრებულმან, ესოდენ-თა სასწაულთა მისთა თუალით მხილველმან, უარ-ყვეს უფალი ყოველთაჲ.

და მონაფენიცა გულსავსე-ყვნა ამით საქმითა, ვითარმედ განვიდენ რად იგინი ქადაგებად, ეგრეთვე მათ განუმარჯუდეს ყოველი შეწევნითა მისითა, რადთა არასადა რად საჭიროთა საჭმართაგანი დააკლდეს, დაღაცა-თუ იგინი უპოვარ იყვნენ და არარად აქუნდეს.

ხოლო დაჯდომად იგი მისი კიცჴსა მას ზედა ორკერძოსა წინაფწარ-მეტყუელებასა აღასრულებდა: ერთსა საქმით ყოფადსა და ერთსა სიტ-ყვთ თქუმულსა. სიტყვთ თქუმული იყო წინაფწარმეტყუელებად იგი ზა-ქარიადსი, ვითარცა ესერა მახარებელიცა მოიყვანებს მას მონამედ და იტყჴს:

სახარებაჲ: „ესე ყოველი იქმნა, რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაფწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: არქუთ ასულსა სიონისასა: აჴა

**ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშკდი, და ზეზის იგი ვირსა კიცუსა, ნა-
შობსა კარაულისასა¹ (21,4-5).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ვითარმედ მიუთხართ საკვრველი ესე ასულ-
სა სიონისასა, რომელ არს იერუსალჴში ქალაქი და ერი იგი იერუსალჴმელ-
თად; მიუთხართ ესე დიდებული, ვითარმედ აჰა ესერა მოვალს მეუფე შენი,
არა ეტლებითა, ვითარცა სხუანი იგი მეფენი, არა ცხენებითა და მკედრე-
ბითა, არა ხარკთა და საფასეთა კრებითა, არამედ ფრიადითა სიმშკდითა
და სიმდაბლითა, მჯდომარე კიცუსა ახალსა. † საკვრველი ესე დიდებუ-
ლი, † საქმე შესაძრწუნებელი! მჯდომარე იგი ქერობინთა ზედა იხილვე-
ბის კიცუსა ზედა კარაულისასა მჯდომარე. ამისთვის განკვრევებით იტყვს
წინადასწარმეტყუელი: არქუთო ასულსა სიონისასა დიდი ესე საიდუმლოდ,
რადთა იხილოს ჭეშმარიტი იგი მეუფე თვისი.

ჰკითხე, საყუარელო, ჰურიასა და არქუ: ვინ არს იგი მეუფე, რომ-
ლისათვის წინადასწარმეტყუელი ამას ღაღადებს, რომელი მეუფე შევიდა
იერუსალჴმს კარაულსა ზედა მჯდომარე? ვერვის იტყვან, ვერცა გამო-
აჩინებენ, გარნა მეუფესა ჩუენსა ქრისტესა, რომლისათვისცა იყო სიტ-
ყუად იგი წინადასწარმეტყუელისა და ან ესერა აღესრულა.

ესრეთ აღასრულა უფალმან სიტყუად იგი წინადასწარმეტყუელი-
სა დაჯდომითა კიცუსა მას ზედა და ყო დაწყებად სხვსა წინადასწარ-
მეტყუელებისად, საქმით აღსრულებადისად, ესე იგი არს, არანმიდათა
მათ წარმართთა წოდებასა მოასწავებდა და მათ ზედა განსუენებასა და
აუწყებდა, ვითარმედ მოვიდენ იგინი მონებად მისა და შეუდგენ ბრძანე-
ბათა მისთა. ამისთვის ერთი იგი წინადასწარმეტყუელებად აღესრულებო-
და, ზაქარიას მიერ თქუმული, დაჯდომითა მით მისითა კიცუსა ზედა,
და მეორე ესე დაწყებასა მიიღებდა, და გამოისახვოდა კიცუსა მის მი-
ერ ეკლესიად და ერი ესე ახალი, ოდესმე არანმიდად, ხოლო დაჯდომითა
იესუსითა მას ზედა განწმედილი ყოვლისაგან არანმიდებისა. და ან იხი-
ლე სახისა მის ჭეშმარიტებად. რამეთუ არა სხუად ვინ წარავლინა მოყ-
ვანებად ვირისა მის და კიცუსა, გარნა მონაფენი, რამეთუ მოციქულთა
მიერცა იქმნა წოდებად ჰურიათადაცა და წარმართთად, მოციქულთა მი-
ერ გურნმენა ჩუენ და შევეწყნარენით ღმერთსა. ხოლო ვინაფთგან ჩუ-
ენ, წარმართთაგანნი ესე, მოვიქცით და წარვემართენით კეთილსა შინა,
და მერმე შეშურდა მრავალთა ჰურიათაგან და მათცა ჰრწმენა, ამისთვის
იხილვების ვირი იგი უკუანა შემდგომად კიცუსა მას. რამეთუ ვინაფთგან
განისუენა ქრისტემან წარმართთა ზედა, მოვიდენ იგინიცა შურითა კეთი-
ლისაფთა, რავდენთაცა იპოოს ნაწილი ცხორებისად. და ამას მოასწავებს
პავლე და იტყვს, ვითარმედ: „სიბრმე ჟამად-ჟამად შეჰყვა ისრაჴლსა,

¹ შდრ. ზაქ. 9,9; ესაია 62,11; იოან. 12,15.

ვიდრემდე სავსებად იგი წარმართადა შემოვიდეს. და ესრეთ ყოველი ისრაჲლი ცხონდეს“.¹ ყოვლად მათ უწოდა, რომელნი ცხორებად მოვიდეს, რამეთუ წარწყმედილნი იგი და ურწმუნობასა შინა დაშთომილნი არცა თუ წოდებად ისრაჲლად ღირს-ყვნა, არამედ შვილად წარწყმედისა; ხოლო დაჯდომად იგი უფლისაჲ კიცუსა ზედა საცნაურ არს, ვითარმედ მომასწავებელი იყო ზემონერილთა მათ საქმეთად. უკუეთუმცა არა ესრეთ იყო, რადსათვისმცა ესრეთ გამოწულილვით წინაფთვე ქადაგა წინადაწარმეტყუელმან ჰასაკიცა კარაულისაჲ მის, ვითარმედ: „ზეზის იგიო ვირსა კიცუსა“. და ესეცა მოესწავებოდა მაშინ, ვითარმედ დაუყენებულად მოაქცინენ წარმართნი მოციქულთა, და ვითარცა მაშინ აღჰქსნასა მას ვირისა და კიცკსასა არავინ სიტყუა-უგო, არცა დააყენნა, ეგრეთვე წარმართთა მიმართ ქადაგებაჲ მათი ვერვინ დააბრკოლა, დაღაცათუ მრავალნი აღუდგეს ბრძოლად, არამედ დაუყენებულად წარემართა საქმე მათი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო მონაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მათ იესუ. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცკ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი, და დაჯდა მას ზედა“ (21,6-7).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა დაჯდა კიცუსა მას ზედა ესრეთ ლიტონად, არამედ დაასხესო მონაფეთა სამოსელი მას ზედა. რასა მოასწავებს ესე, რამეთუ არარაჲ მის მიერ ცუდად იქმნებოდა?

ამას უკუე გამოსახვიდა საქმე იგი, ვითარმედ მონაფეთა, მოაქცინენ რად წარმართნი, ასწაონ მათ არა ხოლო სარწმუნოებაჲ, არამედ საქმენი კეთილნიცა და ბრწყინვალეებაჲ სათნოებათაჲ, მადლნი იგი სულიერნი, რომლითა სიშიშულე იგი ჩუენი, წარმართთაგანთაჲ, შემოსეს მათ და განჰმზადნეს სულნი ჩუენნი, რადთა სთნდეს უფალსა განსუენებად ჩუენ ზედა.

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ სამოსელნი იგი, მონაფეთა მიერ დასხმულნი კიცუსა მას ზედა, სახე იყვნეს კეთილთა საქმეთა, რომელნი განუწესნეს მოციქულთა ყოველსავე კაცსა მორწმუნესა, რამეთუ არა თუ მოვიგნეთ საქმენი კეთილნი, ვერ განისუენებს უფალი ჩუენ ზედა. ხოლო ესეცა გულისჴმავაჲ, მორწმუნეო, ვითარ მორჩილ არს და მშუდ კიცკ იგი, უმწყი და უსწავლელი, რომლისადა არავის აღედგა აღკრი, არცა ვინ დაჯდომილ იყო მას ზედა, და არავე განჰკრთა, არამედ წესიერად ვილოდა. და ესეცა წინადაწარმეტყუელებაჲ იყო ყოფადისაჲ მის და მოასწავებდა მორჩილობასა მას წარმართთასა და მეყსა შინა უწესოებისაგან წესიერებად შეცვალებასა მათსა, რამეთუ ყოველივე სიტყუამან მან ქმნა, რომელ თქუა უფალმან, ვითარმედ: „აღჰქსენით და მომგუარეთ მე“. ამან სიტყუამან უწესონი წესიერად და არანმიდანი სინმინდედ შეცვალნა. ვისმინოთ უკუე შემდგომიცა:

¹ რომ. 11,25-26.

სახარება: „ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა. და ერი იგი, რომელი წინაუვიდოდა და რომელი უკუანა შეუდგა, ღალადებდეს და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა! გუაცხოვნენ ჩუენ, რომელი ხარ მაღალთა შინა!“ (21,8-9).

თარგმანი: ხოლო ვითარცა-იგი სამოსელთა მათ, რომელნი მონაფეთა დასხნეს კიცუსა მას ზედა, სახე განვჰმარტეთ, მოედ ან, საყუარელო, ამათცა სამოსელთა, რომელთა ერი იგი დაჰფენდა, სახე ისწავე: საბურველსა მას უმეცრებისასა მოასწავებდეს, გონებასა მას ზედა ჰურიათასა დაბურვილსა, ვითარცა ღმერთშემოსილი პავლე ღალადებს: „ვითარცა-იგი მოსე საფარველი დაიბურის პირსა თვსსა, რაათა არა ხედვიდენ ძენი ისრაჲლისანი; რამეთუ დაბრმეს გონებანი მათნი, და ვიდრე დღენდელად დღედმდე, რაჟამს აღმოიკითხვოდის მოსე, იგივე საბურველი საკითხავსა მას ძუელისა შჯულისასა გულსა მათსა ძეს. ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცუვის საბურველი იგი“,¹ რომელიცა მაშინ უმრავლესმან მან ერმან მოიძარცუა გულთაგან მათთა და დაუფინნეს სულნი თვსნი სლვად უფლისა მათ ზედა.

ან უკუე სამოსელნი იგი ერისანი მოასწავებდეს ისრაჲლისაგან უფლისა მოქცეულთა, რომელთა მოიძარცუეს საბურველი იგი უმეცრებისად და იხილეს ნათელი ღმრთისმეცნიერებისად. ამისთვისცა ძლევისა გალობასა უღალადებდეს მძლესა მას სიკუდილისასა და რტოებითა ფინიკთათა მიეგებვოდეს, ანუ თუ ზეთისხილთათა, რამეთუ წესი იყო, მოვიდოდიან რად ძლევისაგან, ესევითართა სახითა მიგებებად.

და ნანდვლვე იგი იყო ჭეშმარიტად მძლე სიკუდილისად, რამეთუ მაშინ ახლად შუანი სიკუდილისანი შეემუსრნეს და ლაზარესდა საფლავით ეწოდა, ვითარცა იოვანე ღმრთისმეტყუელი გუასწავებს, და შევიდოდა იერუსალჲმდ ვნებად ჩუენტვს, რაათა ჯუარ-ცუმითა თვსითა ვნებანი ჩუენნი განაქარვნეს. და იხილე, ვითარ საქმე ესე დაურჩომელად წინადასწარმეტყუელთა პირველვე ქადაგეს, ზაქარია და დავით; იგი იტყოდა: „არქუთ ასულსა სიონისასა...“² (ზემონერილნი იგი სიტყუანი), ხოლო დავით ღალადებდა: „პირითა ყრმათა ჩჩვლთა მწოართათა დაემტკიცოს ქება“;³ და „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაათა“.⁴ რამეთუ რასა ან ერნი ესე გალობდეს, მან პირველვე ქადაგა. ხოლო შენ იხილე ჰურიათა მათ დაბრმობილთა ვერაგობად, რამეთუ ერი იგი მარტივი და ფრიადისა უკეთურებისაგან თავისუფალი და ყრმანი იგი უმანკონი მიეგებვოდეს უფალსა, ხოლო სხუანი იგი განცვბრებულ იყვნეს, ვითარცა იტყვს მახარებელი:

¹ 2 კორ. 3,13-16.

² ზაქ. 9,9.

³ ფსალმ. 8,3.

⁴ ფსალმ. 117,26.

სახარება: „და ვითარცა შევიდა იგი იერუსალმში, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი და იტყოდა: ვინ არს ესე? ხოლო ერი იგი იტყოდა: ესე არს წინადასწარმეტყუელი იესუ ნაზარეთით გალილეადათ“ (21,10-11).

თარგმანი: ესოდენი საკვრველებანი მისნი ეხილნეს და არაოდეს ესრეთ განკვრებულ იყვნეს, ხოლო ან, იხილეს რაჲ ერი თანამავალად, განკვრდეს, ესრეთ უგუნურ იყვნეს და მოშურნე. ხოლო ერიცა იგი, რომელი იტყოდა: „ესე არს წინადასწარმეტყუელი იესუ“, უმეცრებისაებრ თვისისა იტყოდა, რამეთუ ხედვიდეს სიმდაბლესა უფლისასა და სიმაღლესა მისსა უმეცარ იყვნეს, ვითარმედ იგი არს მეუფე და ღმერთი ყოველთაჲ.

ხოლო თავადი შევიდოდა კიცუსა მას ზედა მჯდომარე, რაჲთა, ვითარცა ზემო ვთქუ, ორკერძო წინადასწარმეტყუელება აღასრულოს; და კუალად სხუასაცა სახესა მოასწავებდა კარაულითა მით. ენება ყოველსავე ზედა წესისა დადებად ჩუენდა საჭიროთა საქმეთათვის და განმართებად ცხორებისა ჩუენისა. ამისთვისცა, იშვებოდა რაჲ ქუეყანასა ზედა, არა მოიგნა ტაძარი დიდებულნი, არცა დედა მდიდარი, არამედ გლახაკი, და ქუაბსა შინა იშვა და ბაგასა მიიწვინა; და კუალად, მონაფეთა რაჲ შეიწყნარებდა, არა ფილოსოფოსნი გამოირჩინა, არცა მდიდარი და დიდებულთა შვილნი, არამედ გლახაკნი და უსწავლელნი. კუალად, ტაბლასა რაჲ დააგებდა, ოდესმე ქრთილისა პურითა ყო სტუმრობად ერისაჲ მის და მონაფეთაცა მისგან გამოჰრდიდა, და ოდესმე უბანთაგან იყიდიან, რომელ ესეცა წესი იყო სიგლახაკისაჲ, და საჯდომად თივათაგან შეჰმზადა, და სამოსელსა თუ შეიმოსნ, უნდოჲ შეიმოსის და არა ბრწყინვალე, არცა მრავალსასყიდლისაჲ.

ხოლო სახლი ყოვლადვე არა მოიგო საყოფელად, და ოდეს ადგილთი ადგილად წარვალნ, ფერწითა თვისითა წარვიდის, ვიდრეღა მრავალგზის დაშურისცა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „იესუ, მაშურალი გზისა სლვისაგან, ჯდა წყაროსა მას ზედა“¹, არა დიდებით, არცა საყდრითა, არამედ შეურაცხად ქუეყანასა ზედა მხოლოჲ; კუალად, მწუხარებისა საზომსა რაჲ განაწესებდა, ცრემლოდა მდუმრიად ლაზარესთვის. ესე ყოველი ამისთვის ქმნა, ვითარცა ვთქუ, რაჲთა წესი და საზომი გკრუენოს ჩუენ ყოვლისა საქმისაჲ.

ეგრეთვე ან ამასცა საქმესა გუასწავებს: ვინაჲთგან იცოდა სახიერმან მან, ვითარმედ მრავალნი უძლურ არიან ჯორციითა და უჴმს საჯედარი სლვად, განაწესა საზომი საქმისაჲ მის, ვითარმედ არა ცხენთა და ჯორთა ჯერ-არს აღკაზმვად, არამედ კარაულითა აღსრულებად საწმრისაჲ მის უძლურებისათვის ჯორცთაჲსა.

¹ იოან. 4,6.

სწავლად 23 საღმრთოებსა მოქალაქობისათვის

მოედით უკუე, საყუარელნო, ჩუენცა გულისწმა-ვყენეთ საიდუმლოთა ამათ ძალი, რამეთუ მოცემულ არს ჩუენდა წელმნიფებად, უკუეთუ გუენე-ბოს, ბაძვად ვნებათა მისთა. ამისთვის, მორწმუნეო, გამოსახენ გონება-სა შენსა მაშინ აღსრულებულნი იგი საქმენი და გამოსახტე შესლვად იგი უფლისად იერუსალჴმდ ჯუარ-ცუმად.

თანაშეერთე გონებითა კრებულსა მას მონაფეთასა, თანაჰყეებოდე მძლესა მას სიკუდილისასა და სახენი იგი ძლევისანი – ბაიანი – წელთა გუ-ლისათა გაქუნდინ, რომელ არიან სათნოებანი. ესენი მიუჰყრენ მას ბაიისა ნილ; რტო ზეთისხილის ქმენ წელნი შენნი, სავსე ზეთითა მით მონყალებისა და გლახაკთმოყუარებისადათა.

უკუეთუ იგინი მაშინ სამოსელთა თვსთა დაუფენდეს, შენ არა ისწრა-ფოა შემოსად მისა, შიშუელი რად იხილო, და გამოზრდად მისა, მშიერი რად ჰპოო, რადთა ესრეთ შეინყნარო იგი შენ შორის?

ემსგავსე კიცუსა მას, რომელსა ზედა ჯერ-იჩინა დამბადებელმან შენ-მან დაჯდომად, მოიქეც არანმიდებისაგან სინმიდედ, უწესობისაგან წესი-ერებად. ვითარცა კიცკ იგი შეუდგა მაშინ მოციქულთა მათ, რომელნი მი-ვიდეს აღწსნად მისა და მიყვანებად უფლისა, და არა სიტყუას-უგებდა, ეგ-რეთვე შენ უმანკობით და მორჩილებით შეუდეგ სულიერთა წინამძღუართა შენთა და ნურარას ზედა წინააღუდგები და ყოვლისავე პირუტყუებრისა საქმისაგან თავი შენი შორს-ყავ. ნუ ქუეყანისადამცა შემშჴულულ ხარ გო-ნებითა, მარადის პირუტყუთაებრ ქუედადრეკილი, ნუმცა დამძიმებულ ხარ ტვრთითა ვნებათადათა, არამედ სამოსლითა მით და სამკაულითამცა სათნო-ვებათადათა შემკობილ ხარ; და დასთრგუნევდი გულისთქუმათა მათ წორცი-ელთა, რადთა ამით სახითა ჯერ-იჩინოს შენ ზედაცა ქრისტემან განსუენე-ბად, და იქმნე შენ საყდარ მისა, რომელი ზის ზედა ქერობინთა და იდიდების სერაბინთა მიერ და ყოველთავე ზეცისა მწედრობათა. მიემსგავსე ყრმათა მათ ჩჩვლთა, ჩჩვლ იქმენ ყოვლისავე ბოროტისა მიმართ, სრულიად უბი-ნო, შეიმოსე ჩჩვლთაებრ უმანკობად, სინწოფობად და სიმდაბლე და ესრეთ წინაუვიდოდე უფალსა. აღილე საგალობელი იგი წინადასწარმეტყუელისად, აქებდ მეუფესა მას დიდებისასა და უგალობდ, იქმენ სიონ ახლად, მაღალთა მათ ხილვათა ტაძარ, იქმენ მოქალაქე ზეცისა იერუსალჴმისა და უფროსლა ქალაქ მეუფისა დიდისა, რადთა შეინყნარო ქრისტე შენ შორის.

რამეთუ აჰა ესერა მოვალს შენდა მშკდი მაცხოვარი. განჰმზადე შენ შორის სავანე, რადთა დაემკვდროს შენ თანა, წმობდ სულიერთა გალო-ბითა: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა!“¹ ქმენ

¹ იოან. 12,13; შდრ. ლუკ. 19,38.

გული შენი ქორად დაგებულად, რაღათა შეიწყნარო ქრისტე, სერობისა მის საიდუმლოდსა შენ შორის აღსრულებად, პასექისა მის დიდისა, რომელ არს სოფლისა ამისგან ზეცისა სასუფეველად მისლვად. რად არს ქორი დაგებული? გონებად ზეცისა საიდუმლოთა მზრახვალი და სამკაულითა სათნობათადათა შემკობილი.

მიემსგავსე ვნებათა მათ მეუფისათა, თავს-იდევ გინებანი, კიცხევანი, ბასრობანი, შეურაცხებანი, გუემანი და ყურიმლის-ცემანი ქრისტესთვის, რამეთუ მანცა ესე ყოველი თავს-იდვა ჩუენთვის, მერმე ჯუარს-ეცუა, ლახურიტა იგურიმა, ძმარი და ნავლელი მიუპყრეს, გემოდ სიკუდილისად იხილა, რაღათა ჩუენ მძღავრებისაგან სიკუდილისა განგუათავისუფლნეს. რამეთუ ჩუენთვის ელმოდა უცოდველსა მას და უვნებელსა, რაღათა ჩუენცა მზა ვიყვნეთ მისთვის ყოვლისავე თავს-დებად; რამეთუ რად მადლი არს მონისა, უკუეთუ სწორად უფლისა თვისისა ევნოს? გარნა სახიერი იგი, მცირედიცა თუ რამე თავს-ვიდვათ, დიდისა მადლისა ზიარ-მყოფს ჩუენ, რამეთუ მიზეზსა ეძიებს წყალობად ჩუენდა.

ამისთვის გვედრები, საყუარელნო, ნუ უდებ-ვჰყოფთ ცხორებასა ჩუენსა, არამედ ვიდრელა სავაჭროდ ესე ამის ცხორებისად დგას, მოვივაჭროთ ცხორებად სულთა ჩუენთად, რაღათა ღირს ვიქმნეთ საუკუენთა მათ კეთილთა მკვდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ქრისტე ღმერთო, კუალად დიდებით მოსლვასა შენსა იზიარენ სუფევასა შენსა წმიდანი მამანი ჩუენნი იოვანე და ეფთჳმე.

თავი 28

სიტყუად ესე: „და შევიდა იესუ ტაძარსა მას და გამოასხა ყოველი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთად მათ დაამწუა. და ჰრქუა მათ: ნერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ენოდოს; ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“ (21,12-13).

ამას საქმესა იოვანეცა წარმოიტყვს, არამედ იგი დაწყებასა მას სახარებისასა იტყვს, ხოლო მათე – აღსასრულსა. ამისთვის საცნაურ არს, ვითარმედ ორგზის ქმნა ესე უფალმან სხუასა და სხუასა ჟამსა.

რამეთუ რომელსა იოვანე იტყვს, დღეთა მათ პასექისათა იყო, ხოლო ესე, რომელსა მათე გვთხრობს, უწინარეს პასექისა. მაშინ ჰრქუეს ჰურიათა: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამას იქმ?“¹ ხოლო აქა არარას ეტყვან ესევითარსა. ესე უკუე უმეტესისა მის ჰურიათა გულფიცხელობისა სასწაული არს, რომელ ორგზის ამხილა, და არა დასცხრესვე ცუდთა მათ ვაჭრობათაგან. ხედვიდეს სასწაულთა მათ ურიცხუთა და წინააღმდეგომად ღმრთისა ეტყოდეს წინააღმდეგომნი იგი ჭეშმარიტებისანი; ესმოდეს სიტყუანი წინააღმარმეტყუელთანი და ყრმათა ღალადებად, და უფიცხეს ქვათა იყვნეს გულნი მათნი.

ამისთვის უფალმან სიტყუანი ესაიასნი აღუწესენნა: „ნერილ არსო: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ენოდოს;² ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“ .

და არა ამათ ხოლო სიტყუათა მიერ აჩუენა წელმწიფებად თვისი, არამედ კურნებითაცა თითოფერთა სენთადათა, ვითარცა იტყვს მახარებელი:

სახარებად: „და მოუვდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა, და განკურნნა იგინი“ (21,14).

თარგმანი: ძალი და წელმწიფებად თვისი უჩუენა, რადათა ყოვლით კერძო უსიტყუელ იყვნენ, ხოლო იგინი უკეთურებასავე ზედა თვისსა ეგნეს. ხედვიდეს სასწაულთა მათ ურიცხუთა და ესმოდა ღალადებად იგი ყრმათად და შეიშთვებოდეს შურისაგან, ვითარცა ესერა გუესმა:

სახარებად: „და ვითარცა იხილეს მღდელთმოდუართა მათ და მწიგნობართა, რომელი-იგი ქმნნა იესუ სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ ღალადებდა ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსანა ძესა დავითისსა, განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა-ესე იტყვან?“ (21,15-16).

თარგმანი: ესე უმეტესად ქრისტეს შეჰგვანდა თქუამად მათდა, ვითარმედ: არა გესმისა, რასა-ესე იტყვან? რამეთუ ვითარცა ღმერთსა უგა-

¹ იოან. 2,18.

² ესაია 56,7.

ლობდეს. ვინაიდან უკუე მათ მიუთხრეს, იხილა უგულისწმოება მათი და ჰრქუა მხილებისა წესითა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „**არა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩვლთა მნოართათა დაემტკიცოს ქება?**“¹ (21,16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კეთილად თქუა, ვითარმედ „პირითა“, რამეთუ არა გონებათა მათთაგან იყვნეს სიტყუანი იგი, არამედ მიუთხრობელისა მის ძალისა მისისა, რომელმან მისცა სიტყუად ჩჩვლთა მათ უწინარეს ჟამისა მის ჰასაკთადასა.

ხოლო ესეცა სახე იყო წარმართათა, რომელნი უტყუ და უმეცარ იყვნეს და მესყუულად ღალატ-ყვეს ქება ღმრთისმეტყუელებისა საწმუნოებითა და გონებითა კეთილითა.

და მოციქულთაცა არა მცირედი ნუგეშინის-ცემად მიეცა უცხოდა მისგან ჩჩვლთა მათ ყრმათა ღმრთისმეტყუელებისა, რადათა არა იტყოდინ გონებათა თვსთა, თუ ვითარ უსწავლელთა მათ უძლონ ქადაგებისა მის განფენად ყოველსა სოფელსა. ამისთვის უსწრვეს ჩჩვლთა მათ ქებისა მის უცხოდა აღმოთქუამად, რადათა დაარწმუნონ მოციქულთა, ვითარმედ რომელმან-იგი მისცა სიტყუად ძუძუესმნოართა, მანვე მისცეს მათცა უხუებით სიტყუად სიბრძნისა და გულისწმის-ყოფისა. და არა ესე ხოლო, არამედ ამასცა მოასწავებდა სასწაული იგი, ვითარმედ უფალი არს და შემოქმედი ბუნებათა ქრისტე და თავადი არს მეუფე ყოველთა.

ესრეთ უკუე უჟამოდ იგი ჰასაკი ჩჩვლთა და ენანი იგი ბრგუნვილნი შუენიერად იტყოდეს და ზეცისა ძალთა მიმსგავსებულად, ხოლო კაცნი იგი ჰასაკითა სრულნი და მოხუცებულნი, მღდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი, უგუნურებისა და სიცოფისა სავსეთა ზრახვათა წაჰრევდეს. ვინაიდან უკუე იხილნა იგინი უფალმან აღვსებულნი უკეთურებითა, შურითა და რისხვითა შესხმისა მისთვის ყრმათადასა, სიტყუათა მათთვის ერისათა, სასწაულთა მათთვის, რომელნი ქმნნა ტაძარსა შინა, განსხმისა მისთვის მსყიდელთადასა და დამწობისათვის ტაბლებისა მეკერმეთადასა, და ყოვლით კერძო შეპყრობილნი ყოვლითავე ბოროტითა, დაუფლებულნი ეშმაკისაგან,

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „**დაუტევენა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ**“ (21,17).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაიდან ესმოდა უცხოდ იგი გალობად ჩჩვლთა და ხედვიდეს დიდებულებასა მას სასწაულთასა, და ნეფსით ყურნი დაიყვნეს და თუალნი დაინუხნეს, რადათა არა ესმოდის, არცა ხედვიდენ, არცა გულისწმა-ყონ ცხორებად თვსი, ამისთვის დაუტევენა იგინი და განვიდა გარე ქალაქით.

¹ ფსალმ. 8,3.

ხოლო იგი რად განვიდა, აღესრულა მათ ზედა სიტყუად იგი ესაიადსი, ვითარმედ: „აღივსო სახლი მათი კუამლითა“.¹ სახლად იტყოდა შესაკრებელსა მათსა. ესე იგი არს, ბნელსა შინა უკუნსა დაშთეს, რამეთუ კუამლი სახე არს რისხვისად, ვითარცა იტყვს მეფსალმუნე: „აჲდა კუამლი რისხვასა მისსა“.²

და სადა განვიდა? ბეთანიას, რომელი გულისჴმა-იყოფების თარგმანებით სახლ მორჩილებისა. რამეთუ დაბრმდეს რად ჰურიანი გონებითა და არა ინებეს შეწყნარებად ცხოვრებისა მათისა, დაუტევნა იგინი და განვიდა ბეთანიად, რომელ არს სახლი მორჩილებისად, რომელ არიან წარმართნი, რამეთუ მათი სახე იყო მაშინ ბეთანიად განსლვად; და ნანდვლვე გარეგან ქალაქისა მის საღმრთოჲსა ვიყვენით ჩუენ წარმართნი, არღა ქმნილ ვიყვენით მოქალაქე ახლისა მის იერუსალჴმისა.

ხოლო მო-რად-ვიდა ჩუენდა უფალი და მეუფე ყოველთაჲ, და შევიწყნარეთ ქადაგებაჲ მისი, მორჩილებით ვიქმნენით ჭეშმარიტად იერუსალჴმელ და შვილ აბრაჴამისა და გონება, მხილველ ღმრთისა, და მიერიტგან განცკვეს ჰურიანი და აღივსნეს კუამლითა, რადთა საუკუნოდ ცრემლოდინ, რამეთუ ესე არს საქმე კუამლსა შინა ჴშირსა შეყენებულთაჲ. ხოლო ჩუენ, რომელთა ნათელი უფლისაჲ მოგუეფინა და სიბნელე იგი ცოდვისაჲ განვაგდეთ, განვიდოდით მარადის მიგებებად უფლისა და გულთა ჩუენთა და გონებათა წინაშე მისსა დაუფენდეთ, რადთა ღირს-იჩინოს სლვად ჩუენ შორის, და გალობასა მას ძლევისასა საქმით და სიტყვით და გონებით შევასხმიდეთ.

სახარებაჲ: „და ხვალისაგან, მო-რად-ვიდოდა ქალაქად განთიად, შეემშია“ (21,18).

თარგმანი: რადსათჴს განთიად შეემშია? ოდეს შეუნდო ბუნებასა ჴორცთასა ჩუენებად საქმე თჴსი, მაშინ გამოჩნდა უძლურებაჲ მისი.

სახარებაჲ: „და იხილა ლელჴ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არარად ჰოა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განჴმა ლელჴ იგი მეყსეულად“ (21,19).

თარგმანი: ხოლო სხუად მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „არღა იყო ჟამი ლელჴსაჲ“.³ და უკუეთუ არა იყო ჟამი, ვითარ იტყვს, მოვიდაო, რადთამცა ჰოა ნაყოფი?

ამისთჴს საცნაურ არს, ვითარმედ სიტყუად ესე იქჴსათჴს მონაფეთაჲსა აღწერა, ვითარმედ იგინი ჴგონებდეს, თუ ამისთჴს მივიდა მისა, რადთამცა ჰოვა ნაყოფი, რამეთუ უძლურ იყვნეს და არა სრულ. და ესე ჩუეულებაჲ აქუს მახარებელთა, რომელ მრავალგზის იქუსა მონაფეთასა აღსწერენ,

¹ ესაია 6,4. ² ფსალმ. 17,9. ³ მარკ. 11,13.

ვითარცა-ესე ან; იგინი ჰგონებდეს, თუ ლელვსა პოვნად მივიდა, და ეგრეთვე ესეცა მათისავე იჭვსა და გულისსიტყვსა ზრახვად იყო, თუ ამისთვის დანყვეა ლელვ იგი, რომელ ნაყოფი არა ესხა.

რახსათვს უკუე იქმნა დანყვეად მისი? ესე ამისთვის, რამეთუ ყოველსა ადგილსა ქველისმოქმედებანი აჩუენნა და არავინ სადა ტანჯა, არამედ ყოვლით კერძო და ყოველთა მიმართ სახიერ იყო და მოწყალე და ტკბილ; ხოლო ჯერ-იყო, რადთა გამოჩნდეს, ვითარმედ ჳელ-ენიფების და ძალ-უც ტანჯვაძცა, რადთა ცნან მონაფეთაცა და ჰურიათაცა, ვითარმედ ძალ-ედვა განჯმობად ჯუარმცუმელთა მისთად და ნეფსით მიუშუა და არა განაჯმნა. ხოლო არა ენება მტანჯველისა მის ძალისა კაცთა ზედა ჩუენებად გარდამატებულისა მისთვის სახიერებისა. ამისთვის ხესა მას ზედა აჩუენა საქმე იგი ტანჯვისა და ძალი იგი ესევეითარი.

ხოლო შენ, კაცო, ოდეს გესმას, თუ ადგილთა ზედა, ანუ ნერგთა, ანუ პირუტყუთა იქმნა ესევეითარი რადმე, ნუ შეხუალ ცუდთა და უსარგებლოთა გამოძიებათა და იტყვ, ვითარმედ: რად განჯმა უსამართლოდ ლელვ იგი, ვინათგან ჟამი ნაყოფისად არა იყო? რამეთუ ესე სიტყუანი გარდამატებულისა სიცოფისანი არიან; არამედ სასნაულსა მას ხოლო ხედევდი და საკრველთმოქმედსა მას ადიდებდი. რამეთუ ღორთა მათთვისცა, რომელნი ზღუასა დაინთქნეს, თქუეს ვიეთმე ესევეითარი სიტყუად, თუ: რახსათვს იქმნა იგი, ანუ რად იყო მათი ბრალი? გარნა არცა მათი ჯერ-არს ყოვლადვე ყურისა მიპყრობად, რამეთუ იგინი პირუტყუნი იყვნეს, და ლელვ ესე ხე იყო უსულოდ, და ესე ყოველი კაცთა სამსახურებელად ქმნილ არიან, და კაცთა სარგებელსა აღასრულებდა უფალი ყოვლით კერძო. ვინათგან უკუე ჯერ-იყო ძალისა მის მტანჯველობისა ჩუენებად, რომელი-მე უმჯობეს იყო ანუ მოწყალეებისა მისისა გამომაჩინებელ: უკუეთუმცა კაცთა ზედა ერუენა ტანჯვად იგი ანუ რომელ უსულოსა მას ხესა ზედა აჩუენა?

ხოლო რომელ-ესე წერილ არს, თუ მიზეზისა მისთვის უნაყოფოებისა დანყვეა და განაჯმო ლელვ იგი, ვითარცა ზემო ვთქუ, იჭვ მონაფეთად იყო, თუ ამისთვის დანყვეა. ხოლო ჭეშმარიტი მიზეზი ესე იყო, რადთამცა ცნეს ყოველთა, ვითარმედ არა კეთილის-ყოფად ოდენ ძალ-უც, არამედ ტანჯვაძცა, უკუეთუ ინებოს. თქუეს ვიეთვე, ვითარმედ: ლელვ იგი შჯუულსა მას ძუელსა მოასნავებდა; არამედ ცუდ არს სიტყუად ესე, რამეთუ იტყვს: „არა იყო ჟამი ნაყოფისადო“, რამეთუ ნაყოფი შჯუულისად სარწმუნოებად იყო, და იგი იყო ჟამი ნაყოფისად მის, და მოილოცა შჯუულმან ნაყოფი იგი. ამისთვის იტყვს უფალი: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად ანვე“.¹ და კუალად ჰრქუა: „მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაშუერთ“.² ამისთვის საცნაურ არს, ვითარმედ არა ესევეითარსა რას მოასნავებს, არამედ, ვი-

¹ იოან. 4,35.

² იოან. 4,38.

თარცა ვთქუ, ძალსა მას აჩუენებს ტანჯვისასა. და ესე საცნაურ არს სიტყუსა მისგან, რომელ იტყვს, ვითარმედ: „არა იყო ჟამი ლელუსაჲ“, რადთა გულისწმა-გკყოს, ვითარმედ ამის ჯერისათჳს მივიდა ლელუსა მის და არა თუ შიმშილისათჳს. ვითარმცა მივიდა შიმშილისათჳს, რომელმან იცოდა, ვითარმედ ჟამი ლელუსაჲ არა იყო? გარნა მონაფეთათჳს მივიდა, რადთა სასნაული იგი უჩუენოს, რომელნიცა ფრიად განკკრდეს, დაღაცათუ მრავალნი ეხილვნეს ფრიად უაღრესნი სასნაულნი, არამედ, ვითარცა ვთქუ, უცხოჲ იყო ესე.

რამეთუ ან პირველ უჩუენა მტანჯველობისა ძალი, რომელი აქამომდე არა ეჩუენა. ამისთვისცა არა ქმნა სასნაული ესე სხუასა ნერგსა ზედა, არამედ ლელუსა, რომელსა ყოველთა ხეთაგან უმეტესად აქუს ნოტიობაჲ, რადთა უმეტეს იყოს სასნაული იგი. და რადთა სცნა, ვითარმედ მათთვის იქმნა საქმე იგი, რადთა უშიშ იყვნენ, ისმინე შემდგომიცა სიტყუაჲ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**ვითარცა იხილეს მონაფეთა მათ, უკკრდა და იტყოდეს: ვითარ მეყსეულად განწმა ლელჳ ესე! მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ლელუსაჲ ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუარ ამიერ და შთავარდი ზღუსა! – იყოს ეგრე. და ყოველსა რავდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (21,20-22).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, ვითარმედ ყოველივე იგი მათთვის იქმნა? რადთა სასოებისა ძალი შეიმოსონ და არა ეშინოდის მავნებელთა და მაჭირვებელთა მათთაგან, არამედ ცნან, ვითარმედ ჴელ-ენიფების უფალსა მათსა, უკუეთუ ენებოს, წინააღმდეგომთა მათთა ტანჯვაჲ ძალითა წამისყოფისა თვისისაჲთა. ამისთვის ორგზის ან ჰრქუა სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: უკუეთუ შეუორგულებელითა სარწმუნოებითა ილოცვიდეთ, ყოველივე მოგეცეს თქუენ, რადცა ითხოოთ, ვიდრე მათთა ცვალებადმდე, და სხუათა უაღრესთა სასნაულთა აღასრულებდეთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**და მო-რად-ვიდა იგი ტაძრად, მოუწდეს მას მდღელთ-მოდღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა, და ჰრქუეს მას: რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა ჴელმწიფებაჲ ესე?“ (21,23).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად ამპარტავანნი იგი და თავჴედნი ჰურიანი ისწრაფიან სწავლისა მის დახრწევაჲ, რადთა არა შეუნდონ ერსა მას სმენად და გულისწმის-ყოფად. ხოლო ვინაჲთგან სასნაულთათჳს ბრალსა ვერარას შეჴვდიდეს, მაშინ განსხმისათჳს მსყიდელთა და მეკერმეთაჲსა ტაძრით აბრალობენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმო. ეგრეთვე იოვანე წარმოიტყვს, რამეთუ მაშინცა, დაღაცათუ არა ესევე სიტყუანი ჰრქუნეს, არამედ ამითვე გულისსიტყუთა უკეთურებისაჲთა ჰკითხვიდეს: „რასა სას-

წაულსა მიჩუენებო, რამეთუ ამას იქმ?“ არამედ მაშინ მიუგო და ჰრქუა მათ: „დაწენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო იგი“.¹ ხოლო ან სიტყუად წინაუყო, რომლისა პასუხისა მიცემად მოუძღურდეს, რამეთუ იგი დაწყებასა იყო სახარებისასა, ხოლო ესე – აღსასრულსა.

ესრეთ უკუე ეტყვან უმჯულონი იგი, ვითარმედ: „რომლითა წელმნიფებითა იქმ ამას?“ ესე იგი არს, საყდარსა ზედა მოძღურებისასა დაჯდომილ ხარა, ანუ მღვდელთმოძღურება მიგილებიესა, რომელ ესევითართა საქმეთა იქმ და ესოდენსა წელმნიფებასა აჩუენებ? და რა-მე წინააღმდეგომი ქმნა, # უღმრთონო, რომელ წესიერება იგი ტაძრისა იზრუნა და უწესობად დააყენა, რა საბრალობელი იხილეთ? # ფრიადი იგი უკეთურება ბილნთად მათ! ოდეს ვაჭარნი იგი განასხნა ტაძრით, ვერა იკადრეს თქუემად სასწაულთა მათთვის, რომელნი მაშინ აღასრულნა. ხოლო ან, მეორედ რა შევიდა, წინაუყვეს სიტყუად ესე ბრალობისად.

ხოლო თავადმან არა მისცა პასუხი მარტივი, რაათა გამოაჩინოს, ვითარმედ უკუეთუმცა ენება წელმნიფებისა მისისა ხილვად, არარად იყო დამაყენებელ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გკითხო მე თქუენცა სიტყუად ერთი; უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა წელმნიფებითა ვიქმ ამას. ნათლის-ცემად იოვანესი ვინა იყო: ზეცით ანუ კაცთაგან?“ (21,24-25).

თ ა რ გ მ ა ნ ი: და ვითარი შეწყობილება აქუს ამას სიტყუასა? ფრიად შუენიერი. რამეთუ უკუეთუმცა თქუეს, თუ: ზეცით იყო, მიუგომცა: „და რადასათვს არა გრწმენა მისი?“² რამეთუ უკუეთუმცა ერწმუნა ამათ სიტყუათა, არამცა ეტყოდეს უფალსა, ვინაათგან იოვანეს ეთქუა პირველვე, ვითარმედ: „არა ღირს ვარ განწენად საბელსა წამლთა მისთასა“;³ და ვითარმედ: „აჰა ტარიგი ღმრთისად, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“;⁴ და ვითარმედ: „მე ვიხილე და ვნამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისად“.⁵ და კუალად თქუა: „ზეგარდამომავალი ყოველთა ზედა არს“;⁶ და ვითარმედ: „ნიჩაბი წელთა მისთა არს, და განწმინდოს კალოდ თვისი“;⁷ და „მან ნათელ-გაცესო სულითა წმიდითა“.⁸ და სხუად ესევითარი მრავალი წამა და ქადაგა წინამორბედმან. უკუეთუმცა ჰრწმენა მისი ჰურიათა, არარად იყო დამაყენებელ ცნობად, თუ რომლითა წელმნიფებითა იქმოდა უფალი საქმეთა თვისთა.

ხოლო ვინაათგან არა ინებეს ქეშმარიტისა სიტყვსა მიგებად, რამეთუ შორს იყვნეს ქეშმარიტებისაგან, არამედ უკეთურებით ჰრქუეს, ვითარმედ: „არა უწყით“,⁹ არა ჰრქუა უფალმან, თუ: არცა მე უწყი, არამედ ჰრქუა

¹ იოან. 2, 18-19. ² მათ. 21,25. ³ იოან. 1,27; შდრ. ლუკ. 3,16. ⁴ იოან. 1,29. ⁵ იოან. 1,34.

⁶ იოან. 3,31. ⁷ მათ. 3,12. ⁸ მათ. 3,11. ⁹ მათ. 21,27.

მათ: „არცა მე გითხრაო, რომლითა ჳელმნიფებითა ვიქმ ამას“.¹ რამეთუ უკუეთუმცა უმეცარ იყვნეს, სწავლაჲ ჯერ-იყო; ვინაჲთგან ნეფსით უკეთურებაჲ შეიმოსეს, სამართლად არარაჲ მიუგო მათ.

იხილეთ უკუე გონებათა მათთა სიბოროტე: არა თქუეს, თუ ნათლის-ცემაჲ იოვანესი კაცთაგან იყო. არა თუ მას პატივ-სცემდეს, არამედ ერისა მისგან ეშინოდა. ესრეთ უკეთურნი იყვნეს და ყოველივე საქმე მათი კაცთათჳს იყო. ამითვე კაცთმოთნებისა გულისსიტყჳთა არა ჰრწმენა ქრისტე, რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ და არა ღმრთისაჲ, და ყოველსა ბოროტსა ამით შთაცჳვეს. ამისთჳს ეტყჳს უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**ან ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; და მოუჳდა პირველსა მას და ჰრქუა: შვილო, წარვედ დღეს და იქ-მოდე ვენაჳსა ჩემსა. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებაჲს; ხოლო უკუანაჲსკენელ შეინანა და წარვიდა. და მოუჳდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო; და არა წარვიდა. ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს მას: პირველმან მან“ (21,28-31).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად იგავით ეტყჳს მათ და ამხილებს უმაღლოებასა და უკეთურებასა მათსა და მოასწავებს სასოწარკუეთილთა მათ მოქცევასა და მორჩილებასა. რამეთუ იგავი ესე ორთა მათ ძეთაჲ მოასწავებს საქმესა მას წარმართთა და ჰურიათასა. რამეთუ წარმართთა არა ასმიოდა შჯული, არცა აღეთქუა მორჩილებაჲ, და საქმით აჩუენეს მორჩილებაჲ და შევიდეს საქმედ ვენაჳსა მას ცხოვრებისასა, რომელ არიან მცნებანი ქრისტესნი და ქადაგებაჲ იგი სახარებისაჲ.

ხოლო ჰურიათა ასმიოდა შჯული და წინაჲსწარმეტყჳელთა სიტყჳანი და ეთქუა, ვითარმედ: ყოველი, რავდენი თქუას ღმერთმან, ვქმნათ და ვის-მინოთ; და საქმით აჩუენეს ურჩებაჲ ბოროტი.

ამისთჳსცა, რაჲთა არა ჰგონებდენ, თუ შჯული იგი სარგებელ რასმე ეყოფვის, უჩუენებს უფალი, ვითარმედ უფროჲსლა დასასჯელ მათა იქმნების, ვითარცა პავლე იტყჳს, ვითარმედ: „არა მსმენელნი შჯულისანი, არამედ მოქმედნი შჯულისანი განმართლდენ ღმრთისა მიერ“.² ხოლო რაჲთა თავით თჳსით დაშჯილ იყვნენ, მათვე პირითა თჳსითა უბრძანა განჩინებისა მიცემაჲ, და ვინაჲთგან ნეფსით არა ინებეს აღსაარებაჲ ჭეშმარიტისა, იგავითა მით ათქუმიან, რომელსა ეძიებდა. ხოლო ვინაჲთგან ვერ გულისჳმა-ყვეს მათ, თუ რაჲსათჳს წინაუყო იგავი იგი, და მისცეს განჩინებაჲ სასჯელისაჲ მის, მერმელა გამოუცხადა სიტყჳსა მის ძალი და ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძაგნი წინაგიდლოდიან თქუენ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ მოვიდა**

¹ მათ. 21,27.

² რომ. 2,13.

თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისადათა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და ცოდვილთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ და არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რადათამცა გრწმენა მისი“ (21,31-32).

თ ა რ გ მ ა ნ ი: „მოვიდა თქუენდა იოვანე გზითა სიმართლისადათა, და არა გრწმენა მისი“. ესე იგი არს, ვითარმედ: ვერ ველ-გენიფების თქუმად, თუ უდები ვინმე იყო და უსარგებლოდ და ამისთვის არა გრწმენა, რამეთუ ცხორებად მისი ანგელოზთა მობაძავი იყო, და მოძღურებად მისი მალალ და ყოვლით კერძო პატიოსან იყო წინაშე ღმრთისა და კაცთა, და არავე გრწმენა მისი. და კუალად უმძიმესი დაგედვა ბრალი, რომელ მეზუერეთა ჰრწმენა, და კუალად უძვრესი ბრალი, რომელ არცა თუ ამისა შემდგომად შეიკდიმეთ და გრწმენა, რამეთუ თანაგედვა პირველ ყოველთასა თქუენ შეწყნარებად მისი; ხოლო რომელ არცა თუ შემდგომად მათსა გრწმენა, ესე გარდარეულისა მის უშჯულოებისა თქუენისა სასნაული არს და მათი საქებელი, რომელთა ჰრწმენა.

იხილე, რავდენსახედ იგინი საქებელ არიან და ესენი საყუედრელ. თქუენდა მომართ მოვიდაო და არა მეზუერეთა მიმართ, და თქუენ არა გრწმენა; იგინი ამას ზედა არავე დაბრკოლდეს, მათ ჰრწმენა, და თქუენ ესე არა სარგებელ გეყო, არცა შეიკდიმეთ.

ხოლო რომელ თქუა, თუ: „წინაგიძლოდიან თქუენ სასუფეველსა“, არა თუ ამას მოასწავებს, თუ თქუენცა შემავალ ხართ, არამედ ამას ეტყვს, ვითარმედ: უკუეთუ თქუენცა მოიქცეთ და გრწმენეს, გაქუნდეს სასობად შესლვისაჲ. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა“.¹

ამისთვის მოიყვანნა მეზუერენი და მეძავნი სახედ, რადთა შეშურდეს მათ და მოიქცენ. რამეთუ ორნი იგი ცოდვანი ტრფიალებსაგან ბოროტისა იშვებოდეს: ერთი იგი ჯორცთაჲსა და მეორე საფასეთაჲსა; არამედ დაუტევეს მათ იგი და მოიქცეს, ჰრწმენა და განინმიდნეს თავნი თვისნი და ღირსად სასუფეველისა გამოჩნდეს. ხოლო თქუენ არცა პირველად გრწმენა, არცა უკუანაჲსკნელ შეინანეთ.

რამეთუ ბოროტ არს პირველითგან არა გამორჩევაჲ კეთილისაჲ, არამედ ბოროტისა ქმნაჲ, ხოლო უმეტესი ბრალი არს სინანულადცა არა მოსლვაჲ, ვითარცა-იგი შეემთხვა ჰურიათა, რომელნი ყოვლით კერძო ამპარტავანებითა და ზუაობითა შეპყრობილ იყვნეს, და არცა იოვანესი ჰრწმენა, არცა ქრისტესა შეუვრდეს, არცა პირველ გულისწმა-ყვეს, არცა უკუანაჲსკნელ შეინანეს. ამისთვის მიეცნეს სრულიადსა წარწყმედასა.

¹ მათ.19,30; 20,16.

სწავლა 28 სინანულისათვის

ხოლო ჩუენ შორის ნუმცა ვინ არს ესევეთარი, არამედ დაღაცათუ უკუანაჲსკნელსა მას სიღრმესა ცოდვისასა შთავარდეს, ნუ წარიკუეთს სასოებასა, რამეთუ უკუეთუ გუენებოს, ადვილ არს მღვმისა მისგან და უფსკრულისა ბოროტთაჲსა აღმოსლვად. ანუ არა უწყითა, ვითარ მეძავი იგი, რომელი უკეთურებითა ყოველთა უმეტეს იყო, მოიქცა რაჲ, წარჰჰდა ყოველთა ღმრთისმსახურებითა; არა მას ვიტყვ, რომელი სახარებასა შინა წერილ არს, არამედ რომელი-იგი ჩუენისა ამის ნათესავისა ზე იყო, რომელი გამოჩნდა ფინიკით, უშჯულოჲსა მის ქალაქისაგან. ესე მეძავი ოდესმე ფრიად სახელგანთქუმულ იყო უკეთურებისა სიბოროგლითა, და მრავალთა ქუეყანათა განისმა სახელი მისი, არა ჩუენსა ხოლო ქალაქსა შინა, არამედ ვიდრე კილიკიადმდე და კაბადოკიადმდე; და მრავალთა მდიდართა საფასენი დააცარიელნა და მრავალნი მოიგნა დიდებულნი ტრფიალად, და მრავალნი იტყოდეს, ვითარმედ გრძნებისაცა მეცნიერ იყო და არა სახნიერებითა ხოლო, არამედ მნამღველობითაცა შეანყუდევედა მრავალთა უკეთურებისა თვისისა ბადეთა შინა, ვიდრე ძმადცა დედუფლისაჲ მოინადირა და დაიმონა ტრფიალებასა თვისსა. და ფრიად დიდ იყო მძლავრებაჲ ცოდვისა მისისაჲ.

ესევეთარი რაჲ იყო, მეყსა შინა (არა უწყი, თუ ვინაჲ; და რად ვიტყვ, თუ არა უწყი? უფროჲსლა უწყი კეთილად) მოეგო გონებასა, მოიქცა ღმრთისა, ჯმა-უყო სახიერებასა მისსა და მადლსა მას გამოუთქუმელსა, შეურაცხყო ყოველივე, განაგდო ყოველივე ნივთი საეშმაკოდ და სინანულისა მიერ ზეცად ამაღლდა; და რაოდენ პირველ ყოველთა უხენეშე იყო მედგრობითა, ესოდენ უკუანაჲსკნელ მრავალთა წარჰჰდა სათნოებითა. შეიმოსა ძაძად, დაადვნა ჯორცნი თვისნი მარხვითა და აღასრულნა ჟამნი ცხორებისა თვისისანი მოღუანებითა.

ღირს იქმნა იგი საიდუმლოთა მალალთა და აჩუენა მოსწრაფებაჲ ღირსი მადლისაჲ მის და ესრეთ აღესრულა სინმიდესა შინა; განიბანა ყოველივე ბილნებაჲ ცოდვისაჲ და შემდგომად ნათლის-ღებისა დიდი ღმრთისმსახურებაჲ აჩუენა. შეაყენა თავი თვისი სენაკსა ერთსა, ვითარცა დილეგსა, და არავისი თავს-იდვა მეცნიერთა მისთაგანისა ხილვად, თვნიერ ქალწულთა მათ, რომელთა თანა იყოფებოდა. მრავალგზის ისწრაფა ეპარხოსმან ხილვად მისა და ვერ უძლო, რამეთუ არა თავს-იდვა მან. და ესევეთარსა მას მოღუანებასა და ღმრთისმსახურებასა შინა აღესრულა.

„ესრეთ იყვენენ წინანი უკუანა, და უკანანი – წინა“. რამეთუ ესე ხოლო ჯერ-არს, რადთა სული მჭურვალე მოვიგოთ, და არავინ იყოს დამაყენებელ წარმართებად ჩუენდა და მიწვენად საზომსა მას სრულებისასა.

ნუმცა ვინ უკუე ცოდვათა სიმრავლისათჳს წარიკუეთს სასოებასა, ნუცა კუალად სათნოებათა შინა მყოფი უდებ იქმნების და უშიშად ზუაობს, ნუუკუე მეძავი გინა მეზუერე წარჰჳდენ მას; ნუვინ შებღალული ურჩულოებითა უსასო არს, რამეთუ უკუეთუ ენებოს, ძალ-უც პირველთაცა უწინა ყოფად.

ისმინეთ, რასა ეტყჳს ღმერთი იერუსალჳმსა: „ვთქუ შემდგომად ესოდენტა მათ სიძვათა და არანმიდებათა შენთა: ჩემდავე მოიქეც, და შეგინყნარო, და არა მოიქცა“.¹

საცნაურ არს უკუე და ჭემმარიტ, ვითარმედ: ოდესცა მოვიქცეთ შიშსა ღმრთისასა, არღარა მოიჳსენებს პირველთა მათ. არა თუ ღმერთი მსგავს საქმეთა კაცთა არს. არა აყუედრებს მონანულსა გარდასრულთა ცოდვათათჳს, არცა გუეტყჳს, თუ: რად ესოდენტა ჟამთა განდგომილ იყავ ჩემგან? არამედ სანადელ არს მისა, ოდესცა მოვიქცეთ, ოდენ ვითარცა ჯერ-არს, ეგრეთ მოვიქცეთ, შეუდგეთ მას და მივსდევდეთ მჳურვალედ, შევმსჭუალნეთ შიშსა მისსა ჳორცნი ჩუენნი, ძმანო, რამეთუ ესევითარნი საქმენი არა ახალსა ხოლო შჯუულსა ქმნილ არიან, არამედ ძუელსაცა. ვინ იყო უძკრეს მანასესა? არამედ მო-რაჲ-იქცა სინანულად, მეყსა შინა შეინყალა იგი ღმერთმან; და ვინ იყო უსანატრელეს სოლომონისა? გარნა უდებ იქმნა და დაეცა. და უფროხად ორივე ესე ერთსა ზედა პირსა მაქუს გამოჩინებად: მიხედენით ნეტარსა დავითს, ვითარ იგივე ოდესმე კეთილ იქმნა და ოდესმე ბოროტ. ჳრულოოდა რაჲ უდებებით, შეუბრკუმა და დაეცა. კუალად განიფროთხო სინანულითა და პირველსავე საზომსა მიინია და უაღრესსაცა. იუდაცა მოციქულთა თანა იყო და იქმნა განმცემელ უფლისა; ჰავლე მდევარი იყო და იქმნა მოძღუარ ყოვლისა სოფლისა; მათეცა მეზუერე იყო და იქმნა მახარებელ. რავდენნი ესევითარნი შეცვალებანი იპოებიან პირველქმნილნიცა და ან იქმნებიან დღითი-დღე.

ამისთჳს ვიტყჳ: ნუცა სამეძვოსა შინა მყოფი წარიკუეთს სასოებასა, უკუეთუ ოდენ ინებოს მოქცევაჲ, ნუცა ეკლესიასა შინა მყოფი უზრუნველ არს და უშიშ. რამეთუ ამის მიმართ თქუმულ არს: „რომელი ჳგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს“;² ხოლო მისა მიმართ იტყჳს: „ნუუკუე დაცემული იგი არა აღდგისა?“³ და „წელნი იგი დაშთომილნი და მუჳლნი დაჳსნილნი აღემართენითო“.⁴

კუალად ამათ ეტყჳს: „განიფროთხვეთ, მღჳძარე იყვენით, რამეთუ მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ღომი მყკრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“;⁵ ხოლო მათ ეტყჳს: „განიღჳქე, რომელსა გძინავს, და აღდეგ მკუდრეთით“.⁶ ამათ თანააც დაცვაჲ მოგებულთა მათ კეთილთაჲ, ხოლო მათ – მოგებად, რომელი არა აქუს; ამათ უჳმს სიმრთელისა თჳსისა

¹ შდრ. იერ. 3,7. ² 1 კორ. 10,12. ³ იერ. 8,4. ⁴ ესაია 35,3. ⁵ 1 პეტ. 5,8. ⁶ ეფეს. 5,14.

დაცვად, რადთა არა მოუძღურდეს, მათ უჭმს კურნება თავთა თვსთა, რამეთუ სნეულ არიან.

ეტყვს უკუე უფალი განკურნებულთა მათ, ვითარმედ: „აჰა ეგერა ცოცხალ იქმენ, ნულა სცოდავ, რადთა არა უძკრესი რადმე გეყოს შენ“;¹ ხოლო უძღურებასა შინა მყოფთა ეტყვს: „გნებავსა, რადთა განიკურნო? აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!“² რამეთუ ცოდვად ბოროტი განრღუეულობად არს და ყოვლისა განრღუეულობისა უძკრეს, გარნა უკუეთუ ინებო განკურნებად, რაოდენცა ძნელ იყოს სენი შენი, მზა არს კურნებად. დაღაცათუ ოცდაათრვაამეტი წელი გაქუნდეს უძღურებასა შინა, ანუ ერგასისი, ანუ უმეტესიცა, და გინდეს განკურნებად თავისა შენისა, არავინ არს დამაყენებელ, რამეთუ ანცა ქრისტე წარმოდგომილ არს და გეტყვს: „აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!“

ოდენ ნუ უდებ იქმნები აღდგომად, ნუ წარიკუეთ სასოებასა; არა გაქუს კაცი? არამედ ღმერთი გაქუს. არა გაქუს კაცი, რადთა შთაგადგოს საბანელსა მას? არამედ გაქუს ქრისტე, რომელმან არა საჭმარ-გიყოს ყოვლადვე საბანელი იგი პროვატიკისა; არა გაქუს კაცი, რომელმან გილუანოს? არამედ გაქუს, რომელმან გიბრძანოს: „აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!“

არა გაქუს თქუმად, თუ: „ვიდრე მე მივიდოდი, სხუად უწინარეს ჩემსა შთავიდის“;³ რამეთუ გენებოს თუ შთასლვად წყაროსა მას, არავინ გაყენებს, არა განილევს, არცა მოუძღურდების მადლი იგი. წყაროდ არს სამარადისოდ აღმომცენარე, სავსებისა მისისაგან ყოველნი განვიკურნებით სულით და ჳორციოთ. მოუჯდეთ უკუე და შეუვრდეთ მას, რადთა ვცხონდეთ.

რააბ მეძავი იყო და ცხონდა სინანულითა; ავაზაკი კაცისმკლველი იყო და სამოთხისა მოქალაქე იქმნა, ხოლო იუდა მოძღუარსა მას სახიერსა თანა იქცეოდა და წარწყმდა; და ავაზაკმან ჯუარსა ზედა მონფობად ქრისტესი მოიტაცა.

ესრეთ არიან საქმენი ღმრთისანი დიდებულ და საკვრველ. ამას ესე-ვითარსა გულისწმა-ჰყოფდი და ნუ სასონარკუეთილ ხარ, არამედ მარადის სასოებით განიფრთხოზბდი ძილისა მისგან მცონარებისა. იპყარ გზად იგი სინანულისა, ვიდოდე უცონელად და ისწრაფე შესლვად, ვიდრე კარი განღებულ არს, პირველ დაწმვისა შეისწრაფე.

მცირე არს საწუთროდ ესე, და შრომად სინანულისა – მოკლე. დაღაცათუმცა დიდ იყო და გრძელ, არცა ეგრეთ ჯერ-იყო მოწყინებად. დაღაცათუ ვინ არა ინებოს შრომათა მათ სათნოებისათა თავს-დებად, შრომად არავე დააკლდების, ვიდრემდის სოფელსა შინა იყოს. ვინაფთგან უკუე გინა თუ ესრეთ, გინა თუ ეგრეთ შრომად წინაგვც, რადსათვს არა შუენიერსა მას შრომასა სათნოებისასა გამოვირჩევთ, რომლისა ნაყოფი ტკბილ არს,

¹ იოან. 5,14.

² იოან. 5, 6,8.

³ იოან. 5,7.

და მოსაგებელი მისი სანადელ? და არა ერთ არიან ორნივე ესე შრომანი, რამეთუ სოფლისა საქმეთა შინა შრომაჲცა ფრიად არს და სარგებელი არარაჲ, რამეთუ ოდესმე ყოვლადვე ცუდ და უნაყოფო იქმნების, ოდესმე მოსცემს ნაყოფსა უნდოსა და არარასა და წუთერთსა; ხოლო სულიერი არა ესრეთ არს, არამედ შრომაჲ იგი სათნოებისაჲ მცირედჟამი არს და ჯორცთა მიერ განხრწნადთა, ხოლო გვრგვნი მისი უხრწნელ და დაუსრულებელ, სადა-იგი არლარა არს შიში შეცვალებისაჲ, არცა აღსასრული სიხარულისაჲ.

ან უკუე რაჲ არს კეთილი ესე და შუებაჲ სოფლისაჲ, რომლისა შეცვალებასა მარადღე მოელი, რომელი სანუთრო არს და მიწისაგან, და პირველ გამოჩინებისა წარწყმდების და ფრიადითვე ჭირითა მოიგების? ანუ რაჲ არს სწორ მათ კეთილთა შეურყეველთა და წარუვალთა და დაუსრულებელთა, რომელთა ჟამსა მეზრ შრომისასა დიდი სიტკბოებაჲ აქუს სასოებისაჲ და გვრგვნთა მათ დაუჭნობელთა უჩუენებენ მუშაკთა თვსთა? რამეთუ ნანდვლვე მუშაკი სათნოებისაჲ პირველ ამიერ წარსლვისა გვრგვნოსან არს.

ან უკუე მოვიგოთ სათნოებაჲ, რაჲთა აქაცა კეთილად ვიყვნეთ და მერმესა მას საუკუნესა წარუვალთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ მკვდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 28

სიტყუად ესე: „სხუად იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჴი და ზღუდე გარემოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნენელი და აღდგა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა. და რაჴამს მოიწია ჟამი ნაყოფისად, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეგრევე უყვეს“ (21,33-36).

ამის იგავისაგან მრავალთა საქმეთა მოასწავებს ქველისმოქმედებათა ღმრთისათა, რომელნი პირველითგან ქმნნა ჰურიათა თანა, და მათსა მას მარადის კაცისმკლველობასა, და ვითარ არარად დაუტევა ღმერთმან, რომელიცა ღონე იყო მოქცევაჲ მათდა, და მათ არა ინებეს, არამედ წინადასწარმეტყუელნი იგი, მივლინებულნი მათა, მოსწყდნეს, და არავე გარემიიქცა მათგან, არამედ ძე თვისი მოავლინა.

და კუალად ესეცა მოესწავების ამის იგავისა მიერ, ვითარმედ ერთი არს ღმერთი და მეუფე ძუელისა მის და ახლისა შჯულისად, და თუ ვითარ დიდნი იგი და გამოუთქუმელნი კეთილნი აღესრულნეს სიკუდილითა ქრისტესითა. კუალად გამოაჩინებს სასჯელსა მას და ტანჯვასა, მოწვენადსა ჰურიათა ზედა ჯუარ-ცუმისათჴს მისისა, და სრულიადსა მათსა დაცემასა და განვრდომასა და წოდებასა მას წარმართთასა.

ესე ყოველი იგავისა ამისგან მოგუესწავების. ამისთჴს სამართლად პირველთქუმულისა მის მახლობელად თქუა ესე, რადთა ურუენოს ურჩულოებისა მათისა სიმრავლე, რომელ ესოდენთა კეთილთა ზედა ვერცა თუ მეზუერეთა და მეძავთა სწორად ინებეს მოქცევაჲ მეუფისა მის სახიერისა.

ან უკუე გულისწმა-ყავთ მისი იგი დიდებული მოღუანებაჲ და მათი უზომოდ დაწსნილობაჲ: რომელი მუშაკთა საქმე იყო, თავადმან ქმნა; ვენაჴი დაასხა და ზღუდე გარემოსდვა და სხუად ყოველივე ქმნა და დაუკლებელად მისცა მათ, რადთა სცვიდენ, და არავე ინებეს და არცა ქმნეს.

რამეთუ გამოიყვანნა რაჲ ეგვპტით „ველითა მტკიცითა და მკლავითა მალლითა“¹ და შჯული მოსცა მათსა ზედა სინასა და ბევრეულნი სასწაულნი ურუენნა და კარავი საწამებელი შეუმზადა, მერმე ქალაქი აღუშენა და ტაძარი იგი საკრველად შუენიერი. ესე არს ვენაჴი: შჯული იგი და ქალაქი და ტაძარი. ხოლო რაჲ არს იგი, რომელ იტყვს, თუ: „წარვიდა“? ესე იგი არს: სულგრძელ ექმნა; რამეთუ მრავალთა მათ ცოდვათა მათთათჴს არა მიაგო ღირსი მისაგებელი. დიდსა მას სულგრძელებასა მისსა წარსლვად

¹ ფსალმ.135,12.

უნოდა. „და მიავლინა მონანი მისნი“, ესე არიან წინადასწარმეტყუელნი, „მოღებად ნაყოფისა“, რომელ არს მორჩილება და აღსრულება მცნებათა მისთაჲ; ხოლო მათ აჩუენეს თჳსი უკეთურებაჲ არა უნაყოფობითა ოდენ და უქმობითა კეთილისაჲთა, არამედ ტანჯვითა მით მივლინებულთა მათ მონათაჲთა. რამეთუ რომელნი თანამდებნი იყვნენ თანანადებისა დიდისანი და არა აქუნდეს, რაჲთა მისცენ, ვედრებაჲ უჭმს და დროებისა თხოაჲ, არა წინააღმდეგობაჲ; ხოლო იგინი არა წინააღმდეგომ ოდენ იპოვნეს, არამედ ჴელნიცა სისხლითა მით წინადასწარმეტყუელთაჲთა შეიღებნეს. ამისთჳს მეორედცა მიუვლინა და მესამედ, რაჲთა მათიცა უკეთურებაჲ გამოჩნდეს და მიმავლინებელისა მის კაცთმოყუარებაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „უკუანადასკნელ მიუვლინა მათ ძე თჳსი და თქუა: შენუთუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა“ (21,37).

თ ა რ გ მ ა ნ ი : და რაჲსათჳს პირველითგან არა ძე თჳსი მიავლინა? რაჲთა წინადასწარმეტყუელთა ზედა ქმნილთა მათ უკეთურებათაგან შეიკდიმონ და ჰრცხუენეს ძისა მისგან მხოლოდშობილისა.

არიან სხუანიცა სიტყუანი ამის პირისათჳს, გარნა თანანარვჳდეთ ან და შემდგომი იგი ვაჴსენოთ. რაჲ არს: „შენუთუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა“? არა თუ უმეცარ იყო, თუ რაჲ ეგულეობდა მათ ყოფად, არამედ მას იტყჳს, რომელ თანანადებ იყო მათდა ქმნად, – და არა ეტეოდა ბუნებასა არაშეკდემად ძისაგან, – რაჲთა ესრეთ გამოაჩინოს დიდი იგი და შეუნდობელი ცოდვაჲ მათი. და სხუასაცა ადგილსა წერილ არს: „ნუუკუე ისმინონო“;¹ არა თუ მასცა უმეცარ იყო, არამედ რაჲთა ვერვინ თქუას უგულისჴმოთაგანმან, თუ: წინადასწარ თქუმამან მისმან აიძულნა იგინი ქმნად, რაჲ-იგი მან თქუა; ამისთჳს არა იტყჳს, რაჲ ეგულეობდა მათ ქმნად, არამედ რაჲ-იგი თანაედვა ბუნებით და საქმით, რაჲთა ოდეს არა ქმნან სიტყუად მისი, არცა შეიკდიმონ ძისა მისგან მხოლოდშობილისა, ყოველივე მიზეზი მიეღოს.

ამისთჳს ესრეთ გამოსახა სიტყუად თჳსი, და ნანდვლვე ესრეთ იყო. დალაცათუ მონათა მათ უსახურ ექმნეს და მკლველ, პატივისა მისგან ძისა შეკდემად უჭმდა, შევრდომად თანაედვა და შენდობისა თხოაჲ პირველქმნილთა მათ ბოროტთაჲ. ხოლო იგინი უძკრესისა მიმართ საქმისა აღიჭურნეს, რამეთუ ესე საქმე მათი არს, მარადის უკუანადასკნელითა პირველთა ბოროტთა დაჴფარვენ, ვითარცა უფალი ეტყოდა, ვითარმედ: „ან თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ“;² და ზემოდთვე წინადასწარმეტყუელნი ამას აბრალობდეს, ვითარმედ: „ჴელნი თქუენნი სისხლითა სავსე არიან“.³ დალაცათუ პირველ ყოვლისა ესე მიიღეს მცნებაჲ, ვითარმედ: „არა კაცჳკლა“,⁴ არამედ ბოროტი იგი ჩუეულეობდა თჳსი არა დაუტევეს. ამისთჳსცა ისმინეთ, რასა იტყჳან უმჯულონი იგი და არაღირსნი ცხორებისანი:

¹ ეზეკ. 2,5.

² მათ. 23,32.

³ ესაია 1,15.

⁴ გამ. 20,13.

სახარება: **„ხოლო ქუეყანისმოქმედთა მათ იხილეს ძე იგი მისი და თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკვდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დაიპყრათ სამკვდრებელი მისი“** (21,38).

თარგმანი: რადსათვის იქმთ ამას, ჭ უშჯულონო და ქედფიცხელნო და ღმრთისა მოძულენო, რად საბრალობელი ჰპოეთ მის თანა დიდი, გინათუ მცირე? კეთილი გიყო თქუენ და პატივ-გცა; ღმერთი იყო და არს და თქუენთვის კაც იქმნა; სასწაულნი ბუნებათა უაღრესნი აღასრულნა თქუენ შორის, ცოდვათა შენდობასა მოგცემდა, სასუფეველად ცათა მიგინოდდა. რომლისა საქმისათვის იზრახეთ მოკლვად მისი? ეჰა უკეთურებად დიდი და უგუნურებად უკუანადსკნელი, რომელიდა მიზეზი შემოიღეს უღმრთოთა მათ: „მოვკლათო იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი მისი“.

ვინმცა უძლო ღირსად სიცოფისა მათისა განქიქებად მათა? ვინ წარმოთქუას ჯეროვნად სიბორგილისა მათისა სულმყრალობად და სიხენეშე? ესაია წარმოდევინ და იტყოდენ: „ვად სულსა მათსა, რამეთუ ზრახეს ზრახვად ბოროტი: მოვკლათ მართალი იგი, რამეთუ განმადნელებელ ჩუენდა არს“.¹

სახარება: **„და განიყვანეს იგი გარეშე ვენაჯისა მის და მოკლეს“** (21,39).

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ ადგილსაცა მოასწავებს, სადა ეგულეზოდა მათ მოკლვად მისი? გარეგან ქალაქისა.

სახარება: **„რაჟამს მოვიდეს უფალი სავენაჯისად მის, რად-მე უყოს ქუეყანისმოქმედთა მათ? ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმდნეს და ვენაჯი იგი მისცეს სხუათა ქუეყანისმოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თვისსა“** (21,40-41).

თარგმანი: ლუკა ესრეთ იტყვს, ვითარმედ უფალმან თქუა განჩინებად ესე, და „მათ თქუეს: ნუ იყოფინ! ხოლო თავადმან მიხედნა მათ და თქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა?“²

ხოლო მათე ესერა იტყვს, ვითარმედ მათ მისცეს განჩინებად, ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმდნესო.

გარნა არა ესე წინააღდგომად არს ურთიერთას, რამეთუ ორივე იქმნა. პირველად მათ მისცეს განჩინებად სასჯელისა თვისსად, ვითარცა ესერა მათე გუაუწყებს. მაშინ უფალი ეწამა სიტყუასა მათსა და ჰრქუა: ჰე, წარწყმდნეს ქუეყანისმოქმედნი იგი და მისცეს ვენაჯი იგი სხუათა. მერმე ცნეს მათ სიტყვსა მის ძალი, ვითარმედ მათთვის იყო, და თქუეს: „ნუ იყოფინ!“

¹ ესაია 3, 9-10; შდრ. სიბრძ. სოლ. 2,12. ² ლუკ. 20,16-17.

ვითარცა ლუკა იტყვს. ხოლო უფალმან წინადასწარმეტყუელი წინაუყო მათ, რადთა დაარწმუნოს ჭეშმარიტებად სიტყვსა მის.

ხოლო დაღაცათუ თქუა, თუ: „მისცეს ვენაჴი იგი სხუათა“, არამედ არა გამოაცხადა სახელი წარმართთად, რადთა არა სცეს მათ მიზეზი. რამეთუ ვითარცა ოდესმე ნათან უყო დავითს, რადთა მან თვსითა პირითა მისცეს განჩინებად ბრალისა თვსისად, ეგრეთვე აქა უფალმან იგავი ესე წინაუყო, რადთა მათ თქუან თვსითა პირითა სასჯელი თვსი, რადთა ცნან სიმართლე და უცთომელობად განკითხვისად მის.

ხოლო რადთა ცნან, ვითარმედ არა თუ ბუნებად ოდენ ჭეშმარიტებისად დამამტიციებელ არს სასჯელისა მის, არამედ მადლიცა სულისა წმიდისად პირველითგან მოასწავებდა და ღმერთი განაჩინებდა სასჯელსა მას, ამის-თვის წინადასწარმეტყუელისა იგი სიტყუად წარმოიღო სამხილებელად მათდა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**არა აღმოგიკითხავსა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა; უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა**“¹ (21,42).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ყოვლით კერძო გამოაჩინა განვრდომად იგი ჰურიათად და შეწყნარებად წარმართთად. ესე საქმე ქანანელისაგანცა მოასწავა და ასისტავისაგანცა და კარაულისაგანცა და სხუათა მრავალთა სახეთაგან. ეგრეთვე აქა ესე აუნყა. ამისთვის იტყვს: „უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა“.

რომელსა იტყვს უფლისა მიერ ყოფად და საკვრველად წინაშე თუალ-თა ჩუენთა? შენაწევრებასა მას განყოფილთა მათ კიდეთასა. ესე იგი არს, ვითარმედ წარმართნი მოვიდენ სარწმუნოებად, და ჰურიათაგან რომელ-თაცა ჰრწმენეს, ერთ იქმნენ მათ თანა. რომელთა შორის პირველ ფრიადი და ურიცხვ იყო განყოფილება და მტერობად, რომელთა შეერთებად ძნელ იყო და საკვრველ.

„ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურ-თა“. ლოდად ქრისტეს უწესს და მაშენებელად იტყვს მოძღუართა მათ ჰურიათა, მნიგნობართა და ფარისეველთა, რომელთადა რწმუნებულ იყო შე-ნებად წესთა მათ შჯულისათა.

ამათ შეურაცხ-ყვეს ქრისტე, რამეთუ იტყოდეს: „ესე არა ღმრთისაგან არსო“;² „არამედ აცთუნებს ერსა“;³ და მრავალსა ესევითარსა ეტყოდეს. ღალადებს უკუე წინადასწარმეტყუელი, ვითარმედ: ესე ლოდი, რომელი უგუნურთა მათ მაშენებელთა შეურაცხ-ყვეს, ესოდენ პატიოსან არს, ვიდ-რელა თავ საკიდურთა იქმნა. ხოლო თავ საკიდურთა არა ყოველსა ლოდ-სა ჴელ-ენიფების ყოფად, არამედ რომელი-იგი არნ ფრიად გამოცდილი

¹ ფსალმ. 117,22-23; მღრ. ესაია 28,16.

² იოან. 9,16.

³ იოან. 7,12.

და შემძლებელი ორკერძოვე კედელთა მათ შეკრვად. ხოლო ამან ლოდ-
მან არა ნაშენები იგი ოდენ შემზადა, არამედ ორნი იგი კედელნი განყო-
ფილნი შეაერთნა. ესე არიან ჰურიათაგან და წარმართთა შემოკრებილნი
მორწმუნენი. ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „ქრისტე არს მშუდობად
ჩუენი, რომელმან ყო ორივე ერთ და შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჰსწნა,
მტერობად იგი ჳორცითა თჳსითა, შჯული იგი მცნებათად მათ ბრძანებითა
უალრესითა განაქარვა, რადთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახ-
ლად კაცად ყოფად მშუდობისა“.¹

ეჰა რაოდენი ბრალობად არს ესე ჰურიათად, რომელთა შენებაჲ იგი
შჯულისაჲ ერწმუნა და ესოდენ უგუნურ იქმნეს, რომელ მომზავებელი იგი
ორკერძოვე და შემძლებელი ესევითარისა ნაშენებისა შემზადებად ლო-
დი ვერ იცნეს, არამედ ვითარცა უჴმარი, ესრეთ შეურაცხ-ყვეს. გარნა იგი
ჭეშმარიტად თავ საკიდურთა იქმნა და ორნივე კედელნი შეაერთნა.

გნებაჲსა ორთა მათ კედელთა ხილვად? ისმინე თავადისა ქრისტესი:
„სხუანიცა ცხოვარნი მიდგანო, რომელ არა არიან ამის ეზოჲსანი, იგინიცა
ჯერ-არიან ჩემდა მოყვანებად, და ჳმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ
სამწყსო და ერთ მწყემს“.²

უფლისა მიერ იყო ჭეშმარიტად საქმე ესე, არა კაცობრივი იყო, არ-
ცა ანგელოზთა ანუ მთავარანგელოზთა ჳელ-ენიფებოდა ამის ერთობისა
ქმნად, არამედ ღმერთსა შუენოდა ესე დიდებული საკვრველი. და ვითარ
არა საკვრველ არს სიკუდილითა დაჰსწნად სიკუდილისაჲ, ჯუართა შემუს-
რვად ჯოჯოხეთისაჲ, განდგომილთა მათ და განშორებულთა მოყვანებაჲ,
ვითარ ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჳმად იგი ქადაგებისაჲ, ვითარ ყოველ-
ნივე ჭეშმარიტებითა შეაერთნა, ქუეყანისანი ზეცად აღიყვანნა, ბუნებაჲ
იგი ჩუენი, ქუესკნელთა ქუეყანისათა შთავრდომილი, უმაღლეს ცათა ყო
და მარჯუენით მამისა დასუა. ჭეშმარიტად „უფლისა მიერ იყო ესე, და არს
საკვრველ წინაშე თუალთა ჩუენთა“.

რაოდენცა განვიცადოთო თუალითა გონებისაჲთა, უსაკვრველესად
აღგჳჩნდეს დიდებული ესე საქმე.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ამისთვის გეტყვ თქუენ: მიგელოს თქუენგან სასუფე-
ველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესაჲსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მის-
სა“ (21,43).

თ ა რ გ მ ა ნ ი : აჰა ესერა განცხადებულად განვრდომად ჰურიათა მათ
ურწმუნოთად მოასწავა და მოღებაჲ მათგან ყოველისაჲვე კეთილისაჲ და მი-
ცემაჲ მორწმუნეთა მათ წარმართთა. ხოლო რადთა ცნან, ვითარმედ არა
განვრდომადმდე ოდენ არს პატიჴი მათი, არამედ სატანჯველიცა მოწე-
ნად არს მათ ზედა, ამისთვის შესძინა და თქუა:

¹ ეფეს. 2,14-15.

² იოან. 10,16.

სახარება: „რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაქრიოს იგი“ (21,44).

თარგმანი: ორნი წარწყმედისა მათისა სახენი მოასწავნა: ერთად, შებრკოლებად მათი და სიბრმისაგან გონებათა მათთადასა დაცემად, რამეთუ ესე არს, რომელ თქუა, თუ: „რომელიცა დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს“ – ურწმუნოებისა მათისათვის და მისა მიმართ დაბრკოლებისა; და მეორედ, მოოწრებად მათი, რომელი შეემთხუეოდა ტყუეობისა მისგან ჰრომთადასა, რომელიცა განცხადებულად მოასწავა სიტყვთა მით, თუ: „რომელსა ზედა დაეცეს, განაქრიოს იგი“.

რამეთუ ვინაფთვან სიტკობებით მოსლვად მისი არა შეინყნარეს, მიჰფინა მათ ზედა რისხვად თვისი და შემუსრნა და სრულიად განაქრინა, ვითარცა წინადასწარმეტყუელნი პირველითგან ქადაგებდეს. რამეთუ ესაია ვენაწსა ამსგავსა სახლი ისრაჴლისაჲ, რომელმან ყურძნისა წილ ეკალი მოილო, და იტყვს, ვითარმედ: „ზღუდე გარემოუდე და სარითა განვაგე; დავასხ ვენაწი სორექი და აღვაშენ გოდოლი მას შინა და საწნებელი მოვთხარე მას შორის და ველოდე, ვითარმედ ყოს ყურძენი, და მან ყო ეკალი. და ან საჯეთ ჩემდამო და შორის ვენაწისა მის ჩემისა, რაჲღა-მე ჯერ-იყო ყოფად ვენაწისა მის, და არა უყავ მას? რამეთუ ველოდე, რაჲთამცა ყო ყურძენი, და მან ყო ეკალი. ველოდე, რაჲთა ყოს სამართალი, ხოლო მან ყო უშჯულოებად და ღალადებად“.¹ კეთილად გამოსახა სიბოროტე მათი წინადასწარმეტყუელმან, და გულისწმა-ყავთ, რომელსა იტყვს ეკალსა ანუ რომელსა ღალადებასა.

ეკალსა მოასწავებს ყოველსა უშჯულოებასა მათსა, და უმეტესად, რომელ-იგი შეთხზნეს ეკალთაგან გვრგვნი და დადგეს თავსა მეუფისასა; ხოლო ღალადებად, რომელ ქმნეს, ყოველთა მიერ საცნაურ არს, რაჲამს ღალად-ყვეს: „ალიღე ეგე, ალიღე და ჯუარს-აცუო“.² ამისთვის ისმინეთ შემდგომიცა სიტყუად წმამალლისაჲ მის: „ან გითხრაო, რაჲ უყო სავენაწესა მას ჩემსა: მოვარღვო ზღუდე მისი, და იყოს მიმოსატაცებელ, და დავარღვო კედელი მისი, და იყოს დასათრგუნველ, და დაუტეო სავენაწე ჩემი, და არა განისხლას და არცა მოითოწნოს, და აღმოსცენდეს მას, ვითარცა ოწერსა, ეკალი; და ღრუბელთა უბრძანო, რაჲთა არა წვმონ მას ზედა წვმაჲ; რამეთუ სავენაწე უფლისა საბოთისი სახლი ისრაჴლისაჲ არს“.³ და კუალად სხუად წინადასწარმეტყუელი იტყვს: „რაჲ ბრალობად პოეს ჩემ თანა მამათა თქუენთა? ერო ჩემო, რაჲ გავნე შენ, ანუ რაჲ შეგანუხე შენ?“⁴

ეგრეთვესახედ ან თავადმან მათითავე პირითა ათქუმიდა სასჯელი მათი და თვისითა ბრძანებითა დაამტკიცა და წინადასწარმეტყუელებად დავითისი წინაუყო. ამას ყოველსა ზედა არა ჯერ-იყო სინანული და თაყუანის-

¹ ესაია 5,2-7.

² იოან. 19,15.

³ ესაია 5,5-7.

⁴ შდრ. იერ. 2,5; მიქ. 6,3.

ცემად სახიერისად მის? გარნა იგინი უძკრესისა მიმართ წარემატებოდეს, ვითარცა ამისა შემდგომად ჰრქუა მათ ნეტარმან სტეფანე: „გულფიცხელ-ნო და ქედფიცხელნო და წინადაუცუეთელნო გულითა და სასმენელითაო, თქუენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინააღმდეგებით, ვითარცა მამანი თქუენნი, ეგრეთცა თქუენ. რომელნი-მე წინადაწარმეტყუელთაგანნი არა დევნეს მამათა თქუენთა? და მოსწყდნეს, რომელნი წინადაწარ უთხრობდეს მოსლვასა მას წმიდისა და მართლისასა, რომლისაცა თქუენ შინაგანმცემელ და მკლველ იქმნენით“.¹ იხილე უკუე ანცა ესევეითარი იგი უკეთური გონებად მათი, რამეთუ იტყვს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ესმა რად მღდელთმოდლუართა მათ და ფარისეველთა იგავი ესე მისი, ცნეს, რამეთუ მათთვის თქუა. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისთვის, რამეთუ ვითარცა წინადაწარმეტყუელი აქუნდა მათ“ (21,45-46).

თ ა რ გ მ ა ნ ი : მრავალგზის ველ-ყვეს შეპყრობად მისა, ხოლო თავადი ოდესმე შორის მათსა განვიდის, დაეფარის, და ვერ ხედვიდიან; და ოდესმე შორის მათსა დგან და ბორგნეული იგი გონებად მათი ვითარცა აღკრითა დააყენის, რომელ მათცა უკვრდა და იტყოდეს: „არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად? და აჰა ესერა განცხადებულად ეტყვს, და არას ეტყვან მას“.² ხოლო ან, ვინაფთგან შიში იგი ერისად მის იყო უკეთურთა მათ მღდელთმოდლუართა და ფარისეველთა ზედა, ესე კმა-იყო და სხუად უაღრესი სასწაული არად ქმნა, რამეთუ არა ენება ყოვლადვე უაღრეს ბუნებათა ქმნად, რადთა განგებულებად იგი განკაცებისა მისისად სარწმუნო იქმნას.

არამედ ჟ ფრიადი იგი სიბრმე ჰურიათა მათ მღდელთმოდლუართა და მნიგნობართად! ვითარ არცა სიტყუათაგან უფლისათა შეიკდიმეს, არცა წინადაწარმეტყუელთა ჳმანი ისმინნეს, არცა თვსთა სიტყუათაგან შეირცხვნეს, არცა ერისა მისგან შეიგონეს. ესრეთ ყოვლით კერძო დააბნელნა იგინი შურმან და დიდებისმოყუარებამან და ძიებამან წარმავალისა ამის პატივისამან. რამეთუ არარად არს ესრეთ წარმწყმედელ კაცისა, ვითარ შემსჭუაღვად და სიყუარული ამის საწუთროსად და საცთურთა მათ მისთად; არარად ესრეთ უცხო-ჰყოფს საუკუნეთა კეთილთაგან, ვითარცა ტრფიანებად ცუდისა ამის და ამოფსა სოფლისად. ხოლო რომელთაცა შეიყუარონ საუკუნე იგი სუფევად და უფროფს ყოვლისა მას პატივ-სცენ, იგინი აქაცა კეთილად არიან და მუნ საუკუნეთა კეთილთა ღირს იქმნენ; ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“.³ დაღაცათუმცა ესე სიტყუად არა იყო, თუ: „ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“, არცა ეგრეთ ჯერ-იყო სურვილი წარმავალთად ამათ, ხოლო ან ძიებთა

¹საქმე 7,51-52.

²იოან. 7,25-26.

³მათ. 6,33.

მით საუკუნეთადათა სანუთროსადაცა შეგუეძინების. და ეგრეთცა მრავალნი ქვათა უფიცხეს არიან გულითა და უგულისწმო და სრულიად უღმობელ.

სწავლად 29

ცხორებისათვის მონაზონთადასა, ვითარ პატიოსან არს და უმჯობეს სოფლიოსა მის წარმავალისა

ან უკუე ისმინეთ სიტყუად ჩემი ამის პირისათვის. მითხართა, ძმანო, თუ რად სანადელი არს ამას სანუთროსა შინა ანუ რად კეთილი? ჭეშმარიტად არარაა. არამედ უფროსლა მოქალაქობა იგი მონაზონთადა, რომელი ფიცხელ და საჭირო და სანყინო მრავალთა მიერ წოდებულ არს, ფრიად უტკბილეს არს და უსანადელეს სოფლიოსა ამის შუენიერად და სუბუქად საგონებელისა. და მონამე ხართ მრავალნი თქუენგანნი, რომელნიცა ჟამსა განსაცდელისა და ჭირისასა, უწყი, რამეთუ სანატრელად უწესდით მას და მათ ჰნატრიდით, რომელნი მათა შინა და ქუაბთა ცხონდებიან და უზრუნველად ღმერთსა ჰმონებენ. გულისწმა-ყავთ უკუე და იხილეთ ყოველივე ჭეშმარიტებით, და ესოდენ ჰპოოთ უმჯობეს მოქალაქობა იგი მონაზონთადა, ვიდრე ცხორება სოფლიო, რაოდენ უმჯობეს არს ნავთსა-ყუდელი მყუდროდ სადგურად, ვიდრე გული ზღვსადა, ქართა სასტიკითა აღდულებული.

და იხილეთ საყოფელთაგან მეზრ დაწყებად ბედნიერობისა მათისადა. დაუტევენეს სიყუარულისათვის ღმრთისა ქალაქნი და უბანნი და ამბოხებანი და შფოთნი, და გამოირჩიეს მათა შინა და ქუაბთა და უდაბნოთა მოქალაქობადა, სადა-იგი არა არს ზიარება სოფლისადა, სადა-იგი არარაა კაცობრივი იპოების, არცა ზრუნვანი, არცა შფოთნი, არცა შურნი და ჯდომანი და ბოროტისა ზრახვანი, ტრფიალებანი ჯორცთანი, გულისთქუმანი და გემოთმოყუარებანი, არცა სხუად რაიმე ესევეითარი. ხოლო საქმე მათი არს ზრახვად სასუფეველისათვის ცათადასა, სათნოებათათვის და ძლევისათვის ვნებათადასა, გონება მათი არს მარადის ღმრთისა თანა, გული მათი ყოვლისავე ვნებისაგან წმიდა არს; საქმე უპყრიეს, რად-იგი აქუნდა ადამს სამოთხეს შინა პირველ ურჩებისა, ოდეს დიდება შეემოსა და ღმერთსა კადნიერებით ჰზრახვიდა და სანატრელსა მას საყოფელსა მკვდრ იყო. რამეთუ არარადათა არიან ესენი მისა უდარეს; არა აქუნდა მას ზრუნვად სოფლისადა, არცა ამათ აქუს; ღმერთსა ეტყოდა გონებითა წმიდითა, ეგრეთვე ესენი იქმან; და უფროსიცა აქუს; კადნიერებადა, რაოდენ უმეტესი მაღლი მოუღებეს სულისაგან წმიდისა.

ვერ ძალ-მიც თითოეულად საქმეთა მათთა თქუმადა, გარნა მრავლისაგან მცირედი მიგიტხრა. ესე აქუს წესად მნათობთა მათ სოფლისათა: ცისკარსა ფრიად მსთუად აღდგებიან სარეცელთაგან თვსთა, გონებითა

მღვდართა და ფრთხილთა, რამეთუ არარად არნ დამამძიმებელ მათა, არცა ზრუნვანი, არცა ჭამადთა თითოსახეობანი, არცა მწუხარებანი სოფლიონი, არამედ ვითარცა ანგელოზნი იქცევიედ ქუეყანასა ზედა.

აღდგებიან უკუე სუბუქად და დაუყენებელად და წარდგებიან წინაშე ღმრთისა სიხარულით და ვითარცა ერთისა პირითა გალობასა და ქებასა შესწირვენ ღმრთისა და ჰმადლობენ აურაცხელთა მათ ქველისმოქმედებათა მისთათვს, რომელთა იქმს კაცად-კაცადსა ზედა და ზოგად ყოველთა ზედა.

ხოლო მე ზემო ვთქუ, ვითარმედ საქმე უპყრიეს, რად-იგი აქუნდა ადამს სამოთხესა შინა, გარნა ან ამას გკითხავ: რადთა განყოფილ არს ანგელოზთაგან ესევეთარი იგი კრებული, რომელნი დაუცადებელად ადიდებენ ღმერთსა: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშკდობად, და კაცთა შორის სათნობად!“¹ ჭეშმარიტად მობაძავენი არიან უწორცოთა ანგელოზთანი კაცნი იგი წორციელნი.

ხოლო რაჟამს გალობად იგი საღმრთოდ აღასრულონ, მერმე მუწლთა მოიდრეკენ და ვედრებასა შესწირვენ ღმრთისა; ხოლო ვედრება მათი არა არს ცუდთა რადმე და ამაოთა საქმეთათვს, არამედ ამას ევედრებიან, რადთა ღირს იქმნენ კადნიერებით დადგომად წინაშე საყდართა დიდებისათა, ოდეს-იგი მოვიდეს განკითხვად ცხოელთა და მკუდართა მხოლოდშობილი ძე ღმრთისად, და რადთა არავის მათგანსა ესმას ვჰმად იგი საშინელი: „წარვედით ჩემგან, არა გიცნი თქუნ“.² კუალად ევედრებიან, რადთა სინმიდითა გონებისადთა და სიმრავლითა სათნობათადთა განვლონ ზღუად ესე ამის ცხოვრებისად და ღირს იქმნენ მიწვენად ნავთსაყუდელსა მას ზეცისა სასუფეველისასა. და წინაუძღვს ვედრებისა მის მამად და მოძღუარი, რადთა ყოველივე საქმე მათი წესიერ იყოს. და აღასრულნიან რად წმიდანი იგი ლოცვანი, და აღმოზრწყინდის მზე, განვალს კაცად-კაცადი საქმედ განწესებულთა მათ საქმეთა თითოეულისათა, რადთა მოირენონ საზრდელი თვისიცა და მომავალთაცა გლახაკთად. ხოლო სამოსელი მათი კუალად ახოვნებისა და სიმწნისა სახე არს, რამეთუ არა მსგავს არიან მათსა, რომელნი ვლენ „ქედითა მალლითა და წამის-ყოფითა თუალთადთა და შეთრევეითა ქუექუემოთადთა“;³ ვითარცა იტყვს წინაღწარმეტყუელი, სამკაულითა ბრწყინვალითა, მეღვეანდებითა და საკუხებითა, ძონეულითა და ბისონითა, მენამულითა და ზეზითა, ოქროფსა თანა და ანთრაქსა განრჩუნვილითა. არამედ სანატრელთა მათ ჰბაძვენ: ელიას და იოვანეს და წმიდათა მოციქულთა. მსგავსად მათსა შეჰმზადებენ ესენიცა სამოსელთა თვსთა, რომელნიმე თმისაგან თხათაფსა და რომელნიმე თმისაგან აქლემთაფსა, სხუანი ხალენებითა და დაძუელბულითა თხის ტყავებითა დასჯერდებიან.

ხოლო ტაბლად თუ მათი ვინ განიცადოს, ცნას, ვითარ წორცოთაღა შინა უწორცოთა მიემსგავსენეს, რამეთუ საზრდელ მათა არს პური და

¹ ლუკ. 2,14.

² შდრ. მათ. 25,41,12.

³ ესაია 3,16.

მარილი ანუ მცენარეთაგან მხალთა ველისათა, და იგიცა არა მაძღრივ, არამედ საპყრობელად ხოლო ბუნებისა ჯორცთაჲსა. და სასუმელ მათა არს წყალი, და იგიცა ნაკლულევანად. ხოლო რომელნიმე მცირედსა მას ჭამადსა დღითი-დღე მიღებად იკდემენ, არამედ ორ-ორით, გინა სამ-სამით, ანუ თუ ექუს-ექუსითცა იხილვენ გემოსა ჭამადისასა. ესრეთ ყოვლით კერძო აჭირვებენ ჯორცთა თვისთა სასოებითა საუკუნოჲსა მის ცხოვრებისაჲთა.

სადა არიან, რომელნი-იგი განთიადითგან მიმწუხრამდე სხენან ტაბლათა ზედა ბრწყინვალეთა, აღესებულთა ყოვლითა სანოვაგითა უცხოთა და თითოფერითა, და სუმენ განწურვილსა ღვინოსა სიმღერითა და ემბნითა, ქნართა და თითოსახითა სილოდითა?

სადა არიან მიმავალნი იგი თეატრონად და მხილველნი კრებულთა მათ საეშმაკოთა და მსმენელნი ჳმათა მათ სიძვად აღმზრებულთა? ჰრცხუენოდენ მოქალაქეთა მათგან ზეცისა სავანეთაჲთა. რამეთუ მეცა გეტყვ თქუენ უძღურებისათჳს თქუენისა სიტყუასა მას მოციქულისასა: „ვითარცა-იგი წარუდგინენით ასონი ეგე თქუენნი მონებად არანმიდებასა და ურჩულოებასა ურჩულოებად, ეგრეთცა ან წარუდგინენით ასონი თქუენნი მონებად სიმართლესა სინმიდედ“.¹

იხილეთ, რაოდენი არს ორთა მათ განწყობილთა შორის განყოფილებაჲ, წმიდათა მათ მეუდაბნოეთა ვიტყვ და შუებათა შინა და განცხრომათა და სიმღერათა შინა მყოფთა.

ესოდენი არს მათ შორის განყოფილებაჲ, რაოდენ უკუეთუმცა ვის ესმა ანგელოზთა ზეცათა შინა გალობაჲ ჳმითა მით სანადელითა და მერმე მივიდამცა და ესმა კუმინვაჲ ღორთაჲ, მწკრესა შინა დაფლულთაჲ.

რამეთუ პირითა მათ ნეტართაჲთა ქრისტე ზრახავს, ხოლო ამათ უბადრუკთაჲთა ეშმაკი ვალაღებს; ამათ თანაშემწედ აქუს სტკრი და წინნილაჲ, განბერვითა ღანუთაჲთა სანყინოჲსა ჳმისა აღმომტეობელი, ხოლო პირითა მით წმიდათაჲთა მადლი სულისა წმიდისაჲ ღალადებს ჳმითა სასმენელითა, ჳმითა კურთხევისაჲთა, ჳმითა საგალობელითა და სანადელითა. რაოდენსაცა ვიტყოდ, ჯეროვნად ვერ გამოვაჩინებ განყოფილებასა მათსა და ამათსა, გარნა მინდა ვინმე ცნობამიღებულთა ამათგანი წარყვანებად და თუალითა ჩუენებად კრებული იგი წმიდათაჲ, და არღარამცა მეწმარნეს მრავალნი სიტყუანი. იგი კრებული მგელთა კრავ-ჰყოფს, ესე განწყობილი მემღერეთაჲ ცხოვართა მგლად გარდააქცევს. მუნ უკუეთუ ვინ მივიდეს გლახაკი და იხილნეს შვილნი მდიდართა და დიდებულთანი, შემოსილნი ხალენებითა და ფლასებითა, დიდი ნუგეშინის-ცემად მოილოს სიგლახაკისა თვისისაჲ; მდიდარი თუ მივიდეს, დიდად შეიკდიმოს და ღმობიერ იქმნას. ხოლო ამათ თანა რაჲ იპოოს ესევეთარი?

¹ რომ. 6,19.

შე-თუ-ვიდეს გლახაკი და იხილნეს მემღერნი, შვილნი მზარაულთა და მეპრატაკეთანი, ძონეულითა მოსილნი და ზეზითა, უფროსად იწყლას გული მისი და იწყოს დრტკნვად, უკუეთუ არა ფრიად გონიერი იყოს, და შურიტა ფრიადიტა აღივსოს. შე-თუ-ვიდეს მდიდარი, უმეტესად გარდაჰმატოს ანგაჰრებასა და ტრფიალებასა და ტყუედ ვნებათა გამოვიდეს მიერ. ამისთვის ვთქუ, ვითარმედ: იგი კრებული მგელთა კრავ-ჰყოფს, და ესე ცხოვართა მგლად შესცვალეზს. იგინი სულთა მათ მათდა შევედრებულთა ტყუეობისაგან ეშმაკისა განათავისუფლებენ, ყოველსავე კეთილსა ასწავებენ; რამეთუ სანადელ არს ცხორება მათი არა თუ ოდეს გალობდენ ხოლო, არამედ შემდგომად ამისაცა. რამეთუ აღასრულიან რაჲ კანონი იგი ლოცვათა სერობისათაჲ, მეყსეულად რომელმანმე წიგნი ესაიაჲსი აღილის და მას თანამზრახვალ ექმნის, სხუამან იერემიაჲსი ანუ სხუათა წინამწარმეტყუელთაჲ, სხუამან წიგნი მოციქულთაჲ, სხუამან წიგნი მამათაჲ, და კაცად-კაცადი აღაორძინებენ გულისწმის-ყოფასა თქსსა, აღიმალღებენ გონებასა ხედვად ღმრთისა, განიცდინ ბუნებასა ხილულთა და უხილავთასა, ამოებასა ამას სანუთროსასა და სიმტკიცესა მის საუკუნოზასა. ესრეთ იყვნიან სიტყუანი ღმრთისანი ტკბილ სასასა მათსა, უფროს თაფლისა პირსა მათსა.¹ თაფლ მათდა არნ გულისწმის-ყოფაჲ საღმრთოჲ, თაფლ გოლეულ, ფრიად საკკრველ, უაღრეს თაფლისა მის, რომლითა უდაბნოს იოვანე იზარდებოდა. რამეთუ ამას თაფლსა არა ფუტკარნი იქმან ცუართაგან ზეცისათა და ყუავილთა ველისათა, არამედ მადლი სულისა წმიდისაჲ შეჰმზადებს სულთა შინა ღმრთისმოყუარეთასა. გნებავს თუ ხილვად სიტკბოებისა და სურნელებისა თაფლისა მის, მიეახლე ნეტართა მათ და იხილო გამოუთქუმელი სიტკბოებაჲ და მიუთხრობელი სურნელებაჲ, რომელი გამოვალს პირით მათით. რამეთუ არარაჲ გამოვალს მათგან ბოროტისა სიტყუაჲ, ანუ ცუდადმეტყუელებაჲ, ანუ ძკრის-ზრახვაჲ, არამედ ყოველი სიტყუაჲ მათი ღირს არს აღწერად წიგნთა შინა სულიერთა.

მსგავს არიან პირნი მათნი წყაროსა თაფლისასა, გინა თუ წყლისა ცხოელისასა; ხოლო პირნი სივერაგეთა სოფლისათა შექცეულთანი, მოკიცხართა და განმცხრომელთა და მემღერთა და ძკრისმეტყუელთანი უკუეთუ ვინ მიამსგავსნეს მდინარესა მწკრისასა, არა სცთების ყოვლადვე, არამედ ჭემმარიტსა იტყვს.

უკუეთუ მრისხავთ ამისთვის, რომელ პირნი ესევიტარნი მდინარესა მწკრისასა მივამსგავსენ, უწყოდეთ, ვითარმედ ფრიად რიდობით ვთქუ ესე; ხოლო წერილი ფრიად უმეტეს ამისა იტყვს ესევიტართათვს: „გესლი ას-პიტისაჲო ბაგეთა მათთა“;² და „სამარე ზელებულ არს ჯორჯი მათი“.³ ხოლო ნეტართა მათ მონაზონთაჲ არა ეგრეთ არს, არამედ იხილვების სავსე სიტკბოებითა და სურნელებითა ფრიადიტა, და ესე ამასვე სოფელსა.

¹ შდრ. ფსალმ. 118,104.

² ფსალმ. 139,4.

³ ფსალმ. 5,10.

ხოლო მის საუკუნოდსა რად-იგი მიელის მათ, რომელმან-მე სიტყუამან გამოთქუას, რომელმან-მე გონებამან მოიგონოს ბრწყინვალეზად იგი ანგელოზებრივი, ნეტარებად იგი გამოუთქუმელი, კეთილნი იგი მოუგონებელნი? უწყი, მრავალთა გულნი განჯურდეს სიტყუათაგან ამათ და სურვილად აღიძრნეს კეთილისა ამის მოქალაქობისა. გარნა რად სარგებელ არს, უკუეთუ ვიდრე ეკლესიასა შინა იყვნეთ, სურვილი ესე აღეტყინებოდის შორის თქუნესა, ხოლო გან-რად-ხვდეთ ამიერ, დაშრტეს ალი იგი და განგრილდეს? ამისთჳს, მ კაცო, უკუეთუ იქმნა შენ შორის სურვილი, უკუეთუ აღეტყინა გულსა შენსა ცეცხლი სულიერი, ნუ გცონინ წარსლვად მათ ანგელოზთა თანა და შერთვად კრებულსა მათსა. ვერ გულისჯმა-გი-ყოფს ესრეთ სიტყუად ჩუენი, ვითარ ხილვად თუალითა. ნუ იტყვ: განვაზრახო ცოლსა ჩემსა და ვიურვნე საქმენი ჩემნი. ესე სიტყუანი დროებისანი დაჯსნილობისა დასაბამ არიან. ისმინე, რამეთუ ინება ვინმე მოკითხვად სახლეულთა თჳსთა, და არა შეუნდო წინაჲსწარმეტყუელმან.¹

და რად ვიტყვ მოკითხვასა სახლეულთასა? მამისა თჳსისა დამარხვად ენება მონაფეთაგანსა ვისმე, და არცა ესე შეუნდო ყოფად ქრისტემან.² და რადმცა იყო უმეტეს ამისა საჭიროდ და სათანადოდ საქმე, ვითარ დამარხვად აღსრულებულისა მამისად? არამედ ესეცა დააყენა. რადსათჳს-მე ყო ესე? ამისთჳს, რამეთუ ეშმაკი ყოვლითა ძალითა ზედადგას დახრწევად ჩუენდა გზათაგან საღმრთოთა, და უკუეთუ რაოდენიცა პოოს მიზეზი მცირედისა უცალოებისა და დროებისად, დიდსა უდებებასა იქმს.

ამისთჳს ბრძენი იგი იტყვს: „ნუ სდროებ დღითი-დღე, უკუეთუ გნებავს გზასა მას საღმრთოსა წარმატებად“.³

უკუეთუ ყოველივე ღმრთისათჳს უგულებელს-ჰყო, ყოველივე კეთილად განგემარჯოს, ვითარცა იტყვს: „ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუნ“.⁴ ნუ ზრუნავ უკუე სახლეულთა შენთა, არამედ არწმუნენ იგინი ღმერთსა, რადთა მან კეთილად ილუანნეს. უკუეთუ შენ იურვოდი მათ, კაცობრივ იურვი, და ღმერთი არა ფრიად ილუნის, არამედ ვითარცა ყოველსა სოფელსა ოდენ. უკუეთუ კულა მხოლოსა ღმერთსა არწმუნო მათი ზრუნვად და შენ მას შეუდგე, ნეტარ იყვნენ იგინი, რწმუნებულნი მეუფისა მის სახიერისა.

ან უკუე, გნებავს თუ, რადთა ყოვლით კერძო კეთილი გეყოს და ზრუნვათაგან თავისუფალ იქმნე, უგულებელს-ყავ სოფელი და სული შენი ილუანე, რადთა აქაცა სანატრელ იქმნე და საუკუნეთა მათ კეთილთა მიემთხვო მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ 3 მეფ. 19,20.

² მათ. 8,21-22; ლუკ. 9,59-60.

³ ზირ. 5,8.

⁴ მათ. 6,33.

თავი 20

სიტყუად ესე: „და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა (ვის-
მინოთ ესეცა იგავი, ვითარ შუენიერ არს და საშინელ): ემსგავსა სასუფე-
ველი ღმრთისად კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თვისსად.
და წარავლინნა მონანი თვისნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილ-
სა მას, და არა ინებეს მოსლვად. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი
და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს,
ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს,
მოვედით ქორწილსა ამას. ხოლო მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს: რომელი-
მე თვისსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თვისსა. ხოლო სხუათა შეიპყრ-
ნეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მოსწყდნეს. ხოლო მეუფე იგი განრის-
ხნა და მიავლინა ერი თვისი და მოსრნა კაცისმკლველნი იგი და ქალაქი იგი
მათი მოწუა ცეცხლითა. მაშინ ჰრქუა მონათა თვისთა: ქორწილი ესე მზა
არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზა-
თასა და რავდენნიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას. და განვიდეს
მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რავდენი პოეს ბო-
როტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მენიჭითა. და შე-რაჲ-ვიდა
მეუფე იგი ხილვად მენიჭეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა
სამოსელი საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რა-
მეთუ არა გამოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი დუმნა. მაშინ ჰრქუა
მეუფემან მან მსახურთა თვისთა: შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერწნი და
განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად
კბილთად. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი, და მცირედ – რჩეულნი“
(22,1-14).

თარგმანი: იხილეა პირველსა მასცა იგავსა შინა და ან ამას განყო-
ფილებად ძისა და მონათად და თუ რაოდენ არს შორის მათსა? იხილეა ამათ
იგავთა ფრიადი თვისებად და კუალად ფრიადი განყოფილებად? რამეთუ ესე-
ცა გამოაჩინებს სულგრძელებასა ღმრთისასა და განგებულებასა მისსა და
უმაღლოებასა ჰურიათასა და მოასწავებს უმეტესად დაცემასა მას ჰური-
ათასა და წოდებასა წარმართთასა. ამას თანა გუაუნყებს, ვითარმედ არა
სარწმუნოებად ხოლო ჯერ-არს, არამედ საქმენიცა კეთილნი, და თუ რაოდე-
ნი სასჯელი წინაუც მებღალულთა ცოდვითა. და კეთილად განანესა ესე
იგავი შემდგომად პირველთქუმულისა მის, რამეთუ მუნ თქუა: „მიგელოსო
თქუენგან სასუფეველი ღმრთისად და მიეცეს ნათესავთა, რომელნი ჰყოფ-
დენ ნაყოფსა მისსა“,¹ ხოლო ან გამოაჩინებს, თუ ვინ არიან ნათესავნი იგი.
და არა ესე ოდენ, არამედ აურაცხელსაცა მოლუანებასა მისსა გუაუნყებს,
რომელი აჩუენა ჰურიათა ზედა. რამეთუ ზემოსა მას იგავსა შინა იტყვს ნო-

¹ მათ. 21,43.

დებასა, რომელ უნოდა პირველ ჯუარ-ცუმისა, ხოლო ან გამოაცხადებს, ვითარმედ შემდგომად ჯუარ-ცუმისაცა არავე დასცხრა ნოდებად. ოდეს-იგი სასტიკისა რისხვისა ღირს იყვნეს, მაშინცა ქორწილადვე უნესს და პატივად დიდებულად; და ზემოცა გუაუნყა, ვითარმედ პირველად ჰურიათა უნოდა, არა წარმართთა, და აქაცა ეგრეთვე, გარნა ვითარცა-იგი მუნ, ოდეს არა შეინყნარეს, არამედ მოკლეს, მაშინლა მისცა სხუათა ვენაჴი იგი, ეგრეთვე აქა, ოდეს არა ინებეს მოსლვად ქორწილსა მას, მაშინლა სხუათა მოუნოდა.

რადმცა უკუე იყო უცოფეს მათსა, რომელ ქორწილად ინოდნეს და განაგდეს? ვინმცა არა ინება მისლვად ქორწილსა, და ქორწილსა მეუფისასა, ოდესლა ძისა თვისისა იქმნ ქორწილსა. რომელსა ქორწილსა იტყვს? ესე იგი არს, ოდეს შეიერთა ქრისტემან ეკლესიაჲ.

და რადათჳს ქორწილად ენოდა საქმესა ამას? ვინადთგან ესე საქმე უმეტეს ყოველთა სოფლისა საქმეთა სახარულად დანესებულ არს, და არა-ოდეს იქმნების ესევითარი სიხარული, ვითარ დღესა ქორწილისასა; და უფროდსლა, უკუეთუ სამეუფოდ იყოს ქორწილი, მამად მეუფე ძესა საყუარელსა ქორწილსა უქმოდის, უმეტესი სიხარული და განცხრომად ქუეყანისად არა არს. ამისთჳს ვითარცა თავი სახარულევანთა საქმეთად ესე აწსენა, რადთა სცნა ღმრთისა სახიერებაჲ და უხუებაჲ ჩუენისა წყალობისად, ვითარ ცხორებაჲ ჩუენი სანადელ იყო მისდა, და რადთა სცნა ბრწყინვალეებაჲ საქმეთად მათ, ვითარმედ არარად არს მათ შინა მწუხარებისა და მჭუნვარებისა სახე, არამედ ყოვლითურთ სავსე არს სიხარულითა სულიერითა. ამისთჳს იოვანე სიძედ სახელ-სდებს უფალსა და ეკლესიასა სძლად: „რომელსა აქუს სძალი, სიძე არსო; ხოლო მეგობარი სიძისად რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისადთა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“. ¹ და პავლე იტყვს: „მიგათხოენ თქუენ ერთსა მამაკაცსა ქალწულად ნმიდად წარდგინებად ქრისტესა“. ² რამეთუ ვითარცა-იგი ოდეს სიტკბოებასა მცნებათა და განკითხვათა უფლისათა ენებოს წერილთა გამოსახვად, თაფლსა მოიღებენ სახედ, რამეთუ უტკბილეს სოფელსა შინა არად იპოების; კუალად, ოდეს შუენიერებასა და პატიოსნებასა მათსა იტყოდის, ოქროსა და ანთრაკსა ანუ მარგალიტსა მოიღებს; ოდეს ბრწყინვალეებასა იტყოდის, მზესა გვჩუენებს. არა თუ ესე სახენი მიემსგავსებიან საღმრთოთა მათ საქმეთა, არამედ უაღრესსა ვერარას ჰპოებს სახედ ენად კაცობრივი. ეგრეთვე, რადთამცა სახარულევანებაჲ და განგებულებაჲ გულისწმა-გვყო ამის საქმისად, ქორწილად სახელ-სდვა და სიძედ თქუა და სძლად, ვითარცა პავლე იტყვს: „საიდუმლოჲ ესე დიდ არსო, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთჳს და ეკლესიისათჳს“. ³

ხოლო უკუეთუ ვინ ეძიებდეს, თუ რად არს ესე, რომელ ქორწილად ძისა ენოდების საქმესა მას, და ძესა მიეთხოვაჲ ეკლესიაჲ, ხოლო მამასა არა?

¹ იოან. 3,29.

² 2 კორ. 11,2.

³ ეფეს. 5,32.

ესე წერილთა შინა, საყუარელო, განუყოფელ არს. გინა თუ ძესა თქუას მითხოვბად, მამისა არს, გინა თუ მამისა თქუას, ძისა არს. რამეთუ განუყოფელობისათჳს ბუნებისა მათისა ითქუმის ესრეთ.

და ჭეშმარიტად შუამდგომელობითა ძისადათა დავეგენით მამასა ჩუენ, განდგომილნი ესე. კეთილად უკუე მოასწავებს აქა აღდგომასა, რამეთუ ზემოსა მას იგავსა შინა ავსენა სიკუდილი და აწ ესერა თქუა ქორწილი, რადთა გუასწავოს, ვითარმედ შემდგომად ჯუარ-ცუმისა და სიკუდილისა ითქუმის აღსრულებად იგი ქორწილისა და სიძედ ნოდებად მისი.

ხოლო შენ იხილე სიბრმე ჰურიათაჲ. პირველად წინადასწარმეტყუელნი მოსწყდნეს, მერმე ძე მოკლეს. და ამას ზედა იწოდნესვე ქორწილსა მათ მიერ მოკლულისა მის უფლისასა. და არავე მივიდეს, არამედ მიზეზნი ცუდნი შემოიხუნეს: უღელნი ჳართანი და აგარაკი და ცოლი,¹ რამეთუ ნანდკლვე სულიერნი საქმენი უფროჲს ყოვლისა შეურაცხ იყვნეს მათ წინაშე, და ცუდნი ესე – პატიოსან და საწმარ.

ხოლო სახიერმან მან უშურველად ჩინებულ-ყვნა, არა თუ გკანად, არამედ პირველ მრავლისა ჟამისა. რამეთუ იტყვს: „წარავლინა მონანი თჳსნი მონოდებად ჩინებულთა“. და კუალად იტყვს: „არქუთ ჩინებულთა მათ მოსლვად ქორწილსა ამას“. და არავე ერჩდეს უბადრუკნი იგი.

პირველად უწოდნა წინადასწარმეტყუელთა მიერ, მერმე – იოვანეს მიერ, რამეთუ იგი ყოველთა მისა მიაველენდა და იტყოდა: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“;² და „მისა ჯერ-არსო აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად“.³

მერმე კუალად უწოდა თავადმან ძემან ღმრთისამან, რამეთუ ეტყოდა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“.⁴ და კუალად იტყვს: „რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ“.⁵ ხოლო ვინაჲთგან ჯუარს-აცუეს იგი, ამისაცა შემდგომად უწოდა პირითა პეტრესითა და სხუათა მათ მოციქულთადათა. და რაოდენცა იგი სულგრძელ ექმნა, იგინი უმეტესად განფიცხნეს. და არა თუ ხოლო მოსლვად უდებ იქმნეს და ცუდნი საქმენი იმიზეზნეს, არამედ მჩინებელნიცა იგი მონანი მისნი აგინნეს და მოსწყდნეს.

ესე პირველისა მის იგავისა უძკრეს იყო. მუნ იტყვს, ვითარმედ: მოვიდეს მონანი იგი ვენაჴისა უფლისანი და ნაყოფთა ეძიებდეს, ამისთჳს მოიკლნეს. ხოლო ესენი ნოდებად მოვიდეს ქორწილსა და სიხარულსა და შენდობად აღუთქუეს მოკლვისა მისისა და შეყვანებაჲ უქადეს სასუფეველსა. რადსათჳს მოსწყდნეს? რამცა იყო ამის სიბორგილისა და უკეთურებისა შემსგავსებაჲ? ამისთჳს პავლე იტყვს: „რომელთა-იგი უფალი მოკლეს იესუო და წინადასწარმეტყუელნი და ჩუენ გამოგუდვენეს“.⁶ ხოლო რადთა

¹ შდრ. ლუკ. 14,18-20.

² იოან. 1,29.

³ იოან. 3,30.

⁴ მათ. 11,28.

⁵ იოან. 7,37.

⁶ 1 თეს. 2,15.

ვერ თქუან, თუ: წინააღმდეგომ ღმრთისა არს და ამისთვის არა მოვალთ, იხილეთ, რასა ეტყუან მჩინებელნი იგი, ვითარმედ: მამამ იქმსო ქორწილსა ამას, და მან მოგუაფლინნაო წოდებად.

ისმინეთ უკუე შემდგომიცა: ვინაფთგან არა ინებეს მოსლვად, არამედ მჩინებელნიცა იგი მოსწყდნეს, „მიავლინა ერი და მოსრნა კაცისმკლველნი იგი და ქალაქი მათი მოწუა ცეცხლითა“. ამათ სიტყუათა მიერ მოასწავა, რად-იგი ყოფად იყო მათ ზედა უესპასიანეს და ტიტეს მიერ. რამეთუ ამისთვის არა მასვე ჟამსა იქმნა მოოწრებად იერუსალჴმისა და სრულიადი იგი დაქცევად ჰურიათად, რაჟამს ქრისტე ჯუარს-აცუეს, არამედ შემდგომად ორმეოცისა წლისა, რადთა აჩუენოს სულგრძელება თვისი. ხოლო მოკლეს რად იაკობ ზებედესი, დაქოლეს სტეფანე, განტყნეს იაკობ, ძმა უფლისა, აგინეს და დევნეს მოციქულნი, მერმე მოინა შურის-გებად იგი. ვიდრელა იოვანე მახარებელი სოფელსა შინა იქცეოდა და სხუანი მრავალნი ქრისტეს თანა ყოფილნი, აღესრულა ესე ყოველი; და მონამე იყვნეს, რომელთა ყურითა მათითა ასმიოდა.

ან იხილეთ სულგრძელება ღმრთისა და გამოუთქუმელი და მათი აურაცხელი სიბოროტე: ვენაწი დაასხა და ყოვლითურთ შეამკო; მიავლინნა მონანი და მოსწყდნეს; მიავლინნა სხუანი, იგინცა მოკლნეს; მერმე მიავლინა ძე თვისი, იგიცა ჯუარს-აცუეს; და კუალადცა უწოდა ქორწილად. ოდეს იგიცა მჩინებელნი მოსწყდნეს, მერმელა მიჴფინა მათ ზედა რისხვად თვისი და წარმართთა უწოდა. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, თუ: არა მაშინ იქმნა წოდებად წარმართთად, ოდეს მოციქულნი დევნეს და მოსწყდნეს, არამედ მეყსეულად შემდგომად აღდგომისა ჰრქუა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“;¹ ესრეთ ვიტყვთ, ვითარმედ: პირველ ჯუარ-ცუმისაცა და შემდგომად ჯუარ-ცუმისა პირველად მათა მიმართ ყო ქადაგებად, რამეთუ პირველ ჯუარ-ცუმისა ეტყოდა მონაფეთა: „წარვედით ცხოვართა მიმართ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“;² და შემდგომად ჯუარ-ცუმისა არავე დააყენნა, არამედ უბრძანაცა ქადაგებად მათდა. რამეთუ დაღაცათუ ჰრქუა, ვითარმედ: „წარვედით, მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი“, არამედ რაჟამს-იგი ამალღებოდა ზეცად, უბრძანა, რადთა ჰურიათაცა უქადაგონ, და უფროხსად პირველ სხუათასა, რამეთუ თქუა: „შეიმოსოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა და იყვნეთ თქუენ ჩემდა მონამე იერუსალჴმს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა, ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა“.³

და ნეტარი ჰავლე იტყვს, ვითარმედ: „რომელი შეენია პეტრეს მოციქულებად წინადაცუეთილებისა, შემენია მეცა წარმართთა მიმართ“.⁴ ამისთვისცა მოციქულთა პირველად ჰურიათა მიმართ იწყეს ქადაგებად და მრავალ ჟამ იქცეოდეს იერუსალჴმს, და მერმე იდევნეს მათ მიერ და ეგ-

¹ მათ. 28,19.

² მათ. 10,6.

³ საქმე 1,8.

⁴ გალ. 2,8.

რეთ მიმოდაიბინეს წარმართთა შორის; ვითარცა ან მოასწავებს სიტყუად უფლისად, ვითარმედ: „მაშინ ჰრქუა მონათა თვსთა: ქორნილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზათასა და რავდენნიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორნილსა ამას“; რამეთუ, ვითარცა ვთქუ, შემდგომად აღდგომისა ჰურიათაცა უქადაგებდეს და წარმართთაცა, გარნა უმეტესად ჰურიასტანს იქცეოდეს.

ხოლო ვინაფთგან იგინი გულფიცხელობასავე შინა ეგნეს და სდევნიდეს, ამისთვის პავლე თარგმნის ამას იგავსა. ოდეს-იგი მწდომად აღუდგეს მას ჰურიანი, მიუგო და ჰრქუა მათ: „თქუენდა ჯერ-იყო პირველად რქუმად სიტყუად ესე ღმრთისად, ხოლო თქუენ ეგერა განიშორებთ და არა ღირსად გიშჯიან თავნი თქუენნი ცხორებისათვს საუკუნოდასა. აჰა ესერა მივიქცევით წარმართთა მიმართ. რამეთუ ესრეთ მამცნო ჩუენ ღმერთმან, რაფთა აღესრულოს წერილი, ვითარმედ: დაგადგინე ნათლად წარმართთა, რაფთა იყო შენ მაცხოვრად კიდით კიდემდე ქუეყანისა“.¹

მაშინ აღესრულა სიტყუად ესე ამის იგავისად, ვითარმედ: „განვედით უბანთა და ყურეთა ქალაქისათა, გზათა ზედა და ფოლოცთა და უცხოთა, ბრმათა და მკელობელთა შემოხადეთ აქა“.² რამეთუ ვინაფთგან მრავალგზის თქუა, ვითარმედ: მეძავთა და მეზუერეთა უსწრონ მათ სასუფეველად, და იგინი განითხინენ გარე; და კუალად: „იყვნენო წინანი უკუანა, და უკუანანი – წინა“,³ ან გამოაჩინებს, ვითარმედ სამართლად იქმნა ესე, მათი იგი განვრდომად და წარმართთა შემოსლვად პატივსა მას.

ხოლო კუალად, რაფთა ესენიცა წარმართთაგანნი მორწმუნენი არა მიენდვნენ სარწმუნოებასა ოდენ, ამისთვის გუაუწყებს სასჯელსა მას ბოროტთა საქმეთასა, რომელი განმზადებულ არს ურწმუნოთათვს, ამისთვის, რომელ არა მოვიდეს სარწმუნოებად, ხოლო მორწმუნეთათვს ცოდვილთა – არაღამარხვისათვს ნიჭისა მის, რომელი მიეცა ნათლის-ღებისაგან. რამეთუ სამოსლად საქორწინედ საქმეთა უნესს და მოქალაქობასა. თქუას ვინმე, ვითარმედ: წოდებად იგი მადლისა მისისად იყო უსასყიდლოდ, რაფათვს უკუე ესრეთ რისხვით ეძიებს სამოსელსა საქორწინესა, რომელ არიან საქმენი კეთილნი? არამედ გულისწმა-ყავნ მეტყუელმან მან ესე ვითარისამან, ვითარმედ წოდებად ქორნილსა მას და განწმედად ცოდვათაგან უსასყიდლოდ იქმნების მადლისა მისისაგან, ხოლო ვინაფთგან შეჰმოსოს სამოსელი სინმიდისად, მიერითგან სამოსლისა მის შეუბლალველად დამარხვად თანაცა ჩინებულთა მათ. უცხონი იგი, ბრმანი და მკელობელნი, რომელნი მებოძირთაგან და ფოლოცთაგან შეკრიბნა, არავის მათგანსა განურისხდა სამოსელთა მათთვის დაბებკულთა, არამედ ყოველნი შემოსნა ბრწყინვალედ; ხოლო უბადრუკმან მან კუალადცა შებლალა სამოსელი იგი სამეუფოდ, გინა თუ თვსივე იგი ხენეში და ბაყლითა სავსე შეიმოსა, ამისთვის დაისაჯა.

¹ საქმე 13,46-47.

² ლუკ. 14,21.

³ მათ. 19,30; 20,16.

ან უკუე ჩინებად იგი არა ღირსებისაგან იყო ჩინებულთადასა, არამედ სახიერებისაგან მეუფისა მის ტკბილისა; ხოლო მიერთგან ჩინებულთა მათცა თანააც ნაცვალად უსასყიდლოდასა მის წყალობისა დაცვად თავნი თვისნი სინმიდით და არა უკეთურებისა ჩუენებად ნაცვალად ქველისმოქმედებისა მის.

ამისთვის ფრიადისა ტანჯვისა თანამდებ არიან უდებნი და ცოდვითა შებლალულნი, რომელ ესოდენსა პატივისა ზედა უმადლოვე იქმნეს. აჩუენეს ჰურიათა უმადლოებად და სიბოროტე ყოვლადვე არამოსლვითა ქორნილსა მას; აჩუენა ხენეშითა სამოსლითა შესრულმანცა მიცემულისა მის პატივისა შეურაცხად ჴმარებითა. ამისთვისცა დუმნა, რამეთუ არა აქუნდა სიტყუად, რამცა მიუგო. ხოლო მეუფემან ცხადსა მას საქმესა ზედა არავე დასაჯა, ვიდრემდის პირველად მან დასაჯა თავი თვისი, რამეთუ რომელ-იგი დუმნა და პასუხი ვერ მისცა, დასაჯა თავი თვისი და ვერ პოვა სიტყუად, და მერმელა მიეცა საუკუნესა სატანჯველსა.

რამეთუ გესმას რად ბნელი, ნუ ჰგონებ, თუ ესე ხოლო არს სატანჯველი მისი, ბნელსა ადგილსა ყოფად, არამედ შემდგომი ისმინე, ვითარმედ: „მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთა“, რომელ-ესე მოუთმენელთა სატანჯველთა მოასწავებს.

სწავლად 20

მერმისა მისთვის სასჯელისა; და რადთა მოვიგოთ ზრუნვად სულთა ჩუენტა

ისმინეთ, რომელნი ღირსქმნილ ხართ საიდუმლოთა მათ დიდებულთა და ჩინებულ ხართ ქორნილსა მას ზეცისასა, და მერმელა საქმეთა მიერ ბოროტთა შეამნინკულებთ სულთა თქუენტა. გულისწმა-ყავთ, ვინა იწოდენით – მებოძირთაგან და ფოლოცთა და ყურეთა ქალაქისათა, მკელობელნი და ბრმანი სულითა, რომელ-ესე ფრიად უძკრეს არს ჴორციელსა სნებასა. შეიკდიმეთ კაცთმოყუარებისაგან მჩინებელისა მის, და ნუმცა ვინ შეიმოსს კუალად პირველთა მათ შებლალულთა სამოსელთა. გამოიძინენ კაცად-კაცადმან სამოსელი სულისა თვისისა, განირცხან იგი და განინმიდენ.

ისმინეთ, მამანო და დედანო, ყოველმან კაცმან და ყოველმან ჰასაკმან! არა ხილულთა ამათ სამოსელთა სამკაულსა ეძიებს ჩუენგან ღმერთი, არამედ სამკაულსა მას სულიერსა ეძიებს; ვიდრემდის ჴორცთა სამოსლითა შუენიერთთა ვამკობდეთ, ძნელ არს სამკაულისა მის სულიერისა პოვნად. რამეთუ არა შესაძლებელ არს ერთბამად ჴორცთაცა და სულისა მკობად, არა შესაძლებელ არს ერთბამად ღმრთისაცა მონებად და მამონადსი. ან უკუე შემკობად ესე ჴორცთა დაუტეოთ და სულისა შევიკრძალოთ.

უკუეთუმცა ვინ სახლი შენი შეამკო ეზოებითა ოქროქსოილითა და შატროვანებითა ნემსულითა და შენმცა განგაშიშულა საქიქელად ყოველთა თანანარმავალთა, არამცა სირცხვლ-გიჩნდაა? ან უკუე ამას საქიქელსა საქმესა შენ თვთ იქმ თავსა ზედა შენსა: სახლსა მას სულისა შენისასა, რომელ არიან ჯორცნი, ამკობ სამოსლითა ბრწყინვალითა და თითოფერთა და ჰფუფუნებ შეენიერად, ხოლო სული დაგიტეობიეს შიშუელი, ძონძითა უნდოთა მოხუეული და სირცხვლეული.

არა უწყია, ვითარმედ მეფისაჲ ჯერ-არს შემკობაჲ, ვიდრელა ქალაქისაჲ? ამისთვისცა ურაკპარაკთა ქალაქისათა ოდეს შეამკობდენ, ტილოთა განჰვენენ და ღებილთა, გინა ყუავილთა თივისათა, და კმა არნ, ხოლო მეფისათვს შემზადებულ არს სამკაულად პორფირი მარგალიტითა განრჩუნვილი და გვრგვნი ანთრაკითა და სამარაგდოთა განგებული და ზურმუხტითა ჰინდურითა განკარგული და სხუად იგი თითოფერი სამკაული, ვითარცა უწყით.

ან უკუე შენცა, კაცო, ეგრეთვე იქმოდე; ჯორცნი უნდოთა სამოსლითა შემოსენ, ხოლო სულსა მენამული და პორფირი შთააცუ და გვრგვნი დაარქვ ქვისა მისგან პატიოსნისა და დასდვი ეტლთა ზედა შეენიერთა, რაჲთა დაუყენებელად აღვიდეს ქორწილსა მას ზეცისასა. რასა იქმ, კაცო? ქალაქსა შეამკობ და მეუფესა ამას – სულსა – დაუტეობ, რაჲთა ვითარცა ტყუე, შეკრული წებორკილითა, მიმოეთროს ბოროტთა ვნებათა? არა გულისწმა-ჰყოფა, ვითარმედ ქორწილად საღმრთოდ ნოდებულ ხარ? არა იგონება, თუ ვითარ უწმს ყოფად სულსა, რომელი მას სასძლოსა შევიდოდის?

ფესუედითა ოქროანითა თანააც შემკობაჲ და შემოსად პირად-პირადად შეენიერად. გნებავსა, რაჲთა გიჩუენნე კაცნი, შემკობილნი სამოსლითა საქორწინოთა?

მოიწსენენ წმიდანი ესე მონაზონნი, რომელნი ზემოსა თავსა ვაწსენენ, რომელთა ჰმოსიეს ფლასები და ხალენები და უდაბნოთა მკვდრ არიან, მათ ჰქონან ჭემმარიტად სამკაულნი საქორწინენი.

ამისთვისცა რაოდენიცამცა ვინ მისცნა პორფირნი და ოქროქსოილნი, არამცა განუცვალნეს ხალენები და თხის ტყავები მათი, არამედ ვითარცა მეფესა უკუეთუ ვინ ძონძი გლახაკისაჲ საძაგელი მიუპყრამცა და ანუევდა შემოსად, მოიძაგამცა იგი და შეჰრისხნა, ეგრეთ შეურაცხიეს მათ პორფირი ანუ გვრგვნი მეფისაჲ. ესე ამისთვის, რამეთუ იციან ბრწყინვალეზაჲ თვსთა მათ შესამოსელთაჲ და არიან იგინი ფრიად უაღრეს მეფეთა და მთავართაჲსა.

უკუეთუმცა განგიხუნა ვინ კარნი გონებისანი და იხილენმცა სულნი მათნი და შინაგანი იგი სამკაული, ვერმცა იტვრთე ბრწყინვალეზაჲ შეენიერებისაჲ მის და ელვარებაჲ გონებათა მათთაჲ, არამედ დაჰვარდიმცა ქუეყანასა ზედა შიშისაგან და მცხინვარებისა მის ფრიადისა.

მქონან სახენი მრავალნი პირველთაგან წმიდათა, გარნა ზრქელთა და უგულისწმოთა ხილულნი სახენი უფროსად შეაგონებენ. ამისთვის წარგავლინებ სავანესა ამათ ნეტართასა, რაფთა იხილნეთ, ვითარ განშორებულ არიან საქმეთაგან სოფლისათა და სიხარულით განწყობილ არიან ბრძოლად ეშმაკისა. ამისთვისცა დაუტევენეს ქალაქნი და სოფელნი და ტალავრებითა ცხონდებიან, რამეთუ მწედართა, წყობად განსრულთა, არა არს წესი სახლთა შინა ყოფად, არამედ კარვებითა დგებიან, ვითარცა მსწრაფლ წარმავალნი. ეგრეთვე ესენი, ვინაფთაგან დაბანაკებულ არიან წყობად მტერისა, მსხემთა და წარმავალთა წესი უპყრიეს, არა ვითარ-ესე ჩუენ ვიქმთ: არა ვითარცა განწყობად განმზადებულნი, არამედ ვითარმცა საუკუნოდ მკვდრობად გუაქუნდა აქა. რომელმანმცა მწედარმან ბანაკსა შინა დადვა საფუძველი შენებად სამარადისოესა სამკვდრებელისა, ვინაფთაგან უწყინ, ვითარმედ მალე წარსლვად არს მიერ ადგილით, ანუ ინებამცა სყიდად ვენაწთა და ყანათა უცხოთა ქუეყანასა? უკუეთუ ქმნას ესე, ვითარცა ორგული, იტანჯოს, რამეთუ ჰრქუას მას ერისთავმან: ბრძოლად მოსრულ ხარ აქა ანუ მზახობად? უკუეთუ ჩუენ თანა მავალი ხარ, რაფათვს აქა სამკვდრებელთა იმზადებ, ორგული მწედარო?!

ეგრეთვე ჩუენ, ძმანო, განვიგულნეთ თავნი თვსნი. ნუ აქა ვეძიებთ სამკვდრებელსა, არამედ ქალაქსა მას ზეცისასა, სადა-იგი მიმავალ ვართ; ხოლო აქა კმა არს ტალავარი ოდენ და საჭურველნი ბრძოლისანი და არა ტაძარნი და საუნჯენი და თითოფერნი საუცრებანი. იხილნით, ვითარ ცხორებენ წარმართნი, არაბნი და გუთნი, კარვებითა და ტალავრებითა.

ესრეთ ჯერ-იყო ცხორებაჲ ქრისტიანეთაჲ, რაფთამცა მიმოვიდოდეს და ჰბრძოდეს ეშმაკსა და ივსნიდესმცა მის მიერ ტყუექმნულთა. უკუეთუ ძნელ გიჩნს სიტყუაჲ ესე ჩემი, წარვედ სამკვდრებელად ზემოწესებულთა მათ მამათასა და იხილნე, ვითარ ქუაბთა შინა და ტალავართა ცხონდებიან, ვითარცა ჭემმარიტნი მწედარნი მეუფისანი, ფრიად უაღრესნი ჯორციელთა მათ მწედართასა. რამეთუ არა რკინისა და რვალისა საჭურველები იხილვების მათ შორის, არამედ ყოველივე სულიერი არს და საღმრთოდ, საჭურველიცა მათი და ბანაკიცა. არა ტილოესა მიერ შეკერულნი ჰქონან კარავნი, არამედ სათნოებათა მიერ შემზადებულნი, სადა-იგი ზედადსზედა ესტუმრებიან ანგელოზნი და ანგელოზთა მეუფე. უკუეთუ აბრაჰამს ესტუმრნეს, კაცსა, რომელსა ცოლი ესუა და შვილი, უცხოთმოყუარებისა მისისათვს, ოდეს პოონ კაცი ფრიად უმეტესითა სათნოებითა შემკობილი და ჯორცთა შინა ჯორცთა შეურაცხმყოფელი, არამცა წადიერებით მოვიდოდეს მის თანა? ჰე, ჭემმარიტად. რამეთუ ტაბლავცა იგი მოლუანეთად სურნელებითა მით მარხვისაფთა სავსე არს, მიმგავსებული ტაბლასა მას, რომელი უფალმან მათსა ზედა დაუგო ერსა მას. და ამისთვისცა წადიერებით ანგელოზნი იქცევიან მათ თანა. არავინ არს მათ შორის მონად გინა

უფალი. ყოველნი ურთიერთას მონანი არიან და უფალნი წესითა მით სი-
ყუარულსადათა.

შემწუხრდის რად, არცა ერთი არნ მათ თანა მწუხარებად, ვითარ-ესე
ჩუენ შეგუემთხუევის ზრუნვათაგან დღისათა. არა ზრუნვიდიან დაკრძალ-
ვად კართა კლიტებითა და მოქლონებითა შიშისათჳს ავაზაკთადასა, არა
ეკრძალეზობდიან ნაბერწყალთა დავრდომისათჳს, ვითარ-იგი სჭირს ნივ-
თიერთთა კაცთა, ეშინინ რად დაწუვისაგან ნაქონებისა მათისა. ესე ყოველი
უშიშობად და უცთომელობად მოსცა მათ უპოვარებამან და შეურაცხებამან
სოფლისამან.

ეგრეთვე სიტყუად მათი ყოველივე საღმრთოდ არს და სულიერ. არა
იტყვან, ვითარ-ესე ჩუენ, საქმეთა უსარგებლოთა, თუ: იგი ვინმე მთავარ
იქმნა და ჳელმნიფე; იგი ვინმე გარდავარდა; იგი ვინმე მოკუდა, და სახლი
მისი სხუამან დაიმკვდრა; იგი ვინმე განმდიდრდა, და სხუად ესევითარი;
არამედ მათი სიტყუად ყოველივე მის საუკუნოდასათჳს არს, ყოველივე ზე-
ცისათჳს არს, სადა-იგი მოქალაქობად მათი აღესრულების, სასუფეველი-
სათჳს იტყვან, სამოთხისათჳს, წიაღთათჳს აბრაჰამისთა, გვრგვინთა მათ-
თჳს დაუჭნობელთა, ქრისტეს თანა ყოფისათჳს. კუალად აწსენებენ სატან-
ჯველთა მათცა, რომელი განუმზადნეს ცოდვილთა თავთა თჳსთა, სირ-
ცხვლისა მისთჳს, რომელი მოწვენად არს მათ ზედა, და სასჯელისა მისთჳს
საშინელისა.

ინურთიდიან ჳელოვნებათა წინამდებარისა მის ბრძოლისათა, რადთა
არა იძლინენ ღონეთაგან და მანქანებათა ეშმაკისათა, აწსენებდიან, ვითარ
მძლე ექმნეს მას წმიდანი, ილოცვიდიან ეგრეთვე მძლე-ყოფად შეწენითა
ქრისტესითა. ესე არს ცხორებად მათი.

ან უკუე რად-მე ვართ ჩუენ მათ თანა? უდარეს ვართ ჯინჭველთასა,
ყოვლითურთ მინისა და ნაცრისა მზრუნველნი, და უფროდასა მწეცთა საქ-
მე გვპყრიეს ტაცებითა და ანგაჰრებითა და ყოვლითა ბოროტითა.

ჩუენ მსგავს ვიქმნენით პირუტყუთა, ხოლო ივინი მსგავს არიან ანგე-
ლოზთა, რამეთუ ყოველი საქმე მათი ანგელოზთად არს. ამისთჳსცა, უკუე-
ეთუ მივიდეს მათა ზუავთა მათ მთავართაგანი ვინმე, არა ეგების, თუმ-
ცა არა შეიმუსრა ქედმაღლობად მისი, რამეთუ მათ თანა ყოველივე დი-
დებად სოფლიოდ შეურაცხ არს; არად შეურაცხიეს მეფე, არცა ეპარხოსი
ანუ სხუად ვინმე დიდებულთაგანი. და ესე ამით საცნაურ არს: უკუეთუ ვინ
მისცეს ერთსა მათგანსა მეუფებად ყოვლისა სოფლისადა, ესოდენ არა თავს-
იდებს მიღებად, ვითარცა არამცა თავს-იდვა მეფემან მყარლისა რადმე
მწვრისა ჳელითა რევენად.

ამისთჳს, მორწმუნენო, უკუეთუ გუნებავს სამოსლისა საქორწინისა
მოგებად, მსგავს მათა ვიქმნეთ. ნუ გუცონინ მისლვად მათდა, რადთა
მათ მიერ ქორწილსა მას ზეცისასა კადნიერად შევიდეთ; რამეთუ მუნ
არა ჳელ-ენიფების შესლვად, რომლისა სამოსელი შებღალულ იყოს სიძ-

ვითა და არანმიდებითა, ანგაჰრებითა და ტაცებითა, უკეთურებითა და სიცრუითა.

ხოლო ჩუენ ღირსმცა ვართ განნმედად თავთა ჩუენტა ყოვლისაგან ბილნებისა სულიერისა და ჳორციელისა, შინაგანთა და გარეგანთა ცოდვათაჲსა, რაჲთა დაუსჯელად და სიხარულით შევიდეთ ქორნილსა მას ზეცისასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადნმიდით, სახიერით და ცხოელსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ლოყვა-ყავთ ნმიდისა მამისა ეფთჳმესოჳს, რომელმან ნმიდაჲ ესე ნიგნი თარგმანა. ნმიდანო ღმრთისანო.

ქრისტე. ადიდე სულითა მამაჲ იოვანე.

თავი ო

სიტყუად ესე: **„მაშინ წარვიდეს ფარისევლნი იგი და ზრახვა-ყვეს მისთვის, რათა სიტყვთა საფრწე უგონ მას“** (22,15).

მაშინ, ოდეს-იგი თანაედვა ლმობიერებად მოსლვად და განკვრევად დიდისა მისთვის კაცთმოყუარებისა მისისა, ოდეს-იგი უჭმდა შეშინებად მერმისა მისთვის სასჯელისა, ოდეს გარდასრულთაგან თანაედვა მომავალი-საცა დარწმუნებად და უკეთურებისაგან მოქცევად, მაშინ უმეტესადლა გარდაჰმატეს სიბოროტე მათი. და ვინათგან აღკრ-სხმად უკეთურებისა მათისა ვერ უძლო, და კუალად განცხადებულად წელთა დასხმად ვერ იკადრებდეს, რამეთუ ერისა მისგან ეშინოდა, ამისთვის ზრახვა-ყვეს ღონისა მოძიებად, რათა სიტყვთა საბრწე უგონ მას და განდგომილებისა ბრალი შეჰჴადონ განდგომილთა მათ ღმრთისაგან.

სახარებად: **„და მიუვლინნეს მონაფენი მათნი ჰეროდთანთა თანა და ჰრქუეს: მოძლუარ, ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა ჰზრუნავ არავისთვის, რამეთუ არა თუალ-ალებ პირსა კაცისასა. ან მარქუ ჩუენ, რად გნებავს შენ: ჯერ-არსა ხარკისა მიცემად კვისარსა ანუ არა?“** (22,16-17).

თარგმანი: რამეთუ წელმნიფებასა ქუეშე ჰრომთასა შესრულ იყვნეს და ხარკი ზედაედვა. ვინათგან უკუე იხილეს ამისა პირველად, ვითარმედ კაცთა მათ, თევდა და იუდა, განდგომილება იზრახეს და ამისთვის მოიკლნეს, ენება უღმრთოთა მათ ქრისტესიცა ესევეითარისა საქმისა იქუსა შეგდებად. ამისთვის მონაფენი მათნი მწედართა თანა ჰეროდესთა მიუვლინნეს (რამეთუ მათ ეწოდებოდა ჰეროდთან), რათამცა ორკერძო მახე დაურწყვეს: უკუეთუ მიცემად თქუას ხარკისად, მათ აბრალონ და თქუან, თუ: კაცთა თუალ-ალებ; უკუეთუ არამიცემად თქუას, აქუნდენ მათ მწედარნი ჰეროდესნი მონამედ, და მისცენ იგი მთავარსა, ვითარცა განდგომილებისა მასწავლელი; ვითარცა ლუკა გუაუნყებს, ვითარმედ წინაშე ერისა ჰკითხესო,¹ რათა უმრავლესნი მონამენი აქუნდენ. არამედ წინააღმდგომი შეემთხვა და მრავალთა წინაშე ემხილა უგუნურებად მათი.

„და ჰრქუეს მას: ვიცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარო“. ჰ უშჯულონო, ვინათგან იცით, ვითარმედ ჭეშმარიტ არს, ვითარ უწინარეს მცირედისა მაცთურად ხადოდეთ და გარდამაქცეველად ერისა და მოკლვად ისწრაფდით? ვად თქუენდა, ორგუენო!

ვინათგან პირველ ამისა ჰრქუეს ამპარტავანებით: „რომლითა წელმნიფებითა ამას იქმ?“² და პირი დაუყო მათ უფალმან, ამისთვის ან ორგუ-

¹ ლუკ. 20,26.

² მათ. 21,23.

ლებით მოძღვრით და ჭეშმარიტით ხადიან, რადთამცა ათქუმიეს სიტყუად განდგომილებისაჲ. რამეთუ სიტყუად იგი, თუ: „არა ჰზრუნავ არავისთვის და არა თუალ-ალებ პირსა კაცისასა“, ჰეროდესთვის და კეისრისათვის იტყოდეს, რადთამცა პოეს მის ზედა შესმენად ჰეროდეს მიმართ და პილატესა, ვითარცა განმდგომელისაჲ.

ამისთვის არა ჰრქუეს, თუ: რომელი უმჯობეს არს? არამედ: „შენ რად გნებავსო, ჯერ-არსა ხარკისა მიცემაჲ კეისრისა ანუ არა?“

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: **„გულისგმა-ყო იესუ უკეთურებაჲ მათი და ჰრქუა: რასა გამომცდით მე, ორგულნო? მიჩუნენთ დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი. ჰრქუა მათ იესუ: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედანერლი? ჰრქუეს მათ: კეისრისაჲ. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. და ესმა რად ესე, დაუკვრდა და დაუტევეს იგი და წარვიდეს“** (22,18-22).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინაფთაჲ განცხადებული და პირურცხვნოდ იყო უკეთურებაჲ მათი, ამისთვის ცხადად ამხილა თავადმან. პირველად შეაშფოთნა თხრობითა დაფარულთა მათთაჲთა, რადთა ცნან უცნობოთა მათ, ვითარმედ მხილველი არს დაფარულთაჲ და ღმერთი არს განმკითხველი გულთაჲ, ნუჟუკუე შეიკდიმონ. არამედ არავე შეირცხვნეს, არცა შეიკდიმეს ლირბთა მათ.

ამისთვის სამართლად წინაფთვე იერემია განაქიქებს სახლსა მას ისრაჴლისასა და ეტყვს: „პირი ვითარცა როსპიკისაჲ გექმნა შენ, ურცხვნო იქმენ ყოველთა მიმართ. და არა მიწოდე მე მამად და მფლობელად შენდა“.¹

ეგრეთვე უფალი ორგულად და გამომცდელად ეტყვს. მერმე დრაჰკანი იგი ითხოა და ხატი და ზედანერლი იკითხა, არა თუ უმეცარ იყო, არამედ რადთა მათ ათქუმიოს პირითა თვისითა სამართალი იგი, ვითარცა მრავალგზის იქმს; რამეთუ თქუეს რად, ვითარმედ: კეისრისაჲ არს ხატი და ზედანერლი, ჰრქუა მათ: „მიეცითო კეისრისაჲ კეისარსა“.

ხოლო რადთა მათ კუალად ვერ პოონ სიტყუად თქუმაჲ, თუ: კაცთა მორჩილებაჲდ გვბრძანება? ამისთვის დაურთო: „და ღმრთისაჲ ღმერთსაო“. რამეთუ ჯერ-არს კაცთადა მიცემაჲ მათისა მის წესისაჲ, და ღმრთისა მიცემაჲ, რად-იგი თანანადებ არს ღმრთისა მიმართ, ვითარცა პავლე იტყვს: „მისცემდით ყოველთა თანანადებსაო: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში“.²

ხოლო შენ, კაცო, ოდეს გესმას, თუ: „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა“, უწყოდე, ვითარმედ მათ საქმეთა იტყვს მიცემაჲდ კეისრისა, რომელნი ღმრთისმსახურებასა არა ავნებენ, ვითარ არს ხარკი ანუ ზუერი, გინა თუ ესევეთარი რადმე. ესე არიან კეისრისანი. ხოლო უკუეთუ ესევეთარსა რას-

¹ იერ. 3,3-4. ² რომ. 13,7.

მე ეძიებდეს კეისარი (რომელ არს მეფე), რომელ სულისა სავენებელ იყოს და ღმრთისაგან განმყოფელ, არა ჯერ-არს მორჩილება. უკუეთუ ესევი-თარსა რასმე ზედა ვჰმორჩილობდეთ, არა კეისრისა არს იგი საქმე, არამედ ეშმაკისა ხარკი არს და ზუერი ესევითარი იგი.

ესმა რად ესე უკეთურთა მათ, და დაეყვნეს პირნი მათნი, დაუკრდა მიუთხრობელი იგი სიბრძნე, ხოლო არავე ჰრწმენა, არცა შეიგონეს, ხედვიდეს რად სასწაულთა მათ ღმრთეებისათა, ვითარ დაფარულსა გულისა მათისასა გამოუცხადებდა. არამედ შეპყრობილნი ურწმუნობითავე და ჰურიებრითა უკეთურებითა განეშორნეს, ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „დაუტევეს იგი და წარვიდეს“. და მერმე მოუჭდეს სადუკეველნი.

ჴ უგუნურებად იგი და სიცოფე! ჯერ-იყო პირველთა მათ პირის-დაყოფასა ზედა სხუათად მათ შეკდიმებად, გარნა ესრეთ არს უკეთურებად, მარადის ურცხვნო და ცხარ. ამისთვის მახარებელი განკვრევებით მათისა მის გულფიცხელობისათს იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მას დღესა მოუჭდეს მას სადუკეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: არა არს აღდგომა“ (22,23).

თ ა რ გ მ ა ნ ი : მას დღესაო, ოდეს იგინი სირცხვლეულნი წარვიდეს, სადუკეველნი მოუჭდეს. რამეთუ სხუად ნვალება არს იგი ჰურიათა შორის, განყოფილი ფარისეველთაგან და ფრიად მათსა უდარესი, რამეთუ სადუკეველნი იტყვან: არა არს აღდგომა, არცა ანგელოზი, არცა სული; რამეთუ სრულიად ზრქელ გონებითა არიან და ყოვლითურთ ჯორც. ხოლო ფარისეველნი აღიარებენ აღდგომასა და ანგელოზსა და სულსა, რამეთუ მათ შორისცა მრავალი არს განწვალება. და იხილეთ, ვითარ მანკიერებით ჰყოფენ სადუკეველნი იგი სიტყუასა თქსსა, რეცა გამოჩინებად, თუ აღდგომა არა არს. ამისთვის ზაკუვით ჰლიქნიან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძლუარ, მოსე ესრეთ თქუა: უკუეთუ ვინმე მოკუდეს და არა ესუას შვილი, ესიძენ ძმად მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თქსსა. იყვნეს ჩუენ შორის შუდნი ძმანი. და პირველმან მან შეირთო და მოკუდა, და არა დაშთა ნათესავი, და დაუტევა ცოლი თქსი ძმასა თქსსა. ეგრეთვე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშუდემდე. უკუანადასკნელ ყოველთასა მოკუდა დედაკაცია იგი. ან აღდგომასა მას ვისა შუდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი?“ (22,23-28).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე სიტყუად მოპოვნებული იყო და არა ჭეშმარიტი, რამეთუ უკუეთუმცა ესე ესრეთ ყოფილ იყო, ვინადგან ორთა და სამთა შეირთეს დედაკაცია იგი და მოკუდეს, სხუანი არლარა თავს-იდებდეს შერთვად, უფროდლა, რამეთუ ფრიადი იყო ჰურიათა შორის ზმნად; არამედ მო-

იპოვებს სიტყუად ესე და შუდნი თქუნეს, რადამცა უმეტესად განამტკიცეს სიტყუად თვისი და არამცა მისცეს ადგილი სიტყვს-გებოსა უფალსა.

ხოლო თავადმან არა სიტყუათა მიმართ მისცა პასუხი, არამედ გულის-ზრახვათა, რამეთუ მარადის დაფარულსა გულთა მათთასა განაცხადებდა. იხილეთ უკუე, ვითარ განუმარტა ორივე. ესე იგი არს, ვითარმედ აღდგო-მად ყოფად არს, და არა ესევეთარი, ვითარ იგინი ჰგონებდეს.

სახარებაჲ: „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი, არცა ძალი ღმრთისაჲ“ (22,29).

თარგმანი: ვინაფთვან იგინი მოსეს სიტყუასა წინაუყოფდეს და მეცნიერებასა იქადოდეს, ამისთვის ეტყვს უფალი, ვითარმედ: ყოვლად-ვე არა იცით ძალი წიგნთაჲ, არცა ძალი ღმრთისაჲ გულისწმა-გიყოფიეს. ამისთვის ველ-ჰყოფთ გამოცდასა ჩემსა. უკუეთუმცა ანუ ბუნებითისა გუ-ლისწმის-ყოფისაგან, ანუ წერილთა მეცნიერებისაგან იცოდეთ, ვითარმედ ღმრთისაგან ყოველივე შესაძლებელ არს, ესრეთმცა არა იტყოდეთ, არა-მედ ფრიადი ევე უგულისწმოებაჲ არს მიზეზ ურწმუნოებისა თქუნისა და რომელ ჰგონებთ, თუ მერმესა მას ცხორებასა ესევეთარნი საქმენი არიან. არამედ გულისწმა-ყავთ სახე იგი მერმისაჲ.

სახარებაჲ: „რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდინ, არცა განჰქორწინებდენ, არამედ ვითარცა ანგელოზნი იყვნენ ცათა შინა“ (22,30).

თარგმანი: არა თუ რომელ არა იქორწინებდენ, ამისთვის იყვნენ ვი-თარცა ანგელოზნი, არამედ რომელ-იგი იყვნენ ვითარცა ანგელოზნი, ამის-თვის არა იქორწინებდენ. ამით მცირითა სიტყუთა მრავალი ცუდი და ამაოდ მრავლისმეტყუელებაჲ დაჰჴსნა და გულისწმა-გჴყო, ვითარმედ წარმავალ არს სახე ამის სოფლისაჲ.

ესრეთ უჩუენა რად წესი იგი აღდგომისაჲ, მერმე უეჭუელად ყოფადი იგი აღდგომად მოასწავა სიტყუათაგანვე მოსესთა, რომელთა მეცნიერება-სა ზუაობდეს, და ჰრქუა:

სახარებაჲ: „ხოლო აღდგომისათვის მკუდართაჲსა არა აღმოგი-კითხავსა თქუმული იგი ღმრთისამიერი, რომელსა იტყვს: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ“ (22,31-32).

თარგმანი: ესე იგი არს, არა იწოდებისო არაარსთაჲ და განქარვე-ბულთაჲ და არლარასადა ყოფადთაჲ, არცა არააღდგომადთაჲ ღმერთი. რამეთუ არა თუ ესრეთ იტყვს, თუ: მე ვიყავ ღმერთი აბრაჰამისი, ისაკი-სი და იაკობისი, არამედ „მე ვარო“. საცნაურ არს, ვითარმედ არსთაჲ და ცხოველთაჲ არს, არა თუ არაარსთაჲ. ვითარცა ადამ დღესა მას, რომელ-სა ჭამა ხისა მისგან, დაღაცათუ ცხოველ იყო, არამედ მკუდრად შერაცხილ

იყო, ვინაიდან განჩინებად სიკუდილისად მიიღო, ეგრეთვე ესენი, დაღაცათუ მომკუდარ იყვნეს, არამედ სულითა და აღთქუმითა მით აღდგომისათა ცხოველ იყვნეს.

თქუეს ვითემე, ვითარმედ: რადასათჳს უკუე იტყჳს მოციქული: „რამეთუ ამისთჳსცა ქრისტე მოკუდა და აღდგა, რადათა მკუდართაცა და ცხოელთაცა ზედა უფლებდეს“?¹ არამედ უწყოდენ მეტყუელთა მათ, ვითარმედ ესე სიტყუად პირველსა მას არა წინააღმდეგების, რამეთუ მკუდარნი ავსენნა მოციქულმან ჴორცითა მომკუდარნი, რომელთა ეგულების კუალად აღდგომად, და ცხოელნი, რომელნი ჯერეთ სოფელსალა შინა იქცევიან. და კუალად ესეცა გულისწმა-ყავთ, ვითარმედ: იცის წერილმან სხუადცა სახე მკუდრობისად, რომლისათჳსცა იტყჳს: „აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა“.² ყოვლით კერძოვე უკუე სხუასა პირსა ზედა თქუმულ არს ესე, თუ: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი“, და სხუად არს სიტყუად იგი: „რადათა მკუდართა ზედა და ცხოელთა უფლებდეს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და ესმა რად ესე ერსა მას, დაუკვრდებოდა მოძღურებად მისი“ (22,33).

თ ა რ გ მ ა ნ ი: და ესეცა, თუ: „დაუკვრდებოდა მოძღურებად მისი“, არა თუ სადუკეველთათჳს თქუა. ნუ იყოფინ! არამედ იგინი იძლინეს და სირცხლეულნი წარვიდეს, ხოლო ერმან მან მარტივმან, რომელნი არა უკეთურებითა შეპყრობილ იყვნეს, მიიღეს სარგებელი, რამეთუ „დაუკვრდებოდა მოძღურებად მისი“.

სწავლად ო

ცხოვრებისათჳს მონაზონთადასა და მათისა მის მკედრობისათჳს

ვინაიდან უკუე გუასწავა უფალმან, ვითარ აღესრულების წესი მერმისა მის აღდგომისად, „ვითარცა ანგელოზნი იყვნენო ცათა შინა“, მოედით ან, მორწმუნენო, ვილუანოთ ყოვლითა ძალითა, რადათა მივემთხვნეთ პატივსა მას ანგელოზთა თანა დგომისასა და არა დავისაჯნეთ ბნელსა მას გარესკნელსა, სადა-იგი იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთად და სხუანი იგი მიუთხრობელნი სატანჯველნი.

ან უკუე, გნებავს თუ, გიჩუენნე აქავე ვითინიმე მობაძავნი მოქალაქობისა მის ანგელოზთადასა. უკუეთუ ამისა ხილვად წადიერ ხართ, კუალად უდაბნოდ წარვიდეთ, კუალად ზემოთქუმულნი იგი სიტყუანი ვაჴსენნეთ.

ვიხილნეთ დღესცა ბანაკნი იგი სულიერნი მოლუანეთანი, არა ტილოებისა კარვებითა და რკინისა ლახურებითა დაბანაკებულნი, რამეთუ ამას

¹ რომ. 14,9. ² ლუკ. 9,60.

პირსა ზედა დავაცხრვეთ გუშინდელი სიტყუაჲ, არამედ შიშუელნი ყოველთა ამათ ჳორციელთა საშურველთაგან და ყოვლით კერძო სულიერად შეჭურვილნი. მოედით უკუე და ბრძოლაჲცა და წყობაჲ იგი მათი იხილეთ და ჳპოვნეთ მუნ წინამბრძოლნი იგი და სპასალარნი ბოროტთა მათ ვნებათანი, ახოვნებითა მით ღმრთისმსახურთაჲთა მომწყდარნი, და სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ საქმით აღსრულებული, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ქრისტე იესუსთა მათ ჳორცინი თჳსნი ჯჳარს-აცუნეს ვნებითურთ და გულისთქუმით“.¹ ნანდკლვე მუნ იხილნეთ ყოველნი ვნებანი და გულისთქუმანი, მომწყდარნი მახკლითა მით სულისაჲთა.

ამისთჳს არა არს მათ შორის მთრვალობაჲ და ნაყროვანებაჲ, რამეთუ მთრვალობაჲ მოკლულ არს წყლისა სუმიტა, და ნაყროვანებაჲ მომწყდარ არს მარხვითა. ნეტარ არიან იგი მჳედარნი, რომელთა მოუკლავს მრავალთავი იგი მჳეცი, რომელ არს მთრვალობაჲ. რამეთუ ვითარცა ზღაპართა მათ შინა საწარმართოთა გამოსახულ არს მრავალთავი იგი ვეშაპი, ესრეთ არს ჭეშმარიტად მთრვალობაჲ, მრავალ ასხენ თავნი ბოროტნი: ერთკერძო სიძვაჲ, მეორედ მრისხანებაჲ, ამიერ გინებანი, იმიერ ტრფიალებანი ბილწნი, სიმრავლე ცუდადმეტყუელებისაჲ, დაჳსნილებაჲ, სიცოფე, ვერაგობაჲ, განრყუნილებაჲ გონებისაჲ, უცნებათა სიბნელე, გულისსიტყუათა შეგინებულთა უფსკრული. ესე ყოველნი ბოროტთა თავნი, შენანვერებულთა მით ასოებითურთ მათით, მომწყდარ არიან მათ სანატრელთა მიერ, რომელ-ესე ჳორციელთა მჳედართა ვერ ჳელ-ენიფების ქმნად, რამეთუ რომელნი-იგი ბევრეულთა მბრძოლთა ეწყებოდინან, ამათ ვნებათაგან ძლეულ იყვნინან და დამონებულ, და გმირნი ახოანნი, ვითარცა ტყუენი შეკრულნი ჳელბორკილითა, ესრეთ ჳმორჩილობდინან მათ.

ან უკუე იხილეთ ნეტართა მათ ბანაკისა ძალი და სიმჳნე, რამეთუ დედაჲ იგი და ერისთავი მრავალთა მათ ვნებათაჲ სრულიად მოუკუდინებიეს; ხოლო ვინაჲთგან წინამძღუარი მოკლულ არს, სხუანი იგი სრულიად უჳმარ არიან. იხილეა ბრწყინვალე ესე ძლევაჲ? რომელსა, ყოვლისა სოფლისა მჳედრობანი თუ ერთად შეკრბენ, ვერ აღასრულებენ, ამას ერთი დაბეჭკულითა ძაძითა მოსილი მონაზონი აღასრულებს. რამეთუ ჳბაძვენ იგინი მეუფესა თჳსსა, რომლისათჳს იტყვს წინაღსწარმეტყუელი: „ნაღუარევისაგან გზასა ზედა სუას მან; ამისთჳს აღამაღლოს თავი“.² ესე იგი არს, ლიტონი და გლახაკობისა ცხორებაჲ აღირჩიოს, მო-რაჲ-ვიდეს ქუეყანად, და სასუმლად მისა იყოს წყალი. ამისთჳს აღამაღლოს ბუნებაჲ იგი, რომელი ჩუენგან მიიღოს.

ეგევითარი აქუს მოღუანეთა მათ მოქალაქობაჲ; ამისთჳს მძლენი არიან უხილავსა მას შინა წყობასა. და სხუანიცა მრავალნი ჳპოვნე მათ მიერ მოკლულნი ვნებანი და ამაონი გულისთქუმანი, რომელთა მონა არიან

¹ გალ. 5,24. ² ფსალმ. 109,7.

მეფენი, მთავარნი და ძლიერნი სოფლისანი. მივედ ტაბლათა მათთა და იხილნე თითოსახენი გულისთქუმანი, ჴელოვნებანი მზარაულთანნი, შჯულის-დებანი მათისა მის ვერაგობისანი, თითოფერთა მფრინველთა და ოთხფერქთა დანყუედანი, თითოგუართა ტკბილთა და ხილთა განწესებანი, პირად-პირადთა ღვნოთა და თაფლუქთა შეზავებანი, გუარად-გუარადად ტაბლისა შემკობანი, წიგნნი აღწერილნი ესევეითართა განგებულებათათჳს, განწყობილნი მწდეთა და ტრაპეზთმოდღუართა და ჴემდგომელთანნი, სიმრავლენი მოკიცხართა და მემღერთა და მგოსანთანნი, სიქადულნი გრძელად ჯდომისათჳს და ფრიადისა სუმისა. იხილენა მრავალნი იგი მძლავრებანი გულისთქუმათანი? ესე ყოველი ვისთჳს არს? მიხედენ, უბადრუკო, საზომსა მუცლისა შენისასა, რაოდენი არს, და გრცხუენოდინ ესოდენისა მის შფოთისა და მიმოკუეთებისაგან.

ესე ყოველივე წმიდათა მათ მოღუანეთა მიერ მკუდრად შერაცხილ არს, და არარად მათ შორის იპოების. პური ხოლო და წყალი ჰპოო მუნ, გინათუ მცირედი მხალი და ცერცჳ, და ესეცა არა უზომოდ, არამედ საწმარად ხოლო ბუნებისა. ამისთჳს დიდი დანყნარებად არს მათ შორის, და შუების-მოყუართა მათ შორის – დიდი შფოთი.

ხოლო შინაგანისა განყოფილება ორთად მათ ვითარ-მე მიგითხრა? განაღე გული შუებისა და მთრვალობისა მოყუართა და ჰპოო მუნ ყოველივე სიმყრალე, ყოველივე საძაგელებად, გულისთქუმანი ბოროტნი, გულისსიტყუანი ბილწნი; შევედ გონებასა მოღუანეთასა და იყნოსე სული სურნელებისად, წურთანნი საიდუმლოთა საღმრთოთანი, ხილვანი მაღალთა მათ ხედვათანი, ბრწყინვალებად თუალთშეუდგამი იხილო მათ შორის, მოფენილი სულისაგან წმიდისა.

კუალად განყოფილება მათისა მის და ამათისა ტაბლისად ვითარ-მე გულისწმა-გიყო? ტაბლად მოღუანეთად პურისმტეთა თჳსთა სასუფეველად მიაღვენს, ხოლო ტაბლად შუებისა და მთრვალობისა მოყუართად – გეჴენიად ცეცხლისა.

ამის ტაბლისა ბოროტისად დამგებელი ეშმაკი არს, ხოლო ტაბლისა მის მონაზონთადსა შემზადებელი ქრისტე არს, და პურისმტე მათი იგი არს, ვითარცა იტყჳს თავადი: „რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“. ¹ ხოლო მომთრვალეთა პურისმტე ეშმაკი არს, რამეთუ სადაცა მთრვალობად არს, მუნცა ეშმაკი, სადა სიტყუანი ბილწნი ითქუმიან და სიმღერანი და როკვანი, მუნ ეშმაკნი როკვენ.

ესევეითარი იყო ტაბლად იგი მდიდრისად მის. ამისთჳს არცა თუ წუეთისა ერთისა წყლისა უფალ იყო, მი-რად-ვიდა მერმესა მას სოფელსა; გარნა მოღუანენი იგი ღმრთისმსახურებისანი ამის ყოვლისა ბოროტისაგან უცხო

¹ იოან. 14,23.

არიან. ამისთვის ანგელოზთა ჰბაძვენ და უწორცოთა მოქალაქობად წორცთა შინა აღუსრულებიეს. ხოლო ესეცა თუ გულისწმა-ჰყო, თუ ვინაჲ შეიმზადებინ ტაბლანი იგი შუებულთანი, ანუ ვინაჲ მოლუანეთანი, სცნა ბუნებაჲ მათიცა.

ვინაჲ უკუე შეიმზადებინ ტაბლანი მდიდართანი? ჭირისაგან გლახაკთაჲსა და სულთქუმისაგან დავრდომილთაჲსა და ცრემლთაგან ჭირვეულთაჲსა, მონახუეჭისაგან ობოლთაჲსა და მონატაცებისაგან ქურივთაჲსა.

ხოლო ტაბლად ღმრთისმსახურთაჲ აღეგების შრომისაგან წელთა მათთაჲსა, ნიჭთაგან ღმრთისათა და საუნჯეთა მათგან უხუად მომნიჭებელისათა. ან უკუე, საყუარელნო, ნუ გუცონის სტუმრებად მათდა, მუნ ვისნაოთ, რავდენითა საკრველითა შეკრულ ვართ, მუნ ვისნავლოთ დაგებაჲ ტაბლისაჲ უოხჭნოთა სანოაგითა, რომლისათჳს იტყჳს წინაფსწარმეტყუელი: „განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლად საშურვებელად მაჭირვებელთა ჩემთა; სცხე ზეთი თავსა ჩემსა, და სასუმელმან შენმან დამათრო მე, ვითარცა ურწყულმან. წყალობაჲ შენი, უფალო, თანამავალ მეყავენ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა“.¹

ესე არს ტაბლად და მთრვალობაჲ სულიერი, სავსე კეთილითა. ესე არს წყალობისა უფლისა ჩუენ ზედა მომყვანებელი და დამამკვდრებელი ჩუენი სახლსა უფლისასა, რომელ არს ზეცისა იერუსალჴმი და მიუთხრობელნი იგი კეთილნი. მუნ მკვდრ-ყოფად ღირსმცა ვართ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ფსალმ. 22,5-6.

თავი ოა

სიტყუად ესე: „ხოლო ფარისეველთა რად ესმა, ვითარმედ დაუყო პირი სადუკეველთა მათ, შეკრბეს ერთად. და ჰკითხა ერთმან მათგანმან და გამოსცდიდა მას: მოძღუარ, რომელი მცნებაა უფროს არს შჯულსა შინა?“ (22,34-36).

კუალად აქაცა გვთხრობს მახარებელი მიზეზსა, რომლისათვის თანადედა შეკდიმება. არამედ იგინი უფროსად გამოსცდიანვე. ვინათგან სადუკეველნი მოუჭდეს გამოცდად და სირცხვლელ იქმნეს, მერმე შეკრბეს ფარისეველნი გამოცდად და ჰკითხვენ. არა თუ სწადოდა სწავლად, არამედ რადთა განსაცდელი დაურწყონ. ამისთვის წარმოდგა რეცა შჯულისმეცნიერი და ეტყვს: „რომელი მცნებაა უფროს არსო?“

რამეთუ ვინათგან ესე იყო პირველი მცნება, თუ: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი“, ამისთვის ესე სიტყუად წინაუყვეს, ნუუკუე სხუად რადმე თქუას და თავისა თვისა მიმართ მიიზიდოს პატივი, და ესრეთ პოონ მათ სიტყუად მისა მიმართ. ხოლო ქრისტეს ენება ჩუენებად მათდა, ვითარმედ ამისთვის ველ-ჰყოფენ სიტყუათა მათ გამოცდისათა, რამეთუ არა აქუს ყოვლადვე სიყუარული, არამედ სავსე არიან შურიითა. მიუგო და ჰრქუა მათ:

სახარება: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინააღმართმეტყუელნი გამოკიდებულ არიან“ (22,37-40).

თარგმანი: ვითარცა ზემო ჰკითხეს სადუკეველთა სახე აღდგომისად და თავადმან უმეტესიცა კითხვისა მათისად განუმარტა, ეგრეთვე აქაყო. ჰკითხეს, თუ: „რომელი არს პირველი მცნება?“ და თავადმან მეორეცა აუნყა, რადთა ნაკლულევანი პირველისა, რამეთუ დაღაცათუ რიცხვთა მეორე არს, არამედ მსგავსივე არს პირველისად; ამისთვის, რამეთუ გზად არს მისა მიმართ აღმეყანებელი, და მის მიერ აქუს ამასცა სიმტკიცე. ესე რად მიუთხრა, აუნყა მათ, ვითარმედ შორს არიან სიყუარულისაგან. რამეთუ „სიყუარულსა არა შურნ“¹, არცა იგონებნ ბოროტსა, ხოლო იგინი, ვინათგან სავსე იყვენეს შურიითა და ბოროტსა ზრახვიდეს, შორს იყვენეს სიყუარულისაგან.

ხოლო რადსათვის მათე იტყვს, ვითარმედ: „გამოსცდიდა მას“, ხოლო მარკოზ ესრეთ იტყვს: „იხილა იესუ, რამეთუ გონიერად მიუგო, და ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველსა ღმრთისასა“.²

¹ 1 კორ. 13,4.

² მარკ. 12,34.

არა თუ ურთიერთას წინააღმდეგებიან მახარებელნი. ნუ იყოფინ! არამედ ფრიადცა ენამებიან. რამეთუ მნიგნობარმან მან გამოცდით წინაუყო პირველად სიტყუად იგი, ხოლო ვინაფთგან ესმა სიტყუად ჭეშმარიტებისად და შეიკდიმა და სარგებელ ეყო, ამისთჳს აქო იგი უფალმან. რამეთუ არა პირველ აქო, არამედ ოდეს-იგი თქუა, ვითარმედ: სიყუარული ღმრთისად და სიყუარული მოყუსისად „უფროდს არს ყოველთა მსხუერპლთა და შესანი-რავთა“. ¹ მაშინ ჰრქუა უფალმან: „არა შორს ხარ სასუფეველსა ღმრთისასა“, რამეთუ სთქუ სიტყუად ჭეშმარიტი და გზად სათნოებისად იცან.

და ეგრეთცა არავე სრული ქებად მისცა მას, არამედ უჩუენა, ვითარ-მედ ნაკლულევან არს. რამეთუ რომელ-იგი ჰრქუა, თუ: „არა შორს ხარ“, უჩუენა, ვითარმედ არა მახლობელ არს, არამედ აქუს ნაკლულევანებად და უწმს მისი ძიებად. ხოლო რომელ-იგი თქუა, თუ: „ერთ არს ღმერთი, და არავინ არს მისა გარეშე სხუად“, ² და აქო სიტყუად მისი უფალმან, ნუ გიკვრს ესე, არამედ გულისწმა-ყავ, ვითარმედ მარადის გულისსიტყუათა-ებრ მკითხველთადასა მისცემდა ქრისტე პასუხსა.

რადსათჳს უკუე ან აქო კაცი იგი, რომელმან თქუა, ვითარმედ: გარეშე მამისა არავინ არს სხუად ღმერთი? ესე ამისთჳს: ვინაფთგან არა იყო ჟამი ჯერეთ გამოცხადებად ღმრთეებისა თჳსისა, დაუტევა იგი თჳსსავე გულის-სიტყუასა ზედა და აქო მეცნიერებისათჳს ძუელისა მის შჯულისა, რადთა ჟამსა თჳსსა ისნაოს მან ახალიცა. რამეთუ ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ სიტყუად ესე, თუ: „ერთ არს ღმერთი, და არავინ არს მისა გარეშე სხუად ღმერთი“, ³ ძუელსა შჯულისა შინა და ყოველსავე წერილსა არა შეურაცხე-ბად ძისა თქუმულ არს, რამეთუ სწორ არს იგი მამისა ძალითა მით და ბუ-ნებითა ღმრთეებისაფთა, არამედ წინააღმდეგომად კერპთა თქუმულ არს. ამისთჳს ესეცა ამის პირისათჳს საქებელ-ყო, ხოლო თავისა თჳსისათჳს, ის-მინეთ, ვითარი სიტყუად წინაუყო ამას ჟამსა, ვითარცა იტყჳს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „შეკრებულ რად იყვნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესუ და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტჳსთჳს, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი. ჰრქუა მათ იესუ: ვითარ უკუე დავით სულითა ჰხა-დის მას უფლად და იტყჳს: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარ-ჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა? ⁴ უკუეთუ დავით უფლად ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?“ (22,41-45).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილე, თუ რავდენთა სასწაულთა, რავდენთა საკვრვე-ლებათა, რავდენთა სწავლათა შემდგომად გამოაცხადა სიტყუად ესე, რადთა ვერ უძღონ თქუმად, თუ წინააღმდეგომ შჯულისა არს და ცუდად ჰყოფს თავსა თჳსსა სწორ ღმრთისა. ამისთჳს პირველითგან ესე სიტყუად დაიდუმა. და ან, შემდგომად დიდთა მათ და მრავალთა სასწაულთა, ჰკით-

¹ მარკ. 12,33.

² მარკ. 12,32.

³ შდრ. 2 სჯ. 6,4.

⁴ ფსალმ. 109,1.

ხა სიტყუად ესე, რადთა აღიარონ მათ თვისთა პირითა, ვითარმედ ღმერთი არს, თანასწორი მამისაჲ.

პირველად უკუე მონაფეთა ჰკითხა, ვითარმედ: „რასა იტყვან კაცნი ჩემთვის?“¹ ანუ „თქუენ ვინ გგონიე მე?“² რამეთუ კეთილ და შუენიერ იყვნეს გონებანი მათნი და არა დაბნელებულ არმურითა მით ვნებათაჲთა. ამისთვისცა პირ ექმნა ყოველთა ნეტარი პეტრე და ჰრქუა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ“.³

ხოლო ჰურიათა მიმართ უკეთურთა არა ესრეთ ყო, რამეთუ იცოდა მგმობარი იგი გონებაჲ მათი, არამედ ან, ოდეს-იგი მივიდოდა ვნებაჲ, შემოილო სიტყუად ესე და წინაჲსწარმეტყუელი შორის წარმოადგინა, რომელი-იგი უფლით ხადის მას და ჴმამალლად ქადაგებს. პირველად უკუე მათ ჰკითხა, და ვინაჲთგან ჴეშმარიტი არაჲ მიუგეს, არამედ თქუეს კაცად ლიტონად, განჰმართებს ცთომილსა მას გულისსიტყუასა მათსა. ამისთვის დავითს მოიყვანებს მქადაგებულად ღმრთეებისა მისისა და უფლებისა, და ვითარმედ ძე არს თანასწორი და თანამოსაყდრე მამისაჲ; და ესეცა შესძინა: „ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთაო“, რადთა გულისჴმა-ყონ უბადრუკთა მათ და შეშინდენ.

ხოლო რადთა ვერ თქუან, თუ კაცობრივ რადმე არს სიტყუად იგი, ამისთვის, ჰკითხა რად, თუ: „ვითარ გგონიეს თქუენ ქრისტჴსთვის, ვისი ძე არს?“ და მათ ჰრქუეს: „დავითისი“, კუალად კითხვისსახედვე ჰრქუა: „ვითარ უკუე დავით სულითა ხადის მას უფლით?“ რადთა ყოვლით კერძო სიტკბოებით და სიმჴკდით იყოს სიტყუად მისი.

სახარებაჲ: „ვითარ უკუე დავით სულითა ხადის მას უფლით და იტყვს: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა? უკუეთუ დავით უფლით ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?“ (22,43-45).

თარგმანი: არა თუ ჴორციელად ძეობაჲ დავითისი უარ-ყო. ნუ იყოფინ! არამედ მათსა მას იჴუსა განჰმართებს, რამეთუ იგინი იტყოდეს, ვითარმედ: ძე ოდენ არს მისი და არა უფალი. ამისთვის, ჰრქუა რად, თუ: „ვითარ ძე მისი არს?“ ეგრეთ იტყვს, ვითარმედ: არა ესრეთ არს ძე მისი, ვითარ თქუენ იტყვთ, არამედ უფალი არს მისი ღმრთეებითა, ხოლო წესითა მით განკაცებისაჲთა ძე არს მისი. რამეთუ მისისა მის ტომისაგან გამოჩნდა სახიერი იგი უფალი.

ან უკუე ესე წესი საცნაურ იყავნ განგებისა მისისაჲ, რადთა ოდეს სიტყუასა რასმე სიმდაბლისასა იტყოდის, არავინ დაბრკოლდებოდის, რამეთუ მრავალნი არიან მიზეზნი ესევითართა სიტყუათანი, და უფროჲსად – უძლურებაჲ იგი მსმენელთაჲ. ეგრეთვე ან აქა აღასრულა.

¹ მათ. 16,13. ² მათ. 16,15. ³ მათ. 16,16.

გულსკმა-ყავ უკუე, ვითარ თვსსა ჟამსა შემოილო სიტყუად ესე. ოდეს მნიგნობარმან მან თქუა, ვითარმედ: „ერთ არს უფალი“, მაშინ წინაფსნარ-მეტყუელი მოიყვანა მონამედ, ვითარმედ: ძეცა უფალი არს, სწორი მამისად, და მამასა ქადაგებს შურისმძიებელად წინააღმდგომთა მათ. ამისთვის იტყვს, „ვიდრემდის დავსხნეო მტერნი შენნი ქუემე ფერჯთა შენთა“, რადთა გამოაჩინოს ფრიადი იგი ერთობად და პატივისა სწორებად მამისა და ძისად, რამეთუ ესე სულითა წმიდითა ეუნყა დავითს.

ან უკუე ესე ყო უფალმან აღსასრულად მათდა მიმართ სიტყვსა, მა-ღალი და ჭეშმარიტი და შემძლებელი პირთა მათთა დაყოფად. რამეთუ მიერიტგან დადუმნეს არა თუ ნეფსით, არამედ რომელ-იგი არა ჰქონდა სიტყუად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ვერღარავინ უძლო მას სიტყვს-მიგებად, არცალა იკადრა ვინ მიერ დღითგან კითხვად მისა არარად“ (22,46).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესრეთ იწყლნეს მნიკულებანნი იგი გულნი მათნი, და დაეყვნეს მგმობარნი იგი პირნი მათნი. ხოლო ესე საქმე დიდად სარგებელ ეყო ერსა მას. ამისთვის, ვინაფთგან მგელნი იგი განიოტნა, რომელთა არა ინებეს სარგებელი, მერმე ერისა მის მიმართ მიაქცია უფალმან სიტყუად თვისი.

ხოლო რადსათვს არა ინებეს მნიგნობართა მათ და ფარისეველთა ესე-ვითართა მათ ღმრთივშუენიერთა სწავლათაგან სარგებელი? ამპარტავა-ნებისაგან და ცუდადმზუაობრობისა მათისა, რამეთუ ბოროტი არს ვნე-ბად ესე და მრავალთავი და ყოველსავე საქმესა შინა შეერთვის. ამის გამო რომელთამე წინამძღურობისათვს სურის, რომელთამე – ძლიერებისათვს ჯორციელისა, სხუათა – სიმრავლისათვს საფასეთადასა.

და არა ესე ოდენ, არამედ სათნოებათაცა შეერთვის ესე ვნებად, და რომელნიმე მოწყალეხასა და ქველისსაქმესა იქმან მზუაობრობისათვს, სხუანი მარხვასა და ლოცვასა აღასრულებენ; და ყოვლით კერძო მრავალ თავ ასხენ ამას მწეცსა.

სწავლად ოა

ზუაობისათვს და მაჩუენებლობისათვს

მოედით უკუე, მცირედ ვთქუათ მათდა მიმართ, რომელნი მიდრეკილ არიან შედგომად ამის ვნებისა. გარნა რომელთა-მე მიმართ ვყო სიტყუად ჩემი? რომელნი საფასეთა ზედა ზუაობენ, ანუ რომელნი სამოსელთა, გინა მთავრობათა, გინა თუ მოძღურებათა, ანუ ძლიერებათა, ანუ თავწედობა-თა, ანუ რომელნი-იგი შემდგომად სიკუდილისა ზუაობენ? რამეთუ ესოდენ მრავალფერ არს ვნებად ესე, ვიდრელა ამასცა იქმს. ამისთვის მრავალგზის

მესმის, ვითარმედ იგი ვინმე მოკუდა და ესე რაიმე ანუ იგი რაიმე განანესა, რაფთა საქებელ და სახელოან იქმნას. რომელთა-მე მიმართ უკუე ვყო სიტყუად? რამეთუ არა კმა არს ერთი სიტყუად ყოველთა მიმართ.

გარნა მათდა მიმართ მივაქციო სიტყუად, რომელნი ქველისსაქმესა ზედა, ანუ მარხვასა, ანუ ლოცვასა ზუაობენ, რამეთუ უფროდს ყოველთა-სა ესენი ცრემლთა ღირს არიან, რომელ შრომასა თავს-იდებენ და სასყიდელსა წარიწყმედენ. გულისწმა-ყავ, კაცო, ვითარმედ დიდებასა მას ღმრთისამიერსა რაოდენცა ეძიებდე, უმეტესად შეგიყუარებს ღმერთი და მოგანიჭებს, ხოლო კაცთამიერსა რაოდენცა ეძიებდე, ღმრთისაცა საძულელ იქმნები და კაცთაცა.

რახათვს უკუე იქმ ვაჭრობასა ამას ხენეშსა, რომელ ღმერთსა მოუპყრიეს მარჯუენე მოცემად სასყიდელთა გამოუთქუმელთა, და შენ გარემიაქცევ მას და კაცთაგან ეძიებ სასყიდელსა, რომელნი ყოვლადვე არარას მიგცემენ?

არა გესმისა სიტყუად უფლისად, ვითარ იტყვს, ვითარმედ: ყოველივე, რომელიცა ვინ კაცთა საჩუენებელად ქმნას, წარუწყმედიეს სასყიდელი თვისი?¹ რამეთუ ყოველსავე ზედა საქმესა ზუაობად ბოროტ არს, ხოლო უფროდს ყოვლისა – ქველისსაქმესა ზედა. ვითარ უკუე ვიწსნეთ თავნი ჩუენნი ამის ბოროტისა ვნებისაგან?

უკუეთუ მოვიგოთ გულისწმის-ყოფად, ვცნათ, თუ ვინად ვეძიებდეთ დიდებასა. მითხარლა, საყუარელო, ვინ არს მოძღუარი და შჯულისმდებელი ქველისსაქმისად და სხუათა მათ სათნოებათად? საცნაურ არს, ვითარმედ ღმერთი, რომელმან წესი ესე დაგვდვა და ყოველივე უცთომელად უწყის.

ხოლო შენ, უკუეთუ ასპარეზსა ისწავლიდე, ანუ რკინობასა, ანუ ფილოსოფოსობასა, ვისა წადიერ ხარ ჩუენებად წელმარჯუეობისა და გონიერებისა და სიმწნისა შენისა? მასწავლელსა მას შენსა ანუ ღვწისმოფარულთა და მხლისმსყიდელთა და მეთევზურთა, რომელთაგან არცა ერთი გაქუს სარგებელი? მე ვჰგონებ, თუ მრავალთა მათ და უსწავლელთა ერთა არცა ერთი გაქუნდეს ზრუნვად, არამედ მისა ხოლო ჰხედვიდი, რომელი იგი უფალ არნ საქმისა მის შენისა.

ვითარ უკუე არა დიდი ბოროტი არს და უგუენურებად, რომელ სხუათა წელოვნებათა შინა ყოვლითავე მოძღურისა მიმართ და განმგებელისა გიპყრიან თუალნი, ხოლო აქა არა ესრეთ იქმ, არამედ დაუტეობ ღმერთსა და ერუენები კაცთა ამათა. არა უწყია, რამეთუ ქველისსაქმითა ღმერთსა მიემსგავსები?

ან უკუე მიემსგავსე მას დაფარვითაცა ქველისსაქმისადთა, რამეთუ თავადიცა, ჰკურნებდა რად უძღურთა, ამცნებდა არავისა თხრობად. რად

¹ შდრ. მათ. 6,1.

სარგებელ გეყოფის ქებისაგან კაცთადასა? არარაჲ ყოვლადვე. უფროდსლა ზღვევაჲ ფრიადი არს, რამეთუ იგინი მეზრ, რომელთა ერუენები, ავაზაკ იქმნებიან და განჰკრეხენ საუნჯეთა სასყიდლისა შენისათა, რომელნი დაუნჯებულ არიან ცათა შინა.

და რად მათ ვიტყვ? უფროდსლა ვთქუა, თუ ჩუენ თავით თვსით იავარ-ვჰყოფთ და განვაზნევთ საუნჯეთა ჩუენთა, რომელნი მოცემად იყვნეს ცათა შინა. ჰ უცხოჲ ესე განსაცდელი! სადა-იგი მლილმან და მჭამელმან ვერ ავნის, არცა მპარავთა წარიპარიან, ცუდადმზუაობრობაჲ მიერ წარმოიპარავს. ესე არს მლილი მათ საუნჯეთაჲ; ესე არს მპარავი სიმდიდრისა მის სულიერისაჲ; ესე ყოველსა სათნოებასა ჩუენსა განჰრყუნის და უჩინოჰყოფს. რამეთუ იხილა რად ეშმაკმან, ვითარმედ საუნჯე იგი ჩუენი მიუახლებელ არს ავაზაკთაგან და მლილთა და სხვსა ყოვლისავე სავენებელისაგან, მოიპოვა ღონე ესე – ზუაობისა მიერ წარპარვად ყოვლისავე ნაქონებისა ჩუენისა.

რადსათვს სურვიელ ხარ, ჰ კაცო, დიდებისათვს კაცობრივისა და ქებისა? არა კმა არსა შენდა ღმრთისამიერი იგი საუკუნოჲ დიდებაჲ? არა უწყია, რამეთუ ქველისსაქმესა ფარულად ჯერ-არს აღსრულებაჲ? „შევედ საუნჯესა შენსა და დაჰჰკარო კარი შენი“, თქუა უფალმან, „და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამად შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“.¹

და კუალად იტყვს: „რაჟამს ჰყოფდე ქველისსაქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი. რადთა იყოს ქველისსაქმე იგი შენი ფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“.² ან უკუეთუ მცნებასა უფლისასა აღასრულებ, ესრეთ აღასრულე, ვითარცა მან ბრძანა; უკუეთუ არა, ცუდ არს შრომაჲ შენი.

ამისთვს კუალადცა გეტყვ: იქმოდი რად ქველისსაქმესა, დაჰჰკარო კარი შენი, და მან ხოლო უწყოდენ, რომელსა მისცემდე. უკუეთუ შესაძლებელ არს, ნუცამცა იგი სცნობს, რადთა არა განიქიქოს საიდუმლოჲ შენი, და მაშინ ღმერთმან ქადაგოს სათნოებაჲ შენი. ხოლო კაცობრივსა თუ ქებასა ეძიებდე, სასყიდელიცა დაგჭირდეს შრომათა შენთაჲ, და კაცთაცა მაჩუენებელ და ამპარტავან გინოდონ.

ან უკუე ყოველივე დაუტეოთ კაცობრივი გულისსიტყუაჲ და საღმრთოდასა მის დიდებისათვს სურვიელ ვიქმნეთ, რადთა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით ნმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ მათ. 6,6.

² მათ. 6,3-4.